ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№016 (12 086)

22 იანვარი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი


თანამეგობრობის თასი
**წაგება, მოგება და სასწაულის მოლოდინი**
მოსკოვური ამბები 2


## ინგლისი იძაბება

### ინტერი? შეგიძლიათ, მიულოცოთ...

ამ უიქენდზე, მომეტებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა პრემიერლიგა, სადაც ერთმანეთში ურთიერთობას პირველი ოთხეული არკვევდა. შაბათს, "ლივერპულმა" პირწმინდად მოუგო მეორეადგილოსან "ჩელსის" და ხუთქულიან დისტანციაზე მიუახლოვდა. კვირას კი უფრო დრამატული გამოდგა "არსენალისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირება. მატჩის წინ, **არსენ ვენგერი** ამბობდა, ეს თამაში თუ ვერ მოვიგეთ, ჩემპიონობაზე ფიქრს შევეშვებითო. 83-ე წუთამდე "მეთოფეებს" მოსაგები არაფერი ეტყობოდათ. მთავარი მოვლენები სწორედ ბოლო წუთებში განვითარდა. ჯერ **ვან პერსიმ** გაათანაბრა ანგარიში, მთლად ფარდის დაშვების წინ კი ვინ შეაგდებდა გამარჯვების გოლს, თუ არა **ტიერი ანრი** - 2:1.

ესეც ასე, პრემიერლიგაში ვითარება იძაბება. თუ გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, საჩემპიონო მარათონში "ლივერპული" და "არსენალიც" ერთვებიან...

იტალიაში კი... იქ ყველაფერი გარკვეულია. ფორმალობას რა ვუთხარით, თორემ "ინტერი" დღესვე გამოცხადდებოდა ჩემპიონად. "ფიორენტინასთან" საშინაო გამარჯვების შემდეგ, "ნერაძური" უკვე 11 ქულით უსწრებს "რომას" და თავს უფლებას აძლევს, პირადი რეკორდებით გაერთოს. ტურის ბოლო, ერთობ ულიმლამო მატჩში "ლაციომ" და "მილანმა" გოლები ვერ გაიტანეს. **კახა კალაძეს** არ უთამაშია...

ესპანეთში გოლებზე ხელი აიღეს. 20 გუნდიდან მხოლოდ შვიდმა შეძლო ბურთების გატანა. "ბარსელონამ" 3:0 გაიმარჯვა და პირველ ადგილზე დაბრუნდა. "რეალმა" კი ნაწვალები 3 ქულა ნაილო პალმა დე მალიორკიდან...


ვრცლად უიქენდზე 6-8




არსენალი-მანჩესტერი 2:1.
მატჩის გმირები: ანრი და ვან პერსი

# ახალი ქართველები გერმანიაში

## აშვეთია კარლ ცაისში. შეიძლება, ლომაიაც...



მიხეილ აშვეთია



გიორგი ლომაია



ბექა გოცირიძე



მარცხნივ შოთა გრიგალაშვილი

თუკი მიმდინარე სეზონის პირველ წრეში, გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში, მხოლოდ ოთხი ჩვენებური (ალექსანდრე იაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით სირაძე, მათე ღვინიანიძე) ასპარეზობდა, ახლა, შესაძლოა, მათ კიდევ სამი-ოთხი ქართველი დაემატოს. "აუეში" ერთკვირიან სინჯებს თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი და "ზესტაფონის" ფორვარდი ბექა გოცირიძე გაივლიან. "კარლ ცაისში" კი მიხეილ აშვეთიას და, სავარაუდოდ, მეკარე გიორგი ლომაიასაც ელიან. ვრცლად, ამის შესახებ, შიდა გვერდებზე იხილეთ. 3




საკალათბურთო ამბები
**ცქიტიშვილი: 10 ქულა 16 წუთში**
ფაჩულიამ ატლანტას ვერაფერი უშველა 11





**თასი აზოვს დარჩა**
ქორქიასა და საკანდელიძის მემორიალი 11


# ნოზაძე, მოძმანაშვილი... მთავარი კი დღესაა: კურტანიძე და გოგშელიძე!

ირაკლი თავაძე,
ბათუმიდან

ბათუმის საჭიდაო დარბაზში მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატი დღეს დამთავრდება. შაბათს ანტიკური ჭიდაობის ტურნირი **რამაზ ნოზაძის** საჩემპიონო ორთაბრძოლამ დახურა, გუშინ კი დაიწყო თავისუფალი სტილის შეჯიბრება და ოთხი ჩემპიონიც გამოვლინდა.

დღეს ტურნირის ბოლო დღეა. ცხადია, მთავარი მოვლენა 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორი მსოფლიო ჩემპიონის – **გიორგი გოგშელიძისა და ლუკა კურტანიძის** დაპირისპირება იქნება. ეს მოსალოდნელი ორთაბრძოლა დღის კი არა, ჩემპიონატის მთავარ ამბად იქცა ჯერ კიდევ იქიდან მოყოლებული, რაც კურტანიძემ მძიმე წონიდან 96-ში დაბრუნება გადაწყვიტა. ბათუმელებს, ჩემპიონატს მრავლად რომ ესწრებიან, ნამდვილად გაუმართლათ - ასეთი მნიშვნელოვანი შერკინების მასპინძლობა რომ ერგოთ.

ფავორიტები, ცხადია, ბადის სხვადასხვა მხარეს არიან განთესილები და ერთმანეთს ფინალამდე არ შეხვდებიან!


შაბათ-კვირის ამბები 13




გურამ ტყემალაძის ფოტო

ანტიკური ჭიდაობა. 96 კილოგრამის ფინალი. გელა ჩხაიძე და რამაზ ნოზაძე

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიონის პირველი ბარიერი: ერევანი

## ბლატერი-ახალკაცი: შეხვედრა შედგა

შაბათის ნომერშივე გაცნობეთ, რომ მოსკოვისკენ მიმავალი "სიონი" გზად მთელ რიგ დაბრკოლებებს გადააწყდა და რუსეთის დედაქალაქში გვიან საღამოს ჩააღწია. ისიც გეხსომებათ, რომ ამის გამო, ბოლნისელებს ვარჯიში ჩაეშალათ. გუშინ "სიონის" გენერალურ მენეჯერს, ჯემალ ჭიპაშვილს დავუკავშირდით, რომლისგანაც ბოლო დღეების პერიპეტიებზე ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ.

შეგახსენებთ, "სიონი" თბილისიდან ხუთშაბათს, დღის 2 საათზე დაიძრა. სომხეთის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ ავტობუსმა სვლა მკვეთრად შეანელა, რისი მიზეზიც თოვლი და ქარბუქი იყო. ერევანში ჩასულ დელეგაციას 20-გრადუსი ყინვა დახვდა. წახემსების შემდეგ, სიონელები აეროპორტში მივიდნენ, სადაც უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს - როგორც აცნობეს, უამინდობის გამო, ფრენა დაგეგმილი ღამის 2-ის ნაცვლად, დილის 6 საათზე შედგებოდა.

მალე ისიც გაირკვა, რომ "არმავიას" კუთვნილი თვითმფრინავი რუსეთისკენ გეზს არა 6-ზე, არამედ დილის 9 საათზე აიღებდა. "სიონის" ხელმძღვანელობას ისღა დარჩენოდა, დამატებითი ხარჯი გაეღო და გუნდს ღამე სასტუმროში გაეთია.

ფრენა არც დილით შედგა. დრო გადიოდა, ჩასხდომა კი არა და არ ცხადდებოდა. მოთმინებადაკარგულმა ბოლნისელებმა ჭკუა იხმარეს და სომხური ავიაკომპანიის ხელმძღვანელებს მოსკოვში არწასვლით დაემუქრნენ. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი იყო, "არმავიას" ქართველთათვის ფინანსური ზარალის ანაზღაურება დაკისრებოდა. სომხები მხოლოდ ამის შემდეგ შეფუცხუნდნენ და "სიონი" მოსკოვში ლენინაკანიდან (!) გამოძახებული სარეზერვო თვითმფრინავით გაისტუმრეს. ქართველები აეროპორტის ნეიტრალურ ზონაში საღამოს 7-მდე (!) იცდიდნენ.

მოსკოვში "სიონი" ღამის 11 საათზე დაეშვა, სასტუმრო "კოსმოსამდე" კი 12-მდე ვერ მიაღწია. დილას გუნდმა ივახშმა, შემდეგ ორიოდ საათით დაისვენა და სპორტკომპლექს "დინამოსკენ" აიღო გეზი.

დახვედრით ქართველები კმაყოფილნი არიან, მათ საცხოვრებლად და სავარჯიშოდ საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი. ერთი ეგაა, სასტუმროდან გარეთ გასვლას ერიდებიან, ვინაიდან, შესაძლოა, სამართალდამცავთა მხრიდან პრობლემებს გადააწყდნენ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს დოკუმენტაცია სრულ წესრიგში აქვთ.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს შეხვდნენ, დახურულ კარს მიღმა მათ მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს.

დღეს "სიონი" ერთი მსუბუქი ვარჯიშით შემოიფარგლება, სამაგიეროდ, თამაში აქვთ მის მწვრთნელებს. კახა ცხადაძე და გიორგი ყიფშიძე ვეტერანთა მატჩში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც რუსები ყოფილი სსრკ-ის დანარჩენი ქვეყნების ვეტერანებისგან შემდგარ გუნდს შეხვდებიან. ამ მატჩისა და სხვა საინტერესო ამბების შესახებ "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შეიტყობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# თარხნიშვილმა შერიფს ორჯერ მოაგებინა

დსთ-ის თასზე მხოლოდ სიონელი ქართველები არ ასპარეზობენ. "ბაქოს" ღირსებას **ალექსანდრე გოგობერიშვილი** და **ამირან მუჯირი** იცავენ, "კაუნასის" რიგებში **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა** გამოდიან, ხოლო "შერიფის" შემადგენლობაში მისი ქართველი კაპიტანი და სიმბოლო **ვაჟა თარხნიშვილი** თამაშობს.

პირველ ტურში ერთმანეთს "შერიფი" და "ბაქო" დაუპირისპირდნენ. დრამატული შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ტირასპოლელთა გამარჯვებით, 4:3 დასრულდა. გადამწყვეტი გოლი პენალტით **თარხნიშვილმა** გაიტანა, მანამდე კი თავი ბაქოელთა ახალწვეულმა მუჯირმა გამოიჩინა. შეგახსენებთ, ტრავმის გამო, მოსკოვში "ბაქოს" ფორვარდი **გიორგი მეგრელაძე** ვერ თამაშობს.

კვარაცხელიამ "სიონის" წინააღმდეგ სრულად ითამაშა, მანჩხავა კი მოედანზე მე-9 წუთზე შევიდა დაშავებული თანაგუნდელის ნაცვლად. 30-ე წუთზე კი ნუკრი თავად გახდა შესაცვლელი.

გუშინ გოგობერიშვილმა "დორდოი-დინამოს" გაუტანა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. კვლავ გადამწყვეტი გოლი შეაგდო თარხნიშვილმა. ვაჟამ ამჯერადაც პენალტით გაიტანა. ოფკ-ის წინააღმდეგ კვარაცხელიამ 90 წუთი ითამაშა, მანჩხავა კი წინა დღეს მიღებული ტრავმის გამო, მოედანზე არ გასულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# შანსი არის და არც არის...

## მარცხი 99-ე წუთზე

| კაუნასი-სიონი | 2:1 |
|---|---|

20.01. მოსკოვი. დინამოს მანეჟი.
1500 მაყურებელი

1:0 პეხლიჩი (20), 1:1 სილაგაძე (45), 2:1 გლები (90)

კაუნასი: სტონისი, რაჯუსი, კანჩელსკისი, ბენიუშისი (46. ლედესმა), გლები, კვარაცხელია, სტრახანოვიჩი, პაპეჩკისი (9. მანჩხავა, 30. ივაშკიავიჩუსი, 85. რიმკიავიჩუსი), ბაგუჟისი, კუნიავიჩუსი, პეხლიჩი (66. მენდი)

სიონი: მამალაძე, სეთურიძე, ჭელიძე, ონიანი, კობაური, სილაგაძე, აფციაური (51. ოქროპირიძე, 83. ალავიძე), ქებაძე, დარასელია, კახელიშვილი, ჩასემი

გაფრთხილება: კანჩელსკისი (16), ონიანი (48), ლედესმა (62), ივაშკიავიჩუსი (64), ოქროპირიძე (80)

გაძევება: ონიანი (49)

მსაჯი: რ. ირმატოვი (უზბეკეთი)

ძნელია გუნდს პირველი წუთებიდანვე მოსთხოვო თამაში მაღალ დონეზე, როცა გზაში ორ დღეს გაატარებ და თამაშზე უვარჯიშებელი გახვალ. ალბათ ამით იყო განპირობებული, რომ საქართველოს ჩემპიონს საწყის წუთებში მოედანზე ბევრი არაფერი გამოსდიოდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა "სიონმა" სამჯერ მოახერხა მეტოქის კარიკენ დარტყმა, მაგრამ **ონიანის, ჩასემისა** და **დარასელიას** დარტყმულები არაზუსტი აღმოჩნდა.

გულწრფელად გეტყვით, ლიტვის ჩემპიონატი და შესაბამისად ჩემპიონი საქართველოს ჩემპიონატსა და ჩემპიონზე მეტად ფასობს, უფრო მაღალ დონედაა მიჩნეული, მაგრამ თამაშის შემყურე ასე ნამდვილად ვერ იფიქრებდი. "კაუნასი" არაფრით სჯობდა "სიონს", თუ არ ჩავთვლით უხეშობას. ლიტველებს ძირითადი აქცენტი ფიზიკურ სიძლიერეზე აქვთ გადატანილი და ამ მატჩშიც ფონს გასვლას ამით ცდილობდნენ. გაშვებული გოლის შემდეგ, რომელიც ქართველთა შეცდომის ბრალი იყო, ბოლნისელები გააქტიურდნენ. ჯერ **აფციაურს** აუღო მეკარემ, მერე კი დარასელიამ ააცილა ოდნავ კარს. მშვენივრად თამაშობდა **ლევან სილაგაძე**, რომელმაც ტაიმის მიწურულს გოლიც გაიტანა - დარასელიას მიერ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს, თავურით მიუჩინა ადგილი მეტოქის კარის ბადეში.

მეორე ტაიმის დასაწყისში მომხდარს გაგრძელება მატჩის შემდგომაც მოჰყვა. მსაჯმა ერთ წუთში ორჯერ უჩვენა ყვითელი ბარათი **ონიანს** და მოედანი ნაადრევად დაატოვებინა. სხვათა შორის მატჩი აზერბაიჯანელ არბიტრს უნდა ემსაჯა, მაგრამ შეხვედრის დაწყების წინ ორგანიზატორებმა ის რატომღაც უზბეკი არბიტრით შეცვალეს. ონიანის გაძევებამ ქართველთა თამაშში გარკვეული არეულობა შეიტანა. მართალია, ჩვენები მალე დალაგდნენ, მაგრამ გეგმა შეიცვალა – მთავარი უკვე კარის უსაფრთხოება იყო და არა გოლის გატანა.

და მაინც, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე ლიტველებმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. არადა დარჩენილ დროში ქებაძის დარტყმული ძელს რომ არ მოხვედროდა, "სიონი" ქულას მოიპოვებდა და ჯგუფიდან გასვლის მეტი შანსი ექნებოდა.

მატჩის შემდეგ ლევან სილაგაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დღევანდელი თამაშით კმაყოფილები არ ვართ, მით უმეტეს შედეგით. ანგარიშის გათანაბრებაც შეგვეძლო, მაგრამ ფორტუნამ გვიმუხთლა. ვიმედოვნებ, ხვალ თურქმენებთან მივაღწევთ სასურველ შედეგს"*.

თავის განცხადებაში რადიკალური იყო **კახა ცხადაძე,** რომელიც მსაჯის ქმედებამ აღაშფოთა. მისი თქმით, ასეთი მსაჯობის პირობებში გუნდის მოსკოვში დარჩენას აზრი არ აქვს და კლუბის ხელმძღვანელობა განიხილავს ტურნირის ნაადრევად დატოვების შესაძლებლობას.

აქტიურობდა **ამირან კაჭახიძეც,** რომელიც მომხრე იყო "სიონს" პროტესტიც შეეტანა, მაგრამ საბოლოოდ ქართველებმა ამაზე უარი თქვეს.

## დარასელიას ორი გაელვება

| სიონი-მტფუ | 2:1 |
|---|---|

21.01. მოსკოვი. დინამოს მანეჟი.
1000 მაყურებელი

1:0 ჩასემი (21), 2:0 დარასელია (31), 2:1 შამურადოვი (58)

სიონი: მამალაძე - კობაური, ბოიომო, ლ. ჭელიძე (46. ბაჯელიძე), სეთურიძე - სილაგაძე, კახელიშვილი, აფციაური (74. კვიტაიშვილი), ქებაძე (90. ოქროპირიძე), დარასელია (59. ალავიძე) - ჩასემი (85. ცხადაძე)

მტფუ: ბ. ბერდიევი - კულიევი (58. ალანაზაროვი), ო. ბერდიევი, ანაგელდიევი, შამურადოვი - რეჯეფოვი, ალიკპეროვი, კარადანოვი, ნურმურადოვი (26. ალიხანოვი), მერედოვი (ნამუხანოვი, 33)- საფაროვი (66. ხოჯაგელდიევი)

გაფრთხილება: ო. ბერდიევი (19), ბ. ბერდიევი (33), კობაური (38), კახელიშვილი (63), ალავიძე (77), ბაჯელიძე (90)

გაძევება: ბ. ბერდიევი (33)

დსთ-ს თასის გათამაშების მეორე ტურის ამ შეხვედრაში ფავორიტად "სიონი" იყო მიჩნეული. თამაშის დაწყებისთანავე ბურთის უპირატესობას ქართველი ფეხბურთელები დაეუფლნენ. მე-3 წუთზე დარასელიამ ძლიერად დაარტყა, თუმცა ოდნავ ააცილა. შემდეგ ვიტალიმ კუთხური **კახელიშვილთან** გაითამაშა, ამ უკანასკნელის დარტყმული მეკარემ მოიგერია.

საგოლე მომენტების შექმნას მტფუ-ს ფეხბურთელებიც ცდილობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს ხან მცველები ბლოკავდნენ, ხანაც შორეულ დარტყმებს "სიონის" მეკარე იგერიებდა. თამაშის მე-16 წუთზე დარასელია დრიბლინგის შედეგად ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ თურქმენების კარს კვლავ ოდნავ ააცილა.

ქართველები მასიურად უტევდნენ, რამაც შედეგი მალე გამოიღო. 22-ე წუთზე დარასელიამ შესანიშნავი პასით მოძებნა **ჩასემი**, რომელმაც ბურთი მეკარისგან მარცხენა კუთხეში გაგზავნა - 1:0.

გაშვებული ბურთის შემდეგ, თურქმენებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა უშედეგოდ. სამაგიეროდ, "სიონს" არ გაუშვია შანსი ხელიდან. 32-ე წუთზე ჩასემის გადაცემით დარასელიამ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი მეტოქის კარის მარცხენა ცხრიანში გაახვია.

ამის შემდეგ მოვლენები აშხაბადელთათვის კიდევ უფრო არასასიამოვნოდ წარიმართა . მსაჯთან შელაპარაკებისთვის მოედნიდან თურქმენების მეკარე გააძევეს, რამაც "სიონის" უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცა. 38-ე წუთზე აფციაური მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, თუმცა მეტოქე ძელმა იხსნა, დამატებაზე კი ჩასემის დარტყმული აღმოჩნდა არაზუსტი. ტაიმის მიწურულს იმავე ჩასემმა გაითამაშა კედელი აფციაურთან - შეცვლაზე შესულმა მეკარე **ნამუხანოვმა** იყოჩაღა.

მეორე ტაიმში ქართველი გულშემატკივრები "სიონისგან" უფრო მეტ აქტიურობას ელოდნენ. თუმცა გუნდი ოდნავ მოდუნდა, რისთვისაც გოლით დაისაჯა: **კარტანოვის** თავური დარტყმა **მამალაძემ** კარგად ვერ მოიგერია, ბურთი მტფუ-ს კაპიტან **შამურანოვს** მიუვიდა, რომელმაც ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა და ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე მიიყვანა. ქართველების თავკაცმა მეორე ტაიმში რამდენიმე ცვლილება განახორციელა: დარასელიას ნაცვლად მოედანზე **ალავიძე** შემოვიდა, აფციაურის ნაცვლად - **კვიტაიშვილი**, ჩასემის ნაცვლად კი - **ბაჩო ცხადაძე**. თუმცა, შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა მატჩში რადიკალური ცვლილებების შეტანა ვერ შეძლეს. ბოლნისელებმა ანგარიშში მინიმალური სხვაობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ლიტვის "კაუნასმა" სერბეთის ოფკ-სთან მატჩში ვერ შეძლო ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება და 2:3 წააგო. ბოლნისელებს ჯგუფიდან გასასვლელად 23 იანვარს, სპორტკომპლექს "ოლიმპიისკიში" სერბეთის ოფკ-ის წინააღმდეგ ორბურთიანი სხვაობით მოგება ესაჭიროებათ.

**ელია და ქრისტი გადელიები,**
მოსკოვიდან

### A ჯგუფი

**20 იანვარი**

| | |
|---|---|
| ცსკა-აქტობე | 1:1 |
| ბატე-რეგარ ტადაზი | 2:0 |

**21 იანვარი**

| | |
|---|---|
| ცსკა-ბატე | 2:0 |
| რეგარ ტადაზი-აქტობე | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა (რუსეთი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ბატე (ბელარ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. აქტობე (ყაზ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| 4. რეგარი (ტაჯ.) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

### B ჯგუფი

**20 იანვარი**

| | |
|---|---|
| შერიფი-ბაქო | 4:3 |
| ლევადია-დორდოი დინამო | 4:0 |

**21 იანვარი**

| | |
|---|---|
| შერიფი-ლევადია | 3:2 |
| ბაქო-დორდოი დინამო | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შერიფი (მოლ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 7-5 | 6 |
| 2. ლევადია (ესტ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| 3. ბაქო (აზერბ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 4. დორდოი (ყირ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

### C ჯგუფი

**20 იანვარი**

| | |
|---|---|
| შახტიორი-ბანანცი | 2:2 |
| ვენტსპილსი-ფახთაქორი | 2:0 |

**21 იანვარი**

| | |
|---|---|
| შახტიორი-ვენტსპილსი | 1:1 |
| ფახთაქორი-ბანანცი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვენტსპ. (ლატვია) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ფახთაქ. (უზბ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. შახტიორი (უკრ.) | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. ბანანცი (სომხ.) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |

### D ჯგუფი

**20 იანვარი**

| | |
|---|---|
| კაუნასი-სიონი | 2:1 |
| ოფკ-მტფუ | 2:0 |

**21 იანვარი**

| | |
|---|---|
| სიონი-მტფუ | 2:1 |
| ოფკ-კაუნასი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოფკ (სერბეთი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. კაუნასი (ლიტვა) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 3. სიონი (საქ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. მტფუ (თურქ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

# ბლატერის კომპლიმენტები

ფიფას პრეზიდენტმა ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია და თანამეგობრობის თასს კვლავ ეწვია. ასევე ტრადიციულად, **იოზეფ ბლატერმა** ვრცელი პრესკონფერენცია გამართა, სადაც ამ ტურნირის პერსპექტივებსა და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. გვერდს მას რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცი **ვიტალი მუტკო** უმშვენებდა. სრული პრესკონფერენცია მკითხველისთვის საინტერესო არ იქნება, ამიტომაც ბლატერისა და მუტკოს საუბრიდან მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს გთავაზობთ.

ბლატერმა თავდაპირველად ტურნირი შეაქო: *"უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ტურნირის იუბილეს ვულოცავ. დსთ-ის თასის გათამაშება უკვე მეთხუთმეტედ ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირმა გაამართლა. მოხარული ვარ, რომ იგი ფიფას საერთაშორისო კალენდარში შედის. უკვე მერამდენე წელია, მოსკოვში ჩამოვდივარ და ფეხბურთისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ხელოვნურ საფარს ფეხბურთში დიდი მომავალი აქვს"*.

ფიფას თავკაცს არც მასპინძელთა შექება დავიწყნია: *"რუსული ფეხბურთი საოცარი ტემპებით ვითარდება. კლუბებიც ძლიერდებიან და პრემიერლიგის პროგრესიც თვალშისაცემია. ერთადერთი ტენდენცია, რაც არ მომწონს, ისაა, რომ პროვინციული გუნდები დედაქალაქურებს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კონკურენციას ვერ უწევენ"*.

ბუნებრივია, ბლატერი უეფას მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებსაც შეეხო. *"52 ევროპულ სახელმწიფოს არჩევნის სრული თავისუფლება აქვს და იმედი მაქვს, რომ მხარს ღირსეულ კანდიდატს დაუჭერენ. ჩემს სიმპათიას არ დავმალავ, ყველამ იცის, რომ მხარს მიშელ პლატინის ვუჭერ. ჩვენ მსგავსი იდეები გვაქვს, ფეხბურთის მომავალს ერთნაირად ვხედავთ. მჯერა, მიშელი წარმატებული პრეზიდენტი იქნება"*.

მუტკომ, თავის მხრივ, დასძინა, რომ მოხარულია ფიფას პრეზიდენტის სტუმრობით. მან პირობა დადო, რომ ყველაფერს ილონებს თანამეგობრობის თასის პრესტიჟის კიდევ უფრო ასამაღლებლად. მან იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ, ტურნირზე დუბლშემადგენლობას აღარავინ გამოიყვანს და ჩატარების თარიღებისა და ფორმატის შეცვლაზეც იფიქრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ შოთა გრიგალაშვილთან

# გერმანიაში დარჩენის იმედი მაქვს

**თბილისის "დინამოს" მიერ ტრანსფერზე დაყენებული შოთა გრიგალაშვილი გუშინ გერმანიას გაემგზავრა. გრიგალაშვილი „აუეში" ერთკვირიან ტესტირებას გაივლის და თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, დავით სირაძის თანაგუნდელი გახდება.**

**თბილისიდან გამგზავრებამდე შოთას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:**

- სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ კლუბმა ტრანსფერზე დამაყენა. მართალია "დინამოსთან" კვლავაც მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ალბათ სხვა გუნდში მომიწევს კარიერის გაგრძელება. ბედნიერი ვიქნები, თუკი ეს სხვა გუნდი მეორე ბუნდესლიგის „აუე" იქნება.

**- სხვა კლუბების ვარიანტი თუ გქონდა?**

- საუბრის დონეზე თურქულ კლუბებს ახსენებდნენ, მაგრამ კონკრეტულად არაფერი უთქვამთ.

**- „აუეს" ვარიანტი საიდან წამოვიდა?**

- გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. როგორც მითხრეს, "დინამოში" ოფიციალური მიწვევა მოვიდა გერმანიიდან, რომლის თანახმადაც „აუეში" ერთკვირიან ტესტირებაზე ვარ მიწვეული.

**- ფიზიკურად რამდენად კარგად ხარ მომზადებული?**

- რომ გითხრათ, ფანტასტიკურ ფორმაში ვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. კარგა ხანია, რაც მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც "დინამოს" დუბლებში შევუდექი წვრთნას. ბუნებრივია, კარგად ვიცი, რომ იქ მაქსიმალურად უნდა მოვინდომო.

**- თუ იცი „აუეს" რა პოზიციაზე სჭირდები?**

- რამდენადაც ვიცი, ნახევარდაცვის შუაში. ჩავალ და ამას იქ უკეთესად გავარკვევ. „აუეში" მოვხვდე და თუ სხვა პოზიციაზე დავჭირდები გუნდს, იქაც ვითამაშებ.

**- ბუნებრივია დაინტერესდებოდი თუ რა მოთხოვნებია „აუეში„?**

- გერმანელები ხისტი ფეხბურთის მიმდევრები არიან. ბრძოლისუნარიანი მოთამაშეები სჭირდებათ და ფიზიკურად კარგად მომზადებულები. ბრძოლას არასდროს ვერიდები, ბურთის ართმევა და პასიც მეხერხება.



შოთა გრიგალაშვილი

**- თუკი ყველაფერი კარგად იქნება, რა ხანგრძლივობის კონტრაქტს გააფორმებ?**

- არ ვიცი, ამაზე ჩემთან არავის არაფერი უთქვამს. თუკი ამ ტესტირებამ შედეგიანად ჩაიარა, ალბათ ჯერ სეზონის ბოლომდე გამიფორმებენ ხელშეკრულებას.

**- საკუთარი შესაძლებლობები კარგად იცი, „აუეზე" გარკვეული წარმოდგენაც გაქვს. საკუთარ შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- იმედი რომ არ მქონდეს, მაშინ გერმანიაში არც წავიდოდი. ორშაბათს „აუესთან" ერთად დავიწყებ ვარჯიშს, ალბათ ერთ ამხანაგურ მატჩშიც გამომცდიან. 31 იანვარს სატრანსფერო პერიოდი დასრულდება და ჩემი საკითხიც მანამდე უნდა გაირკვეს.

**- ამ ბოლო ხანს, კლაუს ტოპმიოლერთან ან რალფ მინგესთან ხომ არ გქონია საუბარი?**

- არა, საუბარი ნამდვილად არ მქონია.

**- ღმერთმა ნუ ქნას და ეს ვარიანტი, რომ არ გამოვიდეს, მაშინ "მერანში" გააააგრძელებ კარიერას?**

- არ ვიცი, საიდან გავრცელდა ხმა "მერანზე". უბრალოდ, ამ კლუბის პრეზიდენტსა და ყოფილ მთავარ მწვრთნელ დათო ეჯიბიშვილს კარგად ვიცნობ, ადრე მათთან ვთამაშობდი, საქმეზე ვიჟავი და შესაძლოა, ეს ხმები აქედან აგორდა...

**- ე. ი. "მერანში" გადასვლას გამორიცხავ?**

- არ ვიცი. ამ ეტაპზე ამას ნამდვილად არ განვიხილავ. ამჟამად მხოლოდ „აუეზე" ვარ აქცენტირებული.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

# ტოპმიოლერის სია ირკვევა

გასულ უქმეებზე გერმანიის მეორე ბუნდესლიგა განახლდა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელები **კლაუს ტოპმიოლერი** და **რალფ მინგე** ჩვენებურთა გუნდების მატჩებს დაესწრნენ. როგორც შევიტყვეთ, კლაუს ტოპმიოლერი "უნტერჰახინგი"-"აუე" და "მიუნხენ 1860"-"ფიურტის" მატჩებს დაესწრო. დღეს კი რალფ მინგე როსტოკში "ჰანზა"-"ფრაიბურგის" თამაშს მიადევნებს თვალს. ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ამ მატჩების ნახვის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდება იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც 6-7 თებერვლისთვის, თურქეთთან მატჩებზე გამოიძახებს.

ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, თუკი არაფერი შეიცვალა ამ სიაში ვიხილავთ **კახა კალაძეს, ლევან კობიაშვილს, მიხეილ აშვეთიას, დავით მუჯირს, ზაალ ელიავას, ილია კანდელაკს, გიორგი შაშიაშვილს,** გიორგი ლომაიას, ზურაბ ხიზანიშვილს, ჯაბა კანკავას, ზურაბ მენთეშაშვილს, შოთა არველაძეს, ოთარ ხიზანეიშვილს, ალექსანდრე იაშვილს, დავით სირაძეს, მათე ღვინიანიძეს, ნუკრი რევიშვილს, გრიგოლ ჭანტურიას, ლევან ცქიტიშვილს, დავით კვირკველიას, გოგიტა გოგუას, გიორგი დემეტრაძეს, ლადო ბურდულს, ლაშა სალუქვაძეს...

ამ ეტაპზე დაზუსტებით მეტი არაფერია ცნობილი.

**დავით ცაბაძე**

19-წლამდელთა ნაკრები. უცხოური შეკრება

# კიდევ ერთი დანაკლისი

ორიდღეა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ტრაბზონში, თურქეთის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე გადის შეკრებას. თბილისიდან გამგზავრებულ 16 ფეხბურთელს თბილისის "დინამოს" მცველი **გულვერდ თომაშვილი** დაემატა. ანთალიაში პირველი შეკრების დასრულების შემდეგ "დინამომ" თომაშვილი ტრაბზონში დატოვა, სადაც ჭაბუკებს მთავარი მწვრთნელი **ჰაინც ტოპმიოლერი** და ნაკრები გუნდების მწვრთნელ-დამკვირვებელი **პეტარ სეგრტი** შეუერთდნენ. საბოლოოდ გუნდი "ემპოლის" ფორვარდ **ლევან მჭედლიძით** შეივსო.

თბილისიდან გამგზავრებამდე 19-წლამდელებს "ამერის" ერთბაშად 5 ფეხბურთელი გამოაკლდათ, ბოლო მომენტში კი - "ზესტაფონის" ფორვარდი **ბექა გოცირიძეც**. ოფიციალური ინფორმაციით გოცირიძეს ფეხი აწუხებდა და გუნდს ტრაბზონში ამიტომ ვერ გაჰყვა.

შაბათს ჩვენმა ნაკრებმა ერთხელ ივარჯიშა. გუშინ კი ჰაინც ტოპმიოლერმა და პეტარ სეგრტმა ორჯერ ავარჯიშეს შეგირდები.

ჰაინც ტოპმიოლერის ნაკრები თურქეთში დღეს პირველ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ჩვენი ჭაბუკები "ტრაბზონის" ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდებიან. მატჩი თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# აშვეთია კარლ ცაისში... შეიძლება, ლომაიაც

როგორც იცით, **მიხეილ აშვეთია** თურქულ შეკრებაზე მყოფ უკრაინულ "ილიჩევეცთან" ერთად ვარჯიშობდა. 19 იანვარს, რუმინულ "ნასიონალთან" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში, საქართველოს ნაკრების ფორვარდმაც მიიღო მონაწილეობა. მარიუპოლის გუნდი 1:2 დამარცხდა. აშვეთია ძირითადში იყო. მან სრულად ჩაატარა პირველი ტაიმი, ხოლო შესვენების შემდეგ "ილიჩევეცის" მწვრთნელმა შემადგენლობა მთლიანად შეცვალა...

ახლა კი ირკვევა, რომ აშვეთიამ უკვე დატოვა მარიუპოლელთა გუნდი, საერთოდ თურქეთიც და შაბათს რუსეთს გაემგზავრა. გუშინ ის მოსკოვში იყო და მოლაპარაკებას სხვა კლუბთან აწარმოებდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, ერთ-ერთმა რუსულმა ბიზნესჯგუფმა გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე, ჩვენთვის კარგად ნაცნობი იენის "კარლ ცაისის" (ამჟამად, ერთ-ერთი აუტსაიდერის) აქციები შეისყიდა. შედეგად, ამ კლუბის ტექნიკურ დირექტორად ვინმე **კირიენკო** მოგვევლინა და რუსულ ფეხბურთში კარგად ცნობილი, და ამავე დროს, ჯერაც უკლუბოდ მყოფი ფეხბურთელების გადაბირებას შეუდგა. ერთ-ერთი მათგანი სწორედ აშვეთიაა. ჩვენი ინფორმაციით, "კარლ ცაისში" მისი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. კონტრაქტის დეტალებზე მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარა. აშვეთია ხვალ გერმანიაში გაემგზავრება და მიმდინარე სეზონის ბოლომდე გააფორმებს ხელშეკრულებას. მეტიც, მოსაალოდნელია, რომ აშვეთიას დებიუტი 26 იანვარს, ცხრილის ფსკერზე მყოფ ბრაუნშვაიგის "აინტრახტთან" (სტუმრად) შედგება.

სხვათა შორის, ისიც გავიგეთ, რომ იენურ კლუბს მეკარე **გიორგი ლომაიას** გადაბირებაც სურს და უკვე ამ საკითხზეც მიდის მოლაპარაკებები.

**დავით ცაბაძე**

# ნალჩიკის ნაცვლად აუეში!

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თურქეთში რამდენიმე ლიდერის გარეშე ემზადება. გამგზავრებულთა სიაში თავდაპირველად იყო "ზესტაფონის" თავდამსხმელი **ბექა გოცირიძეც**. თუმცა ნაკრების გამგზავრებიდან მეორე დღეს ბექამ "ზესტაფონის" რიგებში ითამაშა.

თავად ფეხბურთელი საუბარს და დაკონკრეტებას მოერიდა. ჩვენი წყაროებით დავადგინეთ, რომ იგი ნაკრებს მნიშვნელოვანი მიზეზის გამო ვერ დაეხმარება. გუშინ ის გერმანიაში გაემგზავრა, სადაც მეორე ბუნდესლიგელი "აუე" იწვევს.

"აუეში" აქამდე **დავით სირაძე** თამაშობდა, ახლა კი, შესაძლოა, ერთბაშად სამი ჩაირიცხოს: ბექა გოცირიძესთან ერთად, გერმანიაში გაემგზავრა "დინამოს" ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი**. ამას გარდა, "აუე" "ზესტაფონის" მარჯვენა მცველით, **ალექსი ბენაშვილითაცაა** დაინტერესებული.

გოცირიძე იანვარში ნალჩიკის "სპარტაკმა" თურქულ შეკრებაზე გასინჯა. ორ შეხვედრაში ქართველმა ერთი ბურთი გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. მას დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ ამ დროს გერმანიაში გადასვლის შანსი გამოუჩნდა და არც დაფიქრებულა. მიზეზი ისაა, რაც დღეს ბევრ ქართველ მოთამაშეს რუსეთისკენ გახედვის სურვილს უქრობს - გერმანიაში კლასის ამაღლების მეტი შანსია. "აუეში" ქართველების ჩარიცხვა ჯერ გადაწყვეტილი არაა. "აუეს" მწვრთნელი ქართველებს ვერდიქტს დაკვირვების შემდეგ გამოუტანს. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, მათი ტრანსფერისთვის საფუძველი შემზადებულია. გუნდის ხელმძღვანელებმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ **რალფ მინგესგან** ფეხბურთელებზე დადებითი რეკომენდაცია მიიღეს.

**მერაბ მამულაშვილი**

კლუბები. მეორე წრის წინ

# ზესტაფონი აზერებს დაუზავდა

**"ზესტაფონი": ჭანტურია - თურმანიძე (76. ბ. გოცირიძე), საჯაია, თოდუა, კ. ჩხეტიანი - ჭელიძე, რ. ონიანი, სანტოსი, ვიეირა - პარამონოვი (46. ნოზაძე), იონანიძე.**

თბილისის "ლოკომოტივის" დიღმის ბაზაზე შაბათს საკონტროლო მატჩი გამართა "ზესტაფონმა". მისი მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეათეადგილოსანი, ზაქათალის "სიმურგი" გახლდათ.

იმერლებმა სტუმრებს თავიდანვე შეუტიეს და მე-15 წუთზე ანგარიში **იონანიძემ** გახსნა.

მეორე ტაიმის 60-ე წუთზე ლუცკის "ვოლინის" ყოფილმა თავდამსხმელმა, აზერმა ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა ასეც დასრულდა - 1:1.

თამაში საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, ხისტი, სწრაფი. რამდენიმე ეპიზოდში ნერვებმა არა მარტო მოთამაშეებს, ქართველ ლაინსმენსაც უმტყუნა და მის შემგინებელ გოლის გამტან მაზერს მოედანზე შეუვარდა. მოთამაშეთა ჩარევის შემდეგ, ინციდენტი ჩაცხრა და რაც მთავარია, თავად მაზერმა მოიხადა ბოდიში.

"სიმურგის" მწვრთნელი **რომან პოკორა** უკრაინელია და უმაღლესი ლიგის "ალექსანდრია" და "პოლიგრაფტექნიკა" გაუწვრთნია.

*"კმაყოფილი დავრჩი თამაშით, რადგან ძალიან კარგი მეტოქე დაგვიპირისპირდა. წინასწარ არ ვიცოდი, რა დონის გუნდებს ვხვდებოდით და ახლა შემიძლია ვთქვა, რომ არ შევმცდარვართ. ეგაა, მსაჯმა ვერ "ჩასტვინა" ისე, საჭირო რომ იყო. თუმცა ესეც არაფერია. ნაყოფიერი თამაში ჩავატარეთ და სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, მეტოქემ საკმაოდ ორგანიზებულად ითამაშა"*, - გვითხრა პოკორამ.

მცირე ტრავმების გამო ვერ ითამაშეს **შალვა ლონლაძემ და გოგი ფიფიამ.**

"სიმურგი" თბილისში 29 იანვრამდე დარჩება და მინიმუმ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს - 23-ში გორის "დილასთან", 26-ში რუსთავის "ოლიმპთან", 27 იანვარს კი "მერანთან". ყველა ეს მატჩი 14:00 საათზე გაიმართება. მათგან ორი ისევ "ლოკომოტივის" ბაზაზე, "ოლიმპი" კი მეზობლებს თავის საფეხბურთო აკადემიაში უმასპინძლებს.

არაა გამორიცხული, გამგზავრების დღეს "სიმურგმა" კიდევ ერთი შეხვედრა ჩაატაროს. რაც შეეხება "ზესტაფონს", 23 იანვარს თბილისში მოსამზადებლად ჩამოსულ მეორე აზერბაიჯანულ გუნდს "შახდაგს" ისევ დიღომში შეხვდება. "შახდაგი" ეროვნული პირველობის აუტსაიდერია.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, მოგვწერე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გამოხმაურება

# მონათმფლობელი ჩერვიჩენკო

## რას წერენ ინგლისელები



გოგიტა გოგუა

**გოგიტა გოგუას** ტრანსფერმა ბრიტანეთში დიდი ინტერესი გამოიწვია. ცნობილი ჟურნალისტი **დან ბრენანი** საყურადღებო სტატიას აქვეყნებს გაზეთ "სქოთსმენში".

"ჰართსის" მეპატრონე **ვლადიმერ რომანოვი** ამჟამად მოსკოვში იმყოფება, სადაც თანამეგობრობის ტურნირზე "კაუნასისა" და საქართველოს ჩემპიონის მატჩს დაესწრო. თუმცა, რუსეთის დედაქალაქში, იგი ალბათ ტრანსფერების საკითხს აგვარებს, რომლებიც უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. საქმე მოსკოვის ლოკომოტიველ **ლარი კინგსტონს** და ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველ გოგიტა გოგუას ეხება. ამ ტრანსფერების განხორციელებაზე გარკვეული კითხვები ჩნდება.

გოგუა რუსეთის პრემიერლიგის 2006 წლის საუკეთესო ახალწვეულია და ერთ-ერთ ნიჭიერ ქართველ მოთამაშედ ითვლება. ეს ორი ნახევარმცველი "ჰართს" ბევრ სიკეთეს მოუტანს. მაგალითად, გოგუას შეუძლია **ჟულიენ ბრილიეს** შეცვლა, რომელსაც "ჰართსთან" კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. მოსკოვის "ლოკომოტივი" და "გალათასარაი" იყვნენ დაინტერესებულები.

გოგუას საკითხი მარტივიცაა და გასაოცარიც. მის ტრანსფერს ფლობს არა კლუბი, არამედ მოსკოვის "სპარტაკისა" და "ხიმკის" ყოფილი ხელმძღვანელი, ოლიგარქი **ანდრეი ჩერვიჩენკო**. მას "ხიმკის" რამდენიმე მოთამაშე ისე ჰყავს, როგორც შუა საუკუნეების ფეოდალს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველის საკითხს ორი ოლიგარქი არკვევს - რომანოვი და ჩერვიჩენკო. თავად ჩერვიჩენკო გოგუას დიდ ტალანტს უწოდებს და იხსენებს, რომ მის ნაცვლად სხვა ქართველ ფეხბურთელს სთავაზობდნენ. გოგუას ავსტრიელები იწვევდნენ, მაგრამ რუსმა მეტი გადაიხადა.

**მერაბ მამულაშვილი**

***P.S.* ჰართსის მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი მოსკოვშია და დღეს გოგუასთან ერთად ედინბურგში გაემგზავრება.**

ინტერვიუ სერგეი სტაროსტიაკთან

# საქართველოში სიამოვნებით ვითამაშებ

ზაქათალის "სიმურგისა" და "ზესტაფონის" მატჩში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მეტოქის ცენტრალურმა მცველმა, რომელიც გარეგნობით თუ ვიმსჯელებთ, არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მეზობელი ქვეყნის შვილი.

ის უკრაინის ნაკრების და დონეცკის "შახტიორის" ყოფილი მარჯვენა მცველი **სერგეი სტაროსტიაკი** აღმოჩნდა. მის თითოეულ გადაადგილებასა და მოქმედებაში კლასი იგრძნობოდა.

"შახტიორის" შემდეგ, იაროსლავლის "შინიკსა" და კრივოი როგის "კრივბასში" თამაშობდა, "სიმურგში" კი ახლახან გადავიდა.

33 წლის ვეტერანი საუბარზე უპრობლემოდ დაგვთანხმდა.

**- აზერბაიჯანელებმა ბევრი სახელიანი ფეხბურთელი გადაიყვანეს, მაგრამ თქვენი "სიმურგში" გამოჩენა მაინც მოულოდნელი იყო.**

- კარიერას უკვე ვამთავრებდი. თანაც, აზერბაიჯანში ჩემი ნაცნობი მწვრთნელი რომან პაკორა მიიწვიეს და დახმარება რომ მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი. საუბარი იყო სულ რაღაც ოთხი თვით თამაშზე. ოთხი თვით შეიძლება, მერე კი, არა მგონია, იქ დავრჩე.

**- „ზესტაფონზე" როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- საკმაოდ მძიმე მეტოქე აღმოჩნდა. ტიპურ ქართულ ფეხბურთს აჩვენებდა, ბურთს ბიჭები კარგად "ათრევდნენ". მგონი, რამდენიმე მათგანს უკრაინაშიც უთამაშია. გოლი რომ გაგვიტანა (იონანიძე), მეკარე (ჭანტურია) და მარცხენა მცველი (ჩხეტიანი) ვიცანი. ეს გუნდი ჩემპიონატში რომელ ადგილზეა?

**- მეოთხე ადგილზე.**

- მეოთხეზე?!

**- რატომ გაგიკვირდათ?**

- საკმაოდ კარგი გუნდია. არ მეგონა, საქართველოში ასეთი დონე თუ იყო. თბილისში გამომგზავრებამდე აზერბაიჯანის ჩემპიონ "ბაკის"შევხვდით და 2:0 უპრობლემოდ მოვუგეთ. თქვენი გუნდი მას ბევრად ჯობია.

**- "სიმურგი" მეათე ადგილზეა და ჩვენი პირველობის ლიდერს, წესით, თქვენი მოგება არ უნდა გაძნელებოდა.**

- "სიმურგი" ახლა ძალიან გაძლიერდა. უკრაინიდან ექვსნი ჩამოვედით და ეს გუნდს მალე დაეტყობა. "ბაკის" რომ მოვუგეთ გაუკვირდათ, მაგრამ მალე აღარ გაუკვირდებათ ამ გუნდის მოგება.

**- უკრაინის ნაკრებში საქართველოს წინააღმდეგ გითამაშიათ?**

- კი, ორჯერ მათამაშეს, ერთხელ მწვრთნელმა თბილისში დამაყენა, ის მატჩი ფრედ დამთავრდა.

**- საქართველოში თამაში რომ შემოეთავაზებინათ, აქაც ჩამოხვიდოდი?**

- საქართველოში უფრო ვითამაშებდი. ერთი, თუ შეგიძლიათ, გიორგი ჩიხრაძის ტელეფონი მომეცი, უმაღლესი ლიგის გუნდის მწვრთნელი არ არის?

**- დიახ, ასეა.**

- მომეცით ნომერი. კარგი გუნდი ჰყავს?

**- საკმაოდ. ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია.**

- "ჩიხოსთან" "შახტიორიდან" ვმეგობრობ, ძალიან კარგი ბიჭია. რაღა დაგიმალოთ, აზერბაიჯანში გაჩერება არ მინდა და თუკი თავის გუნდში მიმიწვევს, კლუბს და ქვეყანას სიამოვნებით შევიცვლიდი. საქართველოში გაცილებით უკეთესად ესმით და აფასებენ ფეხბურთს. ეს კი ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**მერაბ მამულაშვილი**

***P.S.* ჩვენთვის უცნობია "ამერის" პოზიცია უკრაინის ნაკრების ყოფილი მცველის აყვანასთან დაკავშირებით. ის კი შევიტყვეთ, რომ სტაროსტიაკით "ზესტაფონი" დაინტერესდა.**

ლეგიონერები

# უგოლო უქმეები

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | |
| პრემიერლიგა, XXIII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | სიტი-ბლექბერნი | 0:3 | 90 წთ. | 14 თ, 0 გ. |
| იტალია | | | | |
| სერია A, XX ტური | | | | |
| კახა კალაძე | ლაციო-მილანი | ?:? | არ უთამაშია, ტრავმა | 11 თ, 1 გ. |
| გერმანია | | | | |
| II ბუნდესლიგა, XVIII ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ჰანზა-ფრაიბურგი | - | დღეს | 15 თ, 2 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ჰანზა-ფრაიბურგი | - | დღეს | 4 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | უნტერჰახინგი-აუე | 1:1 | 60 წთ (შეცვალეს) | 16 თ, 2 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ფიურტი | 0:3 | 45 წთ (შეცვალეს) | 13 თ, 0 გ. |
| ჰოლანდია | | | | |
| ერედივიზიე, XXI ტური | | | | |
| შოთა არველაძე | დენ ჰააგი-ალკმაარი | 1:3 | 90წთ | 19 თ, 10 გ. |
| საბერძნეთი | | | | |
| სუპერლიგა, XVIII ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-ერგოთელისი | 2:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 9 თ, 0 გ |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი-პანათინაიკოსი | 0:0 | 90 წთ, გააფრთხილეს | 13 თ, 0 გ. |

ნისლიან ალბიონზე წარმატებული გამოდგა 23-ე ტური **ზურაბ ხიზანიშვილისა** და მისი "ბლექბერნ როვერსისთვის", კლუბი "მანჩესტერ სიტის" ეწვია და 3:0 გაანადგურა. ერთადერთი, რამაც "ბლექბერნის" ქომაგებს გული დაწყვიტა, ხიზანას მეწყვილე **ანდრე ოიერის** მძიმე ტრავმაა. ჰოლანდიელმა მცველმა იტალიელ **კორადისთან** ბრძოლაში კოჭი მოიტეხა. მისთვის სეზონი ამ მატჩით დასრულდა. "ბლექბერნი" 31 ქულით მეათე ადგილზეა.

ხიზანიშვილმა მატჩში 90 წუთი ითამაშა. "სანდი ფიფლისგან" ქართველმა მცველმა 6-ბალიანი შეფასება მიიღო. პირველი ტაიმის დასასრულს ზურამ "ბლექბერნი" გოლისგან იხსნა, როდესაც **სამარასის** დარტყმულს თავით გადაელობა, ბურთმა მიმართულება შეიცვალა, ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა. მატჩის შემდეგ **მაიკლ ჰიუზმა** ხიზანიშვილი და **სტეფან ანშო** შეაქო: "*ვფიქრობ, დღეს სტეფანისა და ზურას წყვილი კარგად თამაშობდა. განსაკუთრებით სარგებლიანად მაშინ ითამაშეს, როცა მეტოქემ შეტევებს მოუხშირა*".

სერია A-ში "მილანი" "ლაციოს" ესტუმრა, ქართველი მცველი **კახა კალაძე** ბოლომდე ჯერ არ გამოჯანმრთელებულა, ასე რომ, ის მილანელთა განაცხადშიც არ ყოფილა. ამ სეზონში ჩემპიონატში კახამ 11-ჯერ ითამაშა "მილანის" მაისურით და ერთი გოლი გაიტანა.




მათე ღვინიანიძე (19) ფიურტთან მატჩში

გერმანიაში ფეხბურთი მცირე შესვენების შემდეგ დაბრუნდა, უფრო ზუსტად, ჯერ მხოლოდ მეორე ბუნდესლიგაში. **სირაძის** "აუე" სტუმრად "უნტერჰახინგს" დაუზავდა 1:1 (ქართველმა 60 წუთი ითამაშა). **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი" დღეს ეწვევა როსტოკს. გუშინ **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენმა" "ფიურტს" უმასპინძლა. მიუნხენელები მოულოდნელად დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, "ლომებს" ვერც გუნდის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელმა ღვინიანიძემ უშველა, რომელიც შესვენებაზე (0:2-ზე) შეცვალეს.

**შოთა არველაძის** "ალკმაარი" შესვენების შემდეგაც წარმატებულად დაბრუნდა, **ლუის ვან გაალის** გუნდმა სტუმრად "დენ ჰააგი" დაამარცხა - 3:1. ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა, მაგრამ ბევრის გასაკვირად საგოლე გადაცემაც არ გაუკეთებია.



მარცხნივ ზურაბ ხიზანიშვილი

საბერძნეთში მე-18 ტურში **ლევან მაღრაძის** "ქსანთი" მეორეადგილოსან "პანათინაიკოსს" მასპინძლობდა, მცირე შესვენების შემდეგ მასპინძელთა რიგებში კვლავ გამოჩნდა ქართველი მცველი. ლევანმა 90 წუთი ითამაშა და 50-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. "ქსანთის" 21 ქულა აქვს, კლუბი ცხრილის შუაშია. მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა", შინ "ერგოთელისი" 2:0 დაამარცხა, სახიფათო ზონას გასცილდა და მაღრაძის "ქსანთისაც" გადაასწრო (22 ქულა). ჰოლანდიამოვლილი ცქიტიშვილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

კვიპროსში მე-17 ტურის ცენტრალური მატჩი ახნასში გაიმართა, სადაც "ეთნიკოსმა" **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისს" უმასპინძლა. 90 წუთი ითამაშა **ლევან ქებაძემ**, რომელმაც 72-ე წუთზე საგოლე პასი გააკეთა. **თემურ ქეცბაიამ** ცდუნებას ამჯერადაც გაუძლო და მოედანზე არ შესულა, მან ამის ნაცვლად მოედანზე **მარიან პახარსი** გაიყვანა, ლატვიელმაც 79-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა - 3:2. **კლიმენტი წიტაიშვილის** ახალი გუნდი აეკ "დიგენისს" დაუზავდა 1:1. ქართველი მოედანზე 65-ე წუთზე გამოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




შოთა არველაძეს (9) ბოლო ოთხი ტურია გოლი არ გაუტანია



ფუტსალი

# გამარჯვება, მაგრამ რისთვის?

გუშინ მალტაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი ეტაპის C ჯგუფის შეხვედრები დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩში მალტა 5:2 გაანადგურა, მაგრამ ჯგუფში მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა და ასპარეზობას გამოეთიშა. ქართველთაგან **თოთლაძემ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **წერეთელმა, ბოკერიამ** და **ასათიანმა** გაიტანეს.

ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ზაქაიძე, ჩალაძე, თოთლაძე, წერეთელი, სარქისიანი, ასათიანი, ძაბირაძე, ცნობილაძე, ბოკერია, სურმავა, შელეგია, დევდარიანი.**

შეგახსენებთ, პირველ ორ შეხვედრაში ჩვენი გუნდი ყაზახეთთან და კვიპროსთან ერთნაირი ანგარიშით, 1:4 დამარცხდა. სატურნირო ცხრილმა საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ყაზახეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 23-4 | 9 |
| 2. კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 14-8 | 6 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 7-10 | 3 |
| 4. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 4-25 | 0 |



გიორგი დემეტრაძე

ლეგიონერი

# დემეტრაძეს ბრინჯაო მოუნდა

ანთალიაში იმყოფება დონეცკის "მეტალურგი", რომლის რიგებშიც ვეტერანი ქართველი ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე** ასპარეზობს. "მეტალურგს" ახალი თავკაცი კო ადრიაანსე წვრთნის. გუშინ ადრიაანსემ ბაზაზე ორმხრივი მატჩი გამართა. დემეტრაძე "მწვანეების" გუნდში იყო, თუმცა მოედანზე სულ 16 წუთი დაჰყო, შემდეგ ქართველი ვოგმა შეცვალა. "მწვანეებმა" კი "ცისფერებს" 2:1 მოუგეს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რა მიზეზით შეცვალა მწვრთნელმა დემეტრაძე. მანამდე კი ქართველმა ფეხბურთელმა "მეტალურგის" ოფიციალურ საიტს ინტერვიუში განუცხადა, რომ ის კლუბთან ერთად ამ სეზონში ბრინჯაოს მედლების მოპოვებას გეგმავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შეხვედრა წარსულთან...

# რევოლუციური ქარტეხილები და ევოლუციური გარდაქმნები საფეხბურთო სამყაროში

ურუგვაიში გამართული პირველი მსოფლიო ჩემპიონატიდან დაწყებული, საფეხბურთო სამყაროში აშკარად გამოიკვეთა "დუბლ-ვეს" კლასიკური სისტემა, რომელმაც მეოთხედ საუკუნეზე მეტი იბატონა საფეხბურთო მინდვრებზე და მისი შეცვლა ცოტა ვინმეს თუ მოუვიდოდა აზრად. ზემოაღნიშნული სისტემა მოგაგონებდათ ურთიერთდაჭიმულ ზამბარიან მექანიზმს, სადაც ნახევარმცველები მეურვეობდნენ მოწინაალმდეგე გუნდის "ინსაიდებს" და პირიქით. ამ სისტემის დროს აშკარად გამოიკვეთა ფორვარდთა ნეიტრალიზების პერსონალური მიდგომა, რაც სანახაობითი ფეხბურთის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამის დასტურია თბილისის "დინამოს" მწვრთნელის, **გავრილ კაჩალინის** სიტყვებიც: *"ჩემ თაყვანისცემას ყოველთვის იმსახურებდა და იმსახურებს "დუბლ-ვეს" სისტემა".* სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებდა კიევის "დინამოს" იმდროინდელი დამრიგებელი **ვიქტორ მასლოვი:** *"სათამაშო სისტემა არ შეიძლება დოგმად ვაქციოთ - იგი არსებობს და იცვლება, რათა უკეთ იქნას გამოყენებული მოთამაშეთა შესაძლებლობანი."* რაც შეეხება კიდევ ერთ გამონათქვამს ტაქტიკასთან მიმართებაში, ცნობილი მწვრთნელის **ელენიო ერერას** ფრაზაა: *"არავითარი საიდუმლოება არ გამაჩნია - ვცდილობ, ფეხბურთელებს ამტანობა და შემართება გამოვუმუშაო, ურომლისოდ არავითარ ტექნიკას და ტაქტიკას გასავალი არა აქვს."* დაბოლოს, **ფრანც ბეკენბაუერი** დასძენდა, რომ *"ფეხბურთი - ყველაზე ვნებითია, ყველა არარსებულს შორის"*!!!

"დუბლ-ვეს" ბატონობის 5 მსოფლიო ჩემპიონატი აღინიშნა - ორჯერ ურუგვაის, ამდენჯერვე იტალიის, ერთხელ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის გამარჯვებით. 1958 წელს შვედეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს წინ უძღოდა შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატზე უნგრეთის ნაკრების აღზევება, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა "დიდი გუნდის" ტიტული. დავიწყოთ იმით, რომ უნგრეთის ნაკრებმა მე-2 შესარჩევ ჯგუფში უჩვეულო ანგარიშით შეძლო მოწინააღმდეგეთა დამარცხება - სამხრეთ კორეისა 9:0 და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდის 8:3, შემდგომ მეოთხედფინალში მათ ბრაზილიის ნაკრების გაცამტვერება შეძლეს 4:2 - გუნდისა, რომლის რიგებში ლეგენდარული მცველები ჯალმა და ნილტონ სანტოსები თამაშობდნენ. ნახევარფინალში კი დამატებით დროში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაიც მიაყოლეს - 4:2. ამ დროისთვის უნგრელთა ღირსებას **ფერენც პუშკაშის** თავკაცობით ისეთი ცნობილი ფეხბურთელები იცავდნენ, როგორიცაა მეკარე **გროჩიში**, მცველი **ბოჟიკი**, მინდვრის მოთამაშეები **კოჩოში, ჰიდეგუტი, ციბორი** და სხვები. ასე რომ, უნგრეთის ნაკრებს საფეხბურთო სამყარო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ როგორც იტყვიან, "კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო". სწორედ ასე დაემართა უნგრეთის ნაკრებს 1954 წლის 4 ივლისს ბერნში გამართულ ფინალურ მატჩში. გერმანელებმა უკიდურესად დაძაბულ პაექრობაში შეძლეს უნგრელთა დამარცხება - 3:2. ამ მატჩში აშკარად გამოიკვეთა ელენიო ერერას ზემოთაღნიშნული ფრაზა, როდესაც უნგრელი ფეხბურთის ვარსკვლავები აშკარად აღემატებოდნენ გერმანელებს ინდივიდუალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნგრეთის "დიდი გუნდის" სული და გული ფერენც პუშკაში. 1950 და 1954 წლებში ბრაზილიელთა მოულოდნელმა "ფიასკომ" კარგი სამსახური გაუწია სამხრეთამერიკელებს, რომლებიც 1958 წლის შვედეთის ჩემპიონატს "ჯადოქრების" როლში მოევლინენ. **ვისენტე ფეოლას** ხელმძღვანელობით ფეხბურთში მათ ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს. მაყურებელს უჩვენეს მანამდე არნახული 1-4-2-4 სისტემა, რომელიც შემდგომში "ყბადაღებულად" იქნა მონათლული, რადგან ამ სისტემამ მალე განიცადა ევოლუცია. და თუ 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე იგი ჯერ კიდევ კარგად ჰქონდათ ათვისებული მონაწილე ქვეყნებს, მომდევნო 1966 წლის ინგლისის ჩემპიონატზე, თვით ფეხბურთის კანონმდებლებმა, ინგლისელებმა შეუყენეს წყალი და მოწინააღმდეგეს შესთავაზეს სისტემა 1-4-3-3. დაახევინეს რა უკან მარცხენა გარემარბ **ბობი ჩარლტონს**, ამით დაცვითი სისტემა გააძლიერეს. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს კარგად ეხერხებოდა მინდვრის შუაგულზე ბატონობა, რაც მის კოლოსალურ შრომისმოყვარეობაში გამოიხატებოდა. კიდევ უფრო შორს წავიდა ელენიო ერერა. მილანის "ინტერნაციონალეში" მან შეძლო ე.წ. ტაქტიკრუი ვარიანტის "ბეტონის" და "სუპერ-ბეტონის" დამკვიდრება. ბრაზილიური სისტემას მეოთხე მცველს მეხუთეც მიუმატა და "ინტერის" შთამბეჭდავ გამარჯვებებში დაიმსახურა მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მწვრთნელის ტიტული. ბევრი სპეციალისტი და მიმომხილველი ელენიო ერერას "ფეხბურთის მესაფლავეს" უწოდებდა - თუმცა აქვე მინდა შევნიშნო, რომ ფეხბურთი ხომ დაცვიდან იწყება.

ამ მოვლენას ბევრი სპეციალისტი გამოეხმაურა და თვით იმდროინდელი "ფეხბურთის მეფე" **პელე** აღნიშნავდა: *"დადგება დრო "ლიბეროს" ე.წ. თავისუფალ მცველს მოედანზე ადგილი აღარ დარჩება და მას გასახდელში მოუწევს წასვლაო."* ასეა თუ ისე, ბრაზილიური სისტემის შემოქმედი ვისენტე ფეოლა დასძენდა, რომ ფეხბურთის საფუძველი, მაინც კოლექტიური თამაშია და არა რომელიმე ფეხბურთელის ინდივიდუალური აღზევებაო. რაც შეეხება ბრაზილიური სისტემის "გადმონაშთს" - 4 მცველის თამაშს, იგი გარეგნულად დღესაც ძალაშია, როდესაც ბევრი ტიტულოვანი გუნდი 4-4-2 სისტემას ამჯობინებს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ ბრაზილიურ სისტემას ორი ცენტრალური მცველი "სტოპერი" და "ლიბერო" გააჩნდა, დღესდღეობით 4 მცველი ერთ ხაზზეა განლაგებული, რომლის უპირატესობა მოწინააღმდეგის ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებაა.



ფერენც პუშკაში

ზემოაღნიშნულმა ბრაზილიურმა სისტემამ დიდი ჯახირითა და დავიდარაბით ორ ათეულ წელს იარსება, ვიდრე 1974 წელს გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებმა არ წარმოადგინა მანამდე უცნობი ტოტალური ფეხბურთი, რომელსაც სამართლიანად უწოდეს იმდროინდელმა საფეხბურთო სპეციალისტებმა "70-იანი წლების პირმშო". აი. რას აღნიშნავს ამის შესახებ "ლელოს" პირველი რედაქტორი და ჩემპიონატის მხილველი **მიხეილ კაკაბაძე:** *"იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ტოტალური ფეხბურთის არსი მოთამაშეთა დაუსრულებელ გადაადგილებაში, შეუჩერებელ სირბილში მდგომარეობს? ეს დღევანდელი ფეხბურთის ერთობ ვულგარული გაგებაა. როცა ვლაპარაკობთ დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე მე-10 მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში დემონსტრირებულ ტოტალურ ფეხბურთზე, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ მეტისმეტად მობილურ, მოძრავ თამაშს, რომელიც ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ მოთამაშეთა მაღალ ტექნიკურ-ტაქტიკურ ოსტატობაზეა დაფუძნებული."*

ტოტალური ფეხბურთის შემოქმედი და წამყვანი ძალა იმდროინდელი ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რინუს მიხელსი** და "მფრინავი ჰოლანდიელი" **იოჰან კრუიფი** გახლდათ. მინდა შეგახსენოთ ფეხბურთის მოყვარულებს, რომ ჰოლანდიური სისტემა სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტით იქნა დანერგილი და იგი საბჭოურ ფეხბურთში პირველებმა ვოროშილოვგრადის "ზარიას" ფეხბურთელებმა აიტაცეს და მიაღწიეს კიდეც საწადელს - 1972 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში "ზარია" ჩემპიონად მოევლინა საბჭოურ ფეხბურთს. მომდევნო 1973 წელს ამას მოჰყვა მორიგი სენსაცია. ამჯერად ჩემპიონის რანგში ერევნის "არარატი" აღზევდა საბჭოურ ფეხბურთში. თუ პირველ შემთხვევაში "ზარიას" წარმატება მაღალმა ანაზღაურებამ განაპირობა - 1000 მანეთი თვიური ხელფასი თითოეულ ფეხბურთელს - მეორე შემთხვევაში "არარატის" გაჩემპიონება ერთმა კაცმა **ნიკიტა სიმონიანმა** უზრუნველყო, რომელიც კარგად იცნობდა საბჭოური ფეხბურთის ყველა ნიუანსს. კარგად მახსოვს იმდროინდელ "ზარიასთან" მატჩის რეპორტაჟი, რომელიც ლეგენდარულ რადიოკომენტატორ **ეროსი მანჯგალაძეს** მიჰყავდა და მას სტუმრად ჰყავდა მოწვეული ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ანდრო ზაზროევი.** ზაზროევმა აღნიშნა, რომ "ზარიას" არავითარი ტაქტიკური მონახაზი არ გააჩნია - შეტევის დროს ყველა წინ მიდის, ბურთის დაკარგვის დროს კი ყველა უკან იხევსო. ამ მატჩში თბილისის დინამოელებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს მოწინააღმდეგეს, გაიმარჯვეს - 2:1. არც სტუმრად შეურცხვენიათ თავი "დინამოელებს". აგებდნენ რა პირველ ტაიმს 0:1, მეორე ნახევარში ყიფიანის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. ასე რომ, "ტოტალურად" მოასპარეზე "ზარაისთან" 3 ქულის აღება ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო. სანამ ტოტალური ფეხბურთის "წყალობით" საფეხბურთო სამყარო ამღვრეული იყო, ზემოაღნიშნულმა ერთობ უსახურმა გუნდებმა შეძლეს "ოქროს თევზის" დაჭერა. მოგვიანებით ტოტალური ფეხბურთის აღზევება რამდენადმე ჩაცხრა, ვიდრე 1990 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ნაკრებმა მესამედ არ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა და არ დაამკვიდრა საკმაოდ მობილური 1-3-5-2 სისტემა. სწორედ ამ სისტემის ტყვეობაში იმყოფება დღევანდელი მსოფლიო ფეხბურთი. ამ სისტემის სახესხვაობაა 1-4-4-2 მოთამაშეთა განლაგება, რასაც დღეს იყენებს მსოფლიო ქვეყნების წამყვანი ნაკრებები და ტიტულოვანი საკლუბო გუნდები.

**დემურ ტორაძე**

***P.S.** წერილი ეძღვნება "ბოროტების იმპერიაში" "აკრძალული" ფეხბურთელის ფერენც პუშკაშის ხსოვნას.*

ქართველები უკრაინაში

# ზარიაში კიდევ ორი ქართველია

ლუგანსკის "ზარიამ" ევპატორიაში მომზადება საკონტროლო შეხვედრით დაასრულა. მისი მეტოქე უზბეკეთის "სტროიტელი" გახლდათ და 0:2 დამარცხდა. "ზარიაში" არ უთამაშია **მიხეილ ბობოხიძეს**, რადგან გუნდის მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა ახალგაზრდები გამოსცადა. **ირაკლი ციკოლიამ** შეხვედრა სრულიად ჩაატარა.

საინტერესოა ისიც, რომ მეორე ნახევარში ლუგანსკელთა შორის გამოჩნდნენ უცნობი ქართველი ფეხბურთელები **გოგოხია და დაუშვილი.**

ეს უკანასკნელი "ზესტაფონის" საყრდენი ნახევარმცველი მურთაზ დაუშვილი გვეგონა, მაგრამ გვითხრეს, რომ იგი საქართველოს 19-წლამდელებთან ერთად, თურქეთში ემზადება.

მეორე მოთამაშე, გოგოხია ჯერ "თბილისში" თამაშობდა გიორგი დევდარიანის დროს, მერე კი რეგიონალლიგის "35-ე სკოლაში". მან კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილ 19-წლამდელებში ლილიანოს ახალგაზრდული თამაშების გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა.

**მერაბ მამულაშვილი**



მიხეილ ბობოხიძე

იტალია. სერია A. XX ტური

# შეგიძლიათ, მიულოცოთ...



ინტერის გამჩერებელი არავინაა

„ატალანტამ" ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო და საკვირაო თამაშების მოლოდინში ერთი დღით მეოთხე ადგილზე დაბრუნდა. ჩემპიონატის ნახევარი უკვე გასულია და როგორც არ უნდა დაასრულონ სეზონი ბერგამოელებმა, იმის თქმა თამამად შეიძლება, რომ „ატალანტა", როგორც გუნდი, უკვე შედგა. დებიუტანტს, რომელიც მიზნად სერია A-ში დარჩენას ისახავს, მაღალი კლასი და სპექტაკლების დადგმა ნაკლებად მოეთხოვება (თუმცა შიგა და შიგ ასეთებსაც გამოურევს ხოლმე), სხვა მხრივ კი, ორგანიზაცია, ბრძოლის ჟინი, მოძრაობისა და გაუთავებელი რბენის სურვილი „ატალანტას" საკმარისზე მეტი აქვს და აგერ შედეგიც - ევროპული ზონა, რომელზეც სეზონის წინ „შავ-ლურჯების" ტიფოზებიდან ყველაზე გამოუსწორებელი ოპტიმისტიც ვერ იოცნებებდა. „ასკოლის" საშველი კი არ ჩანს. ნოემბერში **ნედო სონეტის** მწვრთნელად დანიშვნამაც დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო. 5 ქულა 9 შეხვედრაში - ასეთია ახალი თავკაცის მონაგარი. იყო ასე 15-წუთიანი მონაკვეთი, როცა „ასკოლიმ" თავი გამოიდო და **პაოლუჩის** გოლით დამსახურებულადაც გაათანაბრა. მაგრამ სულ ეს იყო, მანამდე და მას შემდეგ მოედანზე მხოლოდ „ატალანტა" თამაშობდა. ბერგამოელები მე-6 წუთზე **ძამპანიას** თავურით დაწინაურდნენ, 84-ე წუთზე ბრაზილიელმა მცველმა **ადრიანომ** ბერგამოელები კიდევ ერთი თავურით ხელმეორედ დააწინაურა, 86-ე წუთზე კი სტუმართა ლიდერმა და მამოძრავებელმა ძალამ, **კრისტიანო დონიმ** საბოლოოდ გააფორმა „ატალანატას" პირველი გასვლითი გამარჯვება 15 ოქტომბრის შემდეგ.

შაბათის მეორე შეხვედრაში „რეჯინა" „პალერმოს" მასპინძლობდა. სამხრეთულმა დერბიმ გულშემატკივრის მოლოდინი ვერ გაამართლა. დიდი მონდომების მიუხედავად, „რეჯინამ" ვერ აჩვენა ისეთი მკვეთრი თამაში, როგორსაც საკუთარ „გრანილოზე" ტრადიციულად აჩვენებს ხოლმე. „პალერმო" კი თითქოს გამწვავებას მოერიდა და გოლის არგაშვებით დაკმაყოფილდა. თამაშმა კი აჩვენა, რომ მეტი გამბედაობის შემთხვევაში, სიცილიელებს, რომლებიც კალაბრიელებს კლასით აშკარად აღემატებიან, გამარჯვებაც შეეძლოთ. მაგრამ ეს მხოლოდ პოსტ ფაქტუმ. **გუიდოლინის** გუნდი კვლავაც რჩება, როგორც იტალიაში ამბობენ, ჩემპიონატის „მესამე ძალად", მაგრამ „რომაზე" დაწევა თუ უნდა, მაშინ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, განსაკუთრებით გასვლით თამაშებში, სადაც 29 ოქტომბრის შემდეგ აღარ გაუმარჯვია. მართალია, „პალერმოს" ტრავმის გამო, დიდი მეგოლე **ამაური** აკლია, მაგრამ ბრაზილიელის არყოფნა მაინც ვერ გაამართლებს იმას, რომ გუნდი სტუმრად ასე გაუბედავად თამაშობს. შეხვედრა ისე მიილია, რომ ნამდვილი საგოლე მომენტი არცერთ კართან არ ყოფილა. პირველ ტაიმში თამაში „რეჯინას" მიჰყავდა, მაგრამ ეს სტუმართა დაცვითი ტაქტიკის დამსახურებაც იყო. მეორე ნახევარში ინიციატივა პალერმოელების მხარეს გადავიდა, თუმცა დასამახსოვრებელი მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო, როცა **დი მიკელეს** დარტყმის შემდეგ მასპინძელთა კარს ბურთი ოდნავ ასცდა. საერთოდ, დი მიკელე ძალიან უნიათოდ გამოიყურებოდა და მწვრთნელმა 82 წუთზე შეცვალა, რასაც ფორვარდის მხრიდან დიდი უკმაყოფილება, ნამატჩევს კი სერიოზული პოლემიკა მოჰყვა, თუმცა გუიდოლინმა, როგორც საერთოდ სჩვევია, ესეც უპასუხოდ დატოვა.

მთავარი მოვლენები კი კვირას განვითარდა. წლეულს „ინტერს" იტალიაში მეტოქე რომ არ ჰყავს, იმითაც მტკიცდება, რომ ეს გუნდი უკვე საკუთარი რეკორდების გაუმჯობესებაზე გადავიდა: „ნერაძურიმ" ზედიზედ მე-13 გამარჯვება იზეიმა და 11 ქულამდე გაზადრა უპირატესობა „რომასთან", რომელსაც ზედიზედ მეორედ მოუწია შინ ერთი ქულით დაბრუნება. არაჩვეულებრივია „ინტერის" შედეგი და ამავე დროს, ძალიან ჩვეულებრივიც, იმ გაგებით, რომ ამ გუნდის გამარჯვებები აღარავის უკვრის. ისე, როგორც პირველ წრეში, შავლურჯებმა „ფიორენტინას" ამჯერადაც სამჯერ გაუტანეს. საბოლოო ჯამში ბევრს არაფერს წყვეტს ის, რომ სტუმრებს ძალიან აკლდათ **მუტუ** და **უიფალუში** (ორივე დისკვალიფიცირებული იყო). მილანელები იმდენად თავდაჯერებულად თამაშობდნენ, რომ მუტუს მოედანზე ყოფნა ცოტას თუ შეცვლიდა. მასპინძლებმა მხოლოდ დასაწყისში მისცეს თავს მცირედი დაბნეულობის უფლება და მე-5 წუთზე გოლიც მიიღეს: **პასკუალმა** შორეულ ძელთან ჩააწოდა, „ინტერის" დაცვა გაუნძრევლად დადგა, რითაც **ლუკა ტონიმ** ისარგებლა და **ტოლდოს** თავით გაუტანა. ამან თამაში ძალიან გამოაცოცხლა. „ინტერი" წინ წავიდა, რაც „ვიოლასაც" აძლევდა მწვავედ შეტევის საშუალებას. ასე მოვიდა მე-19 წუთი, როცა **ადრიანომ** ბურთი საჯარიმოს წვერთან მიიღო და პირდაპირ მცველის მოტყუებაზე წავიდა, მაგრამ მოულოდნელად პაუზა გააკეთა და უკნიდან ჩართულ **სტანკოვიჩს** დაუგორა, სერბმაც ერთი ძლიერად დაჰკრა და ბურთი „ცხრიანში" გაჭედა - 1:1. ოთხ წუთში სტუმრების კარში ჯარიმა დაინიშნა. ადრიანოს უძლიერესი დაბალი დარტყმის შემდეგ ბურთი „ცოცხალ კედელში" გაძვრა და **ფრეისგან** მარჯვენა კუთხეში ამოჩნდა - 2:1. თასის ჩათვლით, ბრაზილიელმა ბოლო 4 შეხვედრაში მე-4 გოლი გაიტანა. თუ ფლორენციელები პირველ ტაიმში სახიფათოდ უტევდნენ, შესვენების შემდეგ მსგავსი ალარაფერი ყოფილა. თავს არც „ინტერი" იკლავდა, თუმცა თამაშს აკონტროლებდა და გოლზეც არ იყო უარს. 71-ე წუთზე სტანკოვიჩმა სტანდარტული მდგომარეობიდან საჯარიმოში ჩააწოდა, **იბრაჰიმოვიჩის** ძლიერი თავური ფრეიმ აკრობატულ ნახტომში უკუაგდო, მაგრამ შვედმა ფეხით დაამატა, ფრეიმ წამოდგომა მოასწრო და ამჯერადაც მოიგერია (თუმცა თავად კარის ხაზს უკან იყო), მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა და ცენტრისკენ მიუთითა - 3:1. აქ კი ყველაფერი დამთავრდა, „ინტერი" ჩემპიონატს დაეპატრონა. შეგვიძლია, მივულოცოთ: რა უნდა მოხდეს, რომ **რობერტო მანჩინის** ბიჭებმა პირველი ადგილი დაკარგონ. არ გვჯერა!

„რომასთვის" 2007 წელი უილბლოდ დაიწყო: ზედიზედ მეორე ფრემ რომაელთა საჩემპიონო შანსები დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თუმცა, იოლი თამაში რომ არ ელოდათ, დედაქალაქელებმა ეს თავიდანვე იცოდნენ: კვირის დასაწყისში მომხდარი მოვლენების შემდეგ, „ლივორნოს" საკუთარ პრეზიდენტთან დასამტკიცებელი ჰქონდა, რომ მწვრთნელის პოსტზე დატოვება სწორი გადაწყვეტილება იყო. გამარჯვებით ეს აშკარად დამტკიცდებოდა, მაგრამ ტოსკანელებისთვის მეორეადგილოსანთან ნათამაშები ეს 1:1 არ არის ურიგო შედეგი. დისკვალიფიცირებული **დე როსისა** და **პისაროს** არყოფნაში, „რომას" ძირითადში პირველად გამოჩნდა იანვარში ნაყიდი **ვილჰელმსონი**. ამ ყველაფერმა დედაქალაქელების ტაქტიკური მონახაზი გვარიანად არია. საყრდენები რომ აღარ ჰყავდა, **სპალეტიმ** ერთის ადგილას **პეროტა** ჩამოსწია, მეორეზე კი **კივუ** ასწია. რუმინელის პოზიცია დაცვაში ახალგამოჯანმრთელებულმა **მექსემ** დაიკავა. ვილჰელმსონის გამოსვლამ **ტადეის** მარჯვნიდან შუაში გადანაცვლება გამოიწვია. ალბათ ამ ყველაფრის გამოც იყო, რომ „რომა", როგორც კი მეტოქის ნახევარზე გადადიოდა, ძალიან წვალობდა და ველარ აჩვენებდა იმ სწრაფ და კომბინაციურ ფეხბურთს, რომლითაც სერია A-ში ყველასგან გამოირჩევა. მე-19 წუთზე **ფერარიმ** საჯარიმოში **ლუკარელი** წააქცია. დაზარალებულმა 11-მეტრიანი (ცოტა საკამათო) ზუსტად შეასრულა, მაგრამ მსაჯმა გაამეორებინა. ტოსკანელთა მეგოლემ მეორე ცდაზეც უშეცდომოდ დაარტყა და „ლივორნო" წინ გაიყვანა. სულ ეს იყო ის, რაც მასპინძლებმა პირველ ტაიმში „რომას" კართან შექმნეს, დანარჩენი დრო კი სტუმრების თამაშის ჩახშობას მოანდომეს და მთლიანობაში ამ ამოცანას თავი კარგადაც გაართვეს. ერთი-ორი ეპიზოდი იყო, როცა რომაელებს გატანა შეეძლოთ, მაგრამ ბოლო მომენტში სიზუსტე არ ჰყოფნიდათ ან ლივორნოელთა მეკარე **მანიტა** თამაშობდა კარგად. მეორე ნახევარში „რომა" შედარებით უკეთ ათამაშდა და ამან შედეგი 74-ე წუთზე გამოიღო: **მანსინიმ** გრძელი გადაცემით მოძებნა ვილჰელმსონი, რომელმაც მარჯვნიდან ერთი შეხებით გადააწოდა საჯარიმოში უმეურვეოდ დატოვებულ **ტოტის** და კაპიტანმაც უპრობლემოდ გაათანაბრა - 1:1. გოლის მიუხედავად, ტოტიმ მაინც ცუდად დაასრულა: დამატებულ დროში **გალანტეს** დაარტყა, რისთვისაც მოედნიდან მაშინვე გააძევეს, მაგრამ გალიზიანებულმა კაპიტანმა ესეც არ იკმარა და გასახდელისკენ მიმავალმა თავის ფიზმომზადების მწვრთნელს, **ვიტორიო სკალას** ხელი ისე ჰკრა, რომ მიწაზე დაანარცხა.

„ემპოლიმ" „სამპდორია" პირწმინდად დაჩაგრა და ჩემპიონთალიგური ოცნება გაიგრძელა. ასე ჩაუშხმადა **ვალტერ ნოველინოს** მწვრთნელის რანგში ჩატარებული მე-200 მატჩი სერია A-ში. წარმატებული გამოდგა **ალბერტო მალეზანის** დებიუტი „უდინეზეს" მწვრთნელის სკამზე. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ უდინურმა გუნდმა **ვინჩენცო იაკუინტას** შედეგიანი თავურით მოუგო „მესინას", რომელიც 90 წუთის განმავლობაში დაცვიდან არ ამოსულა. დიდი ოფლისღვრითა და მინიმალური ანგარიშით მოიგო „პარმამაც". გამარჯვების გოლი 19 წლის **ჯუზეპე როსიმ** გაიტანა, რომელიც პარმელებმა იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედისგან" იჯარით ინათხოვრეს. **ძაკერონის** „ტორინოსთვის" ეს მესამე წაგება იყო ბოლო ოთხ ტურში. ჩემპიონატში პირველი საშინაო მარცხი ინვნია „კატანიამ", თანაც „კალიარისთან", რომლისთვისაც ეს პირველი გასვლითი გამარჯვება იყო. „სიენამ" ნავსი გატეხა და სერია A-ში პირველად მოუგო „კიევოს".

## გადატანილი მატჩი

24 იანვარი. კატანია-ემპოლი

## მომდევნო ტური

27 იანვარი. ტორინო-უდინეზე, პალერმო-ლაციო. 28 იანვარი. მესინა-ასკოლი, ატალანტა-კატანია, კიევო-ემპოლი, ფიორენტინა-ლივორნო, მილანი-პარმა, კალიარი-რეჯინა, რომა-სიენა, სამპდორია-ინტერი.

### ასკოლი-ატალანტა 1:3

**ასკოლი:** პალიუკა-6, მელარა-5 (69. პეშე-შ.გ), დი ბიაჯო-6, ნასტასე-5, ვასტოლა-5.5, ფინი-5.5, გ. ფონტანა-6.5, პ. ძანეტი-6.5, ბონანი-6 (64. გუბერტი-5.5), პაოლუჩი-6.5, ბელანოვიჩი-5.5 (55. პერული-5).

**ატალანტა:** კალდერონი-6.5, ადრიანო პერეირა-6.5, ტალამონტი-6, კაროციერი-6.5, ბელინი-6, პინტუ-6 (83. დეფენდი-შ.გ), მილიაჩო-6, დონატი-6.5, არიატი-6 (76. ტისონე-6.5), კ. დონი-7, ძამპანია-6.5 (69. ვენტოლა-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ძამპანია (51), 1:1 პაოლუჩი (73), 1:2 ადრიანო პერეირა (84), 1:3 კ. დონი (86)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 20-25; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 18-14 (7-9); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 8 000

### რეჯინა-პალერმო 0:0

**რეჯინა:** პელიცოლი-6, ლანძარო-6.5, ა. ლუკარელი-6 (63. ამერინი-6), არონიკა-6, მესტო-7, ტონიოცი-6 (84. ბარილა-შ.გ), ვიჯანი-5.5, ჯაკ. ტედესკო-6, მოდესტო-6.5, ამორუზო-6, ბიანკი-5.5 (72. მისიროლი-5).

**პალერმო:** ა. ფონტანა-6, კასანი-6, ძაკარდო-6.5, ბარძალი-6, ბრეშანო-5.5, გუანა-6, კორინი-6 (82. ჯოვ. ტედესკო-შ.გ), სიმპლისიუ-5, მ. პიზანო-6, დი მიკელე-6 (82. დიანა-შ.გ), კარაჩოლო-5.5.

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 19-23; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 10-13 (4-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 18 000

### ინტერი-ფიორენტინა 3:1

**ინტერი:** ტოლდო-6.5, მატერაცი-7, მაქსველი-6.5 (69. კორდობა-6), ხ. ძანეტი-6, ბურდისო-6, მაიკონი-6, სტანკოვიჩი-7 (81. დაკური-შ.გ), ვიეირა-6.5, კამბიასო-6.5, ადრიანო-7.5 (86. კრესპო-შ.გ), იბრაჰიმოვიჩი-7.

**ფიორენტინა:** ფრეი-5.5, დაინელი-6, პასკუალი-5.5, გამბერინი-5.5, პოტენცა-6.5, გობი-5.5 (75. მონტოლივო-შ.გ), დონადელი-5.5, იორგენსენი-5, ბლაზი-5.5 (62. რეუინალდო-6), ლივერანი-5 (31. პაცინი-6), ტონი-7.

**გოლები:** 0:1 ტონი (5), 1:1 სტანკოვიჩი (19), 2:1 ადრიანო (24), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (71)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-8 (10-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 50 000

### ლივორნო-რომა 1:1

**ლივორნო:** მანიტა-7, გრანდონი-6, პასკუალე-6.5, კუფური-6, პფერტცელი-6, გალანტე-5, ა. ფილიპინი-7, პასონი-6, მორონე-6.5, კ. ლუკარელი-7, პაულინიო-5 (59. ბაკაიოკო-6/88. რეზაეი-შ.გ).

**რომა:** ა. დონი-6, ფერარი-6 (58. ტავანო-5.5), მექსე-6.5, პანუჩი-6.5, კივუ-6.5, ტონეტო-6.5, მანსინი-6.5 (89. კასეტი-შ.გ), პეროტა-6, ტადეი-6.5 (85. ვუჩინიჩი-შ.გ), ვილჰელმსონი-7, ტოტი-4.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (21-პენ), 1:1 ტოტი (74)

**გაძევება:** ტოტი (90. რომა)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 25-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 5-22 (3-13); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 10 398

### კატანია-კალიარი 0:1

**კატანია:** პანტანელი-6, სილვესტრი-6 (76. ლუჩენტი-შ.გ), მინელი-5.5, სოტილი-6.5, ვარგასი-6, ჯ. კოლუჩი-5 (59. კორონა-6), ედუსეი-5.5, ბაიოკო-6, იცკო-5 (82. როსინი-შ.გ), მასკარა-6, სპინეზი-5.5.

**კალიარი:** ფორტინი-6.5, ბიანკო-7, აგოსტინი-6.5, ლოპესი-6.5, ფ. პიზანო-6, ლ. კოლუჩი-6, კაპონე-6 (64. პეპე-6), მარკინი-7 (77. ბისერა-შ.გ), კონტი-6, სუასო-6, ლანჯელა-5.5 (55. ა. დ'აგოსტინო-6).

**გოლი:** 0:1 სუასო (9-პენ)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 21-24; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-10 (6-8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

### ემპოლი-სამპდორია 2:0

**ემპოლი:** ბალი-6, პრატალი-6, მარძორატი-6, ლუკინი-6 (59. ასკოლი-6), რაჯი-6.5, დ. მორო-6, ვანუკი-6.5, ბუშე-6.5, ალმირონი-6, საუდატი-6.5 (64. მატეინი-6.5), პოცი-6 (81. ვანილი-შ.გ).

**სამპდორია:** ძოტი-6, სალა-6, კ. ძენონი-6, აკარდი-6.5, მაჯო-6.5, დ. ფრანჩესკინი-6 (76. ოლივერა-5.5), პალომბო-6, ჯ. დელვეკიო-6 (59. პაროლა-5.5), ბაძანი-5 (68. ბონაცოლი-5), ფლაკი-5.5, კვალიარელა-6.

**გოლები:** 1:0 საუდატი (56-პენ), 2:0 მატეინი (87)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-10; **ჯარიმა:** 28-35; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 14-11 (6-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 15 000

### უდინეზე-მესინა 1:0

**უდინეზე:** დე სანქტისი-6, საპატა-6, მოტა-5.5 (70. სიკეირა-6), ნატალი-6, კოდა-6.5, პინცი-6, მუნტარი-6.5, დ. ძენონი-6.5, ობოდო-6 (62. ბარეტო-5.5), იაკუინტა-7, დი ნატალე-7 (89. გ. დ'აგოსტინო-შ.გ).

**მესინა:** კალიონი-6.5, ზორო-5.5, ძანკი-6, რეა-5.5 (86. ლავეკია-შ.გ), ჯალომბარდო-5.5, მაზიელო-5.5, დე ვეცე-6, ალვარესი-6, ოგასავარა-5.5, დი ნაპოლი-5, ილიევი-5.5.

**გოლი:** 1:0 იაკუინტა (76)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-8 (8-0); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 14 000

### სიენა-კიევო 2:1

**სიენა:** მანინგერი-6, რინაუდო-6.5, მოლინარო-5.5, პორტანოვა-7, ბერტოტო-6, ვერგასოლა-5.5, ანტონინი-6, კოდრეა-6.5, ფრიკი-6 (88. ე. ბრევი-შ.გ), კორვია-5.5 (46. კიეზა-7), ლოკატელი-5 (46. კოცა-7).

**კიევო:** სიჩინიანო-6, დ'ანა-5.5, მარკეზე-6, მანდელი-5, მალაგო-6, სემიოლი-6 (83. კოსატო-შ.გ), იტალიანო-6.5 (63. მარკოლინი-5.5), სამარკო-5.5, ბრიგი-6.5, პელისიე-5 (65. ობინა-5.5), ბოგდანი-5.5.

**გოლები:** 0:1 ბრიგი (25), 1:1 ანტონინი (62), 2:1 პორტანოვა (67)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 11-3; **კარში დარტყმა:** 11-15 (7-9); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 6 000

### პარმა-ტორინო 1:0

**პარმა:** ბუჩი-6, პაჩი-6.5, კასტელინი-5.5, ფერნანდო კოუტუ-6, ფერონეტი-5.5, პერნა-6.5, ბოლანო-7 (76. დესენა-შ.გ), მორფეო-6, გრელა-7, ბუდანი-6.5, როსი-8 (84. მუსლიმოვიჩი-შ.გ).

**ტორინო:** ტაიბი-6, ო. ბრევი-6.5, ბალესტრი-5.5, ჩოფი-6.5, კომოტო-7, ი. ფრანჩესკინი-5.5, როზინა-6.5, ბარონე-5.5 (78. აბრუსკატო-შ.გ), ფიორე-5 (70. გალო-6), დე აშენტისი-6, მუცი-5 (70. სტელონე-5.5).

**გოლი:** 1:0 როსი (75)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 26-25; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 17 000

### ლაციო-მილანი 0:0

**ლაციო:** პერუცი-6 (46. ბალოტა-6), ბეჰრამი-5.5 (81. ბელერი-შ.გ), სივილია-6, კრიბარი-6, ძაური-6, მუდინგაი-6, ლედესმა-6, მუტარელი-5.5, მაური-5.5, როკი-6.5, პანდევი-5.5 (86. ფოჯა-შ.გ).

**მილანი:** დიდა-6.5, კაფუ-6, ბონერა-6, მალდინი-6, იანკულოვსკი-6, გატუზო-6.5, პირლო-6, ბროკი-6 (82. ამბროზინი-შ.გ), ზეედორფი-5.5, კაკა-6, ჯილარდინო-5.5 (80. ფ. ინძაგი-შ.გ).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 11-9 (7-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 33 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 17 | 3 | 0 | 44-17 | 54 |
| 2. რომა | 20 | 13 | 4 | 3 | 42-17 | 43 |
| 3. პალერმო | 20 | 12 | 3 | 5 | 37-23 | 39 |
| 4. ემპოლი | 19 | 7 | 7 | 5 | 18-17 | 28 |
| 5. ლაციო | 20 | 8 | 6 | 6 | 30-18 | 27 |
| 6. ატალანტა | 20 | 7 | 6 | 7 | 35-31 | 27 |
| 7. უდინეზე | 20 | 7 | 5 | 8 | 20-23 | 26 |
| 8. კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26-34 | 26 |
| 9. მილანი | 20 | 8 | 8 | 4 | 25-17 | 24 |
| 10. სამპდორია | 20 | 6 | 6 | 8 | 28-28 | 24 |
| 11. სიენა | 20 | 5 | 10 | 5 | 18-21 | 24 |
| 12. ლივორნო | 20 | 5 | 8 | 7 | 20-30 | 23 |
| 13. კალიარი | 20 | 4 | 10 | 6 | 16-21 | 22 |
| 14. ტორინო | 20 | 5 | 7 | 8 | 15-24 | 22 |
| 15. ფიორენტინა | 20 | 10 | 4 | 6 | 31-20 | 19 |
| 16. კიევო | 20 | 4 | 5 | 11 | 21-30 | 17 |
| 17. მესინა | 20 | 3 | 7 | 10 | 20-34 | 16 |
| 18. პარმა | 20 | 3 | 6 | 11 | 17-35 | 15 |
| 19. რეჯინა | 20 | 6 | 6 | 8 | 24-28 | 13 |
| 20. ასკოლი | 20 | 1 | 6 | 13 | 14-32 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 - ტოტი (რომა); 11 - სპინეზი (კატანია); 10 - ბიანკი (რეჯინა), კ. დონი (ატალანტა), მუტუ (ფიორენტინა), ტონი (ფიორენტინა); 9 - იაკუინტა (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კვალიარელა (სამპდორია), რიგანო (მესინა); 8 - ამაური (პალერმო), ბუდანი (პარმა).

## სერია B

XX ტური

**ჯენოა-მანტოვა 2:1**

გოლები: 1:0 დე როზა (17), 2:0 დე როზა (52), 2:1 სპინალე (90)

**იუვენტუსი-ბარი 4:2**

**იუვენტუსი:** მირანტე, ბირინდელი, ჯანიკედა, პიკოლო, ბალცარეტი, კამორანეზი (59. მარკიონი), პარო, კ. ძანეტი (74. მარკიზიო), ნედვედი, ტრეზეგე, დელ პიერო (80. ბოჟინოვი).

გოლები: 0:1 სანტორუვო (1), 1:1 ტრეზეგე (34), 2:1 ნედვედი (45), 3:1 დელ პიერო (67), 4:1 ნედვედი (73), 4:2 ჯერვაზონი (89)

**რიმინი-ტრიესტინა 1:1**

გოლები: 0:1 აბრუცეზე (14), 1:1 მოსკარდელი (31)

**ბრეშა-პესკარა 2:1**

გოლები: 1:0 სანტაკროჩე (40), 1:1 კარი (64), 2:1 სტანკევიჩუსი (87)

**ტრევიზო-სპეცია 3:0**

გოლები: 1:0 აკვაფრესკა (4), 2:0 აკვაფრესკა (28), 3:0 აკვაფრესკა (56)

**ვერონა-ჩეზენა 2:1**

გოლები: 1:0 კუტოლო (2), 2:0 უილიამი (51), 2:1 პაპა ვაიგო (56)

გაძევება: პერტიკონე (45. ვერონა)

**ლეჩე-ნაპოლი 1:1**

გოლები: 1:0 პოლენგი (12), 1:1 დე ძერბი (24)

**პიაჩენცა-ვიჩენცა 0:3**

გოლები: 0:1 პადოინი (24), 0:2 ფოტი (39), 0:3 შევოხი (67)

**ალბინოლეფე-ფროზინონე 1:1**

გოლები: 1:0 ჩელინი (34), 1:1 კასტილიო (75)

**კროტონე-ბოლონია 0:0**

**მოდენა-არეცო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 14 | 5 | 1 | 36-12 | 38 |
| 2. ნაპოლი | 20 | 9 | 9 | 2 | 21-12 | 36 |
| 3. ჯენოა | 20 | 10 | 5 | 5 | 33-26 | 35 |
| 4. რიმინი | 20 | 9 | 7 | 4 | 33-20 | 34 |
| 5. ბოლონია | 20 | 10 | 4 | 6 | 24-17 | 34 |
| 6. პიაჩენცა | 20 | 10 | 4 | 6 | 24-22 | 34 |
| 7. მანტოვა | 20 | 8 | 9 | 3 | 22-14 | 33 |
| 8. ალბინოლეფე | 20 | 5 | 14 | 1 | 19-15 | 29 |
| 9. ბარი | 20 | 7 | 7 | 6 | 20-16 | 28 |
| 10. ბრეშა | 20 | 7 | 7 | 6 | 22-22 | 28 |
| 11. ტრიესტინა | 20 | 7 | 8 | 5 | 15-16 | 28 |
| 12. ფროზინონე | 20 | 7 | 6 | 7 | 23-24 | 27 |
| 13. ჩეზენა | 20 | 6 | 8 | 6 | 28-29 | 26 |
| 14. ტრევიზო | 20 | 5 | 8 | 7 | 23-23 | 23 |
| 15. ლეჩე | 20 | 6 | 4 | 10 | 25-31 | 22 |
| 16. სპეცია | 20 | 4 | 8 | 8 | 20-28 | 20 |
| 17. მოდენა | 19 | 5 | 4 | 10 | 11-19 | 19 |
| 18. კროტონე | 20 | 3 | 10 | 7 | 16-25 | 19 |
| 19. ვიჩენცა | 20 | 4 | 6 | 10 | 20-23 | 18 |
| 20. ვერონა | 20 | 3 | 5 | 12 | 8-21 | 14 |
| 21. არეცო | 19 | 3 | 7 | 9 | 13-20 | 10 |
| 22. პესკარა | 20 | 1 | 7 | 12 | 15-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 11 - ბელუჩი (ბოლონია); 9 - ადაილტონი (ჯენოა), პაპა ვაიგო (ჩეზენა); 8 - უედა (რიმინი), ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - კალაიო (ნაპოლი), დელ პიერო (იუვენტუსი), ლოდი (ფროზინონე), მარჯოტა (ფროზინონე), მოსკარდელი (რიმინი), პოსანცინი (ბრეშა).

## სერია C1/A

XIX ტური

პადოვა-ვენეცია 1:0; მონცა-პროპატრია 1:0; პისტოიეზე-კრემონეზე 2:2; ლუკეზე-ჩიტადელა 1:1; გროსეტო-პიზა 2:0; პიციგეტონე-პრო სესტო 0:2; მასეზე-სანჯოვანეზე 3:3; ივრეა-პავია 2:1; სასუოლო-ნოვარა 3:1.

## სერია C1/B

XIX ტური

პერუჯა-გალიპოლი 3:0; სალერნიტანა-სან მარინო 1:0; ანკონა-ტერნანა 1:1; აველინო-რავენა 2:2; ჯულიანოვა-მანფრედონია 0:1; ლანჩანო-კავეზე 1:0; ფოჯა-მარტინა 0:0; იუვე სტაბია-ტერამო 2:0; ტარანტო-სამბენედეტეზე დღეს.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური

# ჯიბიდან ამოცლილი გამარჯვება



ანრის გადამწყვეტი დარტყმა

**რობინ ვან პერსიმ** და **ტიერი ანრიმ** "მანჩესტერ იუნაიტედს" სამი ქულა ჯიბიდან ამოაცალეს. არადა, ამ სამმა ქულამ საჩემპიონო მარათონში, შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს. "იუნაიტედმა" 53-ე წუთზე, **უეინ რუნის** გოლით გახსნა ანგარიში. შეცვლაზე შესულმა ვან პერსიმ 83-ეზე გაათანაბრა, ხოლო მსაჯისგან დამატებულ მესამე წუთზე ანრიმ გამარჯვების გოლი შეაგდო. "მეთოფეებმა" "მანჩესტერს" დუბლი შეუსრულეს. შეგახსენებთ, "არსენალმა" "იუნაიტედი" სექტემბერში, "ოლდ ტრეფორდზეც" დაამარცხა (1:0).

წუხელ "არსენალი" "ემირიტს სთედიუმზე" პირველ მარცხს გადაურჩა. "იუნაიტედი" თამაშის პირველივე წუთებიდან დაეუფლა ინიციატივას. უეინ რუნიმ, **კრისტიანო რონალდომ** და **ჰენრიკ ლარსონმა** მოკლე პასებით მეტოქეს სისხლი გაუშრეს. ამ გუნდების დაპირისპირებას განსაკუთრებული ხიბლი აქვს ხოლმე. გუშინდელი მატჩიც ემოციებით აღმოჩნდა დახუნძლული. ბევრი იყო უხეში ან უხეშობის ზღვარზე გაკეთებული ვარდნა. არბიტრმა **კოლო ტურესა** და **რაიან გიგზს** ყვითელი ბარათები აუფრიალა.

მეტოქეები მაქსიმალურად ზღუდავდნენ სივრცეს. ამიტომ მომენტები თითქმის არ იქმნებოდა. "არსენალის" კართან ტაიმის ბოლო წუთებზე ჩამოცხა. სტუმრებმა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე კუთხური მოაწოდეს. **იენს ლემანმა** ორი საუცხოო სეივი გააკეთა.

მაგრამ შესვენების შემდეგ მანჩესტერელთა პირველივე იერიშს გოლი მოჰყვა. **პატრის ევრამ** მარცხენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში შორ ძელთან ჩაკიდა ბურთი. კოლო ტურემ მისი მოგერიება ვერ მოახერხა, **უეინ რუნი** ბურთს ჩაუწვა და მახვილი კუთხიდან გაიტანა. ფორვარდმა პრემიერლიგაში 9 და ყველა ტურნირის ჩათვლით, 13 მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა.

66-ე წუთზე **არსენ ვენგერმა** ვან პერსი **ალექსანდრ გლების** ნაცვლად გამოიყვანა, მაგრამ "იუნაიტედის" დაცვა იმდენად კარგად თამაშობდა, რომ სტუმართა კართან მომენტი საერთოდ არ შექმნილა. მაგრამ მარჯვენა ფლანგიდან გაკეთებულმა ორმა გადაცემამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჯერ **ტომაშ როსიცკისა** და შემდეგ **ემანუელ ებუეს** პასებს ვან პერსი და ანრი საჭირო ადგილას დახვდნენ და "ემირიტს სთედიუმი" ექსტაზში მოიყვანეს...

**რაფა ბენიტესმა ჟოზე მოურინიოს** პრემიერლიგაში პირველად მოუგო (ხუთი უშედეგო მცდელობის შემდეგ). სათასო ტურნირებში დასვენებულმა "ლივერპულის" ლიდერებმა "არისტოკრატები" ყველა კომპონენტში დაჩაგრეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ "ჩელსი" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა.

**დირკ კუიტისა** და **ჯერმენ პენანტის** ადრეულმა გოლებმა მაყურებელს უმალ გადაავიწყა "არსენალთან" ორი სათასო ფიასკო. მერსისაიდელებს კიდევ ორი ბურთის გატანა მართებდათ. ორჯერვე **იონ არნე რიისე** აქტიურობდა. ის ჯერ თანაგუნდელის გამჭოლ გადაცემას ვერ მისწვდა, შემდეგ კი 40 იარდიდან ხარიხა შეაზანზარა.

თამაშის წინა საღამოს "ჩელსის" **რიკარდო კარვალიო** გამოაკლდა. **ეშლი კოულმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა და დაცვის მარცხენა ფლანგს დაუბრუნდა. სასჯელის გამო ვერ ითამაშა **კლოდ მაკელელემ**. ლონდონელთა ექსპერიმენტულმა დაცვის ხაზმა "ლივერპულის" თავდამსხმელებთან, მეტადრე **პიტერ კრაუჩთან** ვერაფერი გააწყო.

მოურინიომ თამამი გადაწყვეტილება მიიღო და ძირითაში დააყენა **პეტრ ჩეხი** - პირველად ოქტომბერში მიღებული უმძიმესი ტრავმის შემდეგ. ასევე პირველად ლონდონურ კარიერაში, პეტრმა საწყის 18 წუთში ორი გოლი გაუშვა.

ბენიტესმა რიისე მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა, ხოლო დაცვის ცენტრში **ჯეიმი კარაგერის** (450-ე მატჩი "ლივერპულის" შემადგენლობაში) მეწყვილედ **დანიელ აგერი** შეარჩია და არა **სემი ჰიიპია**. ასევე მოულოდნელი იყო **კრეიგ ბელამის** სკამზე დასმა. ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ კრაუჩი და კუიტი მეტოქეს ამდენ თავსატეხს გაუჩენდნენ.

პირველად მეტოქის კარს "ჩელსიმ" შეუტია - **ჯონ ობი მიკელის** დარტყმას კარაგერი გადაეღობა. ლივერპულელთა პირველი საგოლე იერიშიც ჯეიმიმ წამოიწყო - გრძელი პასით მეტოქის საჯარიმოში კრაუჩი მოძებნა, კრაუჩმა ბურთი კუიტს დაუგდო, ჰოლანდიელმა **პაულუ ფერეირა** მოატყუა და აუღებელი დასცხო. მასპინძლებს მეორე გოლამდე დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ: **სტივ ჯერარდმა** საჯარიმოს შუაგულში ჩაკიდა, **მიკაელ ესიენმა** ბურთი შორს ვერ გადააგდო. ის **ჯერმენ პენანტს** ფეხზე მოაჯდა. ახალგაზრდა ნახევარმცველმა 30 იარდიდან შორ ცხრიანს დაუმიზნა და "ლივერპულის" მაისურით პირველი გოლი შეაგდო. ამ ეპიზოდიდან ორ წუთში "ჩელსის **არიენ რობენი** დაუშავდა. ის **შონ რაიტ-ფილიპსით** შეცვალეს.

ცოტა ხანში **ჩაბი ალონსო დიდიე დროგბას** შეეჯახა და სისხლი ნასკდა. ესპანელი ნახევარმცველი 7 წუთით გამოეთიშა თამაშს. "ჩელსიმ" რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა და მეტოქე შეავიწროვა, მაგრამ უშედეგოდ. "არისტოკრატებმა" მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს. "ლივერპული" საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ხშირად არღვევდა წესებს. მოურინიომ **ანდრეი შევჩენკო** 73-ე წუთზე გამოიყვანა. უკრაინელს, თავი, რა თქმა უნდა, არაფრით გამოუჩენია.

მოურინიო: *"ძნელია იმაზე საუბარი, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთ. ის კი ფაქტია, რომ ერთდროულად სამი ცენტრალური მცველის გამოკლება არანორმალური ამბავია. ტერის დიდი ხანი გაუცდება, ბულარუზს მუხლის მყესები აქვს დაზიანებული და მინიმუმ ექვს კვირას საჭიროებს. გუშინ რიკარდო კარვალიოც ავად გაგვიხდა. მთელ გუნდში მხოლოდ ერთს შეეყარა ვირუსი და ისიც ცენტრალურ მცველს... მე მწვრთნელი ვარ, არც მფლობელი და არც აღმასრულებელი დირექტორი, მხოლოდ მწვრთნელი და ხელმძღვანელობას საკუთარ მოსაზრებებს ვუზიარებ. კლუბი კი, როცა უნდა (!), ყიდულობს ფეხბურთელს, რომელიც გუნდს სჭირდება. დეკემბრის მიწურულს ვთქვი, რომ გვინდა ორი ფეხბურთელი - ცენტრალური მცველი და ვინმე ჯო კოულის ადგილზე, რადგან ის სეზონის ბოლომდე ვერ დაგვეხმარება. არიენ რობენსაც ბევრი უცდება, მას ყოველთვის ისეთი ტრავმები აქვს, რომლის მორჩენას დიდი დრო მიაქვს, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდეც ვიცოდით, რომ ვერ გადავიხდით იმ ფულს, რომელსაც ზოგიერთი კლუბი ჩვენთვის სასურველი მოთამაშის სანაცვლოდ ითხოვს... "ლივერპულმა" დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ მგონი, ცხრილში მაინც სიამოვნებით გაგვიცვლიდა ადგილს. ჩვენ ბევრ გუნდზე უკეთესი პოზიცია გვიკავია, მათ შორის "ლივერპულზე" უკეთესიც."*

"მიდლსბრომ" "ბოლტონი" **სტიუარტ დაუნინგის** ვირტუოზული თამაშის წყალობით გააცამტვერა. ინგლისის ნაკრების მარცხენა ნახევარმცველმა პირველი სამი გოლისას ასისტენტის როლი შეასრულა, ხოლო მეოთხე გოლი საუცხოო დარტყმით თვითონვე შეაგდო. ბოლტონელთა გასაჭირი **ელჰაჯი დიუფის** გაძევებამ დაავგირგვინა - სენეგალელმა თავდამსხმელმა არბიტრი **ალან ვაილი** შეურაცხყო.

სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა **ჯონათან ვუდგეიტმა**. მან რივერსაიდელთა საჯარიმოში ჩაწოდებული ყველა მაღალი ბურთი მოიგო. "ბოლტონის" მცველებს **მარკ ვიდუკასა** და **იაკუბუს** განეიტრალება გაუჭირდათ. ავსტრალიელმა დუბლი შეასრულა, ორი გოლის გატანა მართებდა ნიგერიელსაც...

"ნიუკასლს" აუტსაიდერ "ვესტ ჰემთან" ძალიან გაუჭირდა. 22-ე წუთისთვის სტუმრები უკვე 2:0-ს იგებდნენ. შუა კვირაში ჯორდებს "ბირმინგემთან" სათასო მატჩი (შინ) კატასტროფული ანგარიშით ჰქონდათ წაგებული, 1:5. შაბათს მათ მორიგი ფიასკო დაემუქრათ, მაგრამ... 45-ე წუთზე **ჯეიმს მილნერმა** ბოლო სამ საშინაო შეხვედრაში მესამე გოლი შეაგდო, 53-ეზე **ნოლბერტო სოლანომ** გაათანაბრა და ვესტჰემელი მეკარის, **როი ქეროლის** ბრწყინვალე თამაში რომ არა, "ნიუკასლი" სამ ქულასაც აუცილებლად აიღებდა...

"პორტსმუთმა" "ჩარლტონთან" სენსაციურად წააგო - მხოლოდ მეორე მარცხი ბოლო 11 შეხვედრაში. გამარჯვების გოლი იმ **ამდი ფაიემ** გაიტანა, რომელიც "პორტსმუთის" ყოფილი ფეხბურთელია. მატჩის მიწურულს მასპინძლებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ მეკარე **სკოტ კარსონმა ენდი კოულის** დარტყმა მოიგერია...

"ასტონ ვილამ" 12-მატჩიანი მოუგებელია სერია "უოტფორდთან" შეწყვიტა. ორიდან ერთი გოლი ახალგაზრდა გარემარბმა **გაბრიელ აგბონლაორმა** შეაგდო და საამსეზონო აქტივი 6 ბურთამდე აიყვანა. **მილან ბაროშმა** რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენა. შთამბეჭდავად ითამაშა უოტფორდელთა ახალგაზრდა მეკარე **ბენ ფოსტერმა**. სტუმრებმა განაცხადში არ შეიყვანეს თავდამსხმელი **ეშლი იანგი**, რომელიც დღეს ან ხვალ 9.6 მილიონ გირვანქად "ასტონ ვილაში" უნდა გადავიდეს...

"რედინგი"-"შეფილდის" მატჩში არბიტრმა **რობ ჰალსმა** სამი წითელი ბარათი ააფრიალა. მან "რედინგის" მეორე მწვრთნელი **ველი დაუნსი**, სტუმართა თავკაცი **ნილ უორნოკი** და შეფილდელი ნახევარმცველი **კიტ გილესპი** გააძევა. ეს უკანასკნელი მინდორზე 53-ე წუთზე შევიდა და ისე მიაბრძანეს, რომ ბურთს არცკი შეხებია. გილესპიმ რედინგელ **სტივ ჰანტს** იდაყვი ჩასცხო. უორნოკმა შეგირდის უხეშობა არ დაიჯერა და ჰანტს, შთამბეჭდავად გაფორმებული წაქცევისათვის, ტაში დაუკრა. დაუნსი ფეხზე წამოიჭრა და მეტოქის მწვრთნელს მივარდა. გაწევ-გამოწევა, რომელშიც ორივე სამწვრთნელო შტაბი და სათადარიგოთა ფეხბურთელები მონაწილეობდნენ, რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ჩხუბის ინიციატორები გასახდელის გზას გაუყენეს...

**ვინჩენცო მონტელამ** "ფულჰემის" შემადგენლობაში მეორე მატჩი ჩაატარა და მესამე გოლი შეაგდო, მაგრამ მისი პენალტი "ტოტენჰემის" დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. "მამლებმა" თამაშის მიწურულს **პასკალ შიმბონდას** დახმარებით გაათანაბრეს. უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი ნახევარმცველი პასის მომენტში თამაშგარეში იმყოფებოდა. "ბლექბერნმა" სტუმრად "მანჩესტერ სიტის" 3:0 ასიამოვნა. დუბლი მიითვალა **მორტენ გამსტ პედერსენმა**, ხოლო **ზურაბ ხიზანიშვილმა** შეუცვლელად იასპარეზა. დუბლი მიითვალა **მიკელ არტეტამაც**, ვისი დახმარებითაც "ევერტონმა" "ვიგანს" მისსავე მოედანზე 2:0 მოუგო.

### გადატანილი მატჩი

23 იანვარი. უოტფორდი-ბლექბერნი.

### მომდევნო ტური

30 იანვარი. **შეფილდი-ფულჰემი, პორტსმუთი-მიდლსბრო, ვესტ ჰემი-ლივერპული, რედინგი-ვიგანი.** 31 იანვარი. **ბოლტონი-ჩარლტონი, ჩელსი-ბლექბერნი, მანჩესტერ იუნატედი-უოტფორდი, ნიუკასლი-ასტონ ვილა.**

*არსენალი-მანჩესტერ სიტი და ევერტონი-ტოტენჰემი გადატანილია.*

### ლივერპული-ჩელსი 2:0

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ჯერარდი, ალონსო, აურელიო, კრაუჩი (85. ბელამი), კუიტი (90. გონსალესი).

**ჩელსი:** ჩეხი, ჯერემი, ფერეირა, ესიენი, ეშლი კოული, ლემპარდი, ბალაკი, მიკელი (73. შეჩვენკო), რობენი (21. რაიტ-ფილიპსი), დროგბა, კალუ.

**გოლები:** 1:0 კუიტი (4), 2:0 პენანტი (18).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 17(8)-11(3); **ჯარიმა:** 10-17; **კუთხური:** 0-1.

**მაყურებელი:** 44 245

### მიდლსბრო-ბოლტონი 5:1

**მიდლსბრო:** შვარცერი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კატერმოული (88. მორისონი), ბოატენგი, არკა, დაუნინგი (89. იუელი), იაკუბუ (82. კრისტი), ვიდუკა.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი (46. გარდნერი), ფაიე, მეიტე, ბენ ჰაიმი, დევისი (77. ვას ტე), ნოლანი, კამპო, სპიდი (59. თეიმურიანი), დიუფი, ანელკა.

**გოლები:** 1:0 სპიდი (6საკ.კარში), 2:0 შავიერი (10), 3:0 ვიდუკა (23), 3:1 ნოლანი (25), 4:1 დაუნინგი (43), 5:1 ვიდუკა (84).

**გაძევება:** დიუფი (66. ბოლტონი).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 10(5)-11(5); **ჯარიმა:** 12-13; **კუთხური:** 1-8.

**მაყურებელი:** 24,614

### ნიუკასლი-ვესტ ჰემი 2:2

**ნიუკასლი:** გივენი (67. ჰარპერი), სოლანო, რემიჯი (30. ედგარი), ჰანთინგტონი, კარი, მილნერი, ბატი, პარკერი, ობრაიენი, დაიერი, მარტინსი.

**ვესტ ჰემი:** ქეროლი, დეილი, ფერდინანდი (86. სპექტორი), დევენპორტი, მაკარტნი, ბენაიუნი, კვოში, რეო კოკერი, ბოა მორტე, ჰერვუდი, კარლტონ კოული (73. ეთერინგტონი).

**გოლები:** 0:1 კარლტონ კოული (18), 0:2 ჰერვუდი (22), 1:2 მილნერი (45), 2:2 სოლანო (53-პენ).

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 14(7)-12(7); **ჯარიმა:** 16-26; **კუთხური:** 10-2.

**მაყურებელი:** 52 095

### პორტსმუთი-ჩარლტონი 0:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, კემპბელი, ტრაორე, ლორენი, დევისი (53. დუალა), პედრო მენდესი, ტეილორი, კანუ (73. მვარუვარი), ენდი კოული.

**ჩარლტონი:** კარსონი, სანკოფა, ელ ქარქური, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, რომედალი (82. კიშიშევი), ფაიე (90. დიავარა), ჰოლანდი, ჰიუზი, ტომასი (90. ჰასელბენკი), მარკუს ბენტი.

**გოლი:** 0:1 ფაიე (79).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 9(3)-8(5); **ჯარიმა:** 9-11; **კუთხური:** 10-7.

**მაყურებელი:** 19 567

### ასტონ ვილა-უოტფორდი 2:0

**ვილა:** სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, კაჰილი, ბუმა, დევისი, მაკენი, ბერი, აგბონლაორი, ანხელი (72. ბერგერი), ბაროში (79. სამუელი).

**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, მაკეი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ფრენსისი, ბუაზა (70. პაუელი), პრისკინი (54. ჰენდერსონი), ჰისკინსი (80. აშიკოდი).

**გოლები:** 1:0 მაჰონი (86-საკ.კარში), 2:0 აგბონლაორი (90).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 17(6)-11(6); **ჯარიმა:** 11-20; **კუთხური:** 7-6.

**მაყურებელი:** 35 892

### რედინგი-შეფილდ იუნ. 3:1

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, სონკო (43. ბიკეი), ინგიმარსონი, დე ლა კრუსი, ლიტლი, სიდველი, ჰარპერი, ჰანტი (85. კონვი), ლიტა, ლონგი (73. კი ჰიეონი).

**შეფილდი:** კენი, კოზლუკი, დევისი (64. ბრომბი), ლუკეტი, გირი (53. გილესპი), არმსტრონგი, ჟაგიელკა, მონტგომერი, სტივ ქუინი, სტიდი (72. ნეიდი), ჰალსი.

**გოლები:** 1:0 ლონგი (44), 2:0 დე ლა კრუსი (50), 3:0 ჰანტი (70), 3:1 ნეიდი (77).

**გაძევება:** გილესპი (55. შეფილ იუნ.).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 17(10)-4(1); **ჯარიმა:** 12-8; **კუთხური:** 7-2.

**მაყურებელი:** 23 956

### ფულჰემი-ტოტენჰემი 1:1

**ფულჰემი:** ლაშტუვკა, როსენორი, კრისტანვალი, ბოკანეგრა, პირსი, კუოდრო, ვოლცი (81. დემპსი), ბრაუნი, რაძინსკი (71. მონტელა), მაკბრაიდი, ჰელგუსონი.

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, გარდნერი, ლი, გალი (61. ლენონი), ტაინიო (27. ზოკორა), ჰადლსტონი, მალბრანკი, დეფო (67. კინი), ბერბატოვი.

**გოლები:** 1:0 მონტელა (84-პენ), 1:1 შიმბონდა (88).

**გაძევება:** ჰელგუსონი (53. ფულჰემი).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 9(3)-9(4); **ჯარიმა:** 14-16; **კუთხური:** 5-6.

**მაყურებელი:** 23 580

### მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი 0:3

**სიტი:** ვივერი, რიჩარდსი, დანი, დესტენი, ტრაბელსი (75. მილერი), სინკლერი (46. ბისლი), ირლანდი, დაბო, ჯორდანი, ვასელი, კორადი (46. სამარასი).

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოოიერი (35. ემერტონი), ანშო, ხიზანიშვილი, მაკევილი, ბენტლი, ქერიმოღლუ (84. გალაგერი), სევიჯი, პედერსენი, ნონდა (78. დერბიშირი), მაკარტნი.

**გოლები:** 0:1 პედერსენი (44), 0:2 პედერსენი (62), 0:3 დერბიშირი (90).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 13(4)-12(5); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 6-3.

**მაყურებელი:** 36 590

### ვიგანი-ევერტონი 0:2

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ჰოლი (65. ტეილორი), ანსუორთი, ბაინესი, ვალენსია (78. კოტერილი), ლანდზაატი, სკოკო, კილბეინი, ჰესკი, მაკალოხი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფილ ნევილი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, არტეტა, ოსმანი, კარსლი, კაჰილი (88. ბიტი), საიმონ დევისი, ენდი ჯონსონი (60. ანიჩებე).

**გოლები:** 0:1 არტეტა (65-პენ), 0:2 არტეტა (90).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 13(6)-8(5); **ჯარიმა:** 11-17; **კუთხური:** 6-6.

**მაყურებელი:** 21 670

### არსენალი-მანჩესტერ იუნ. 2:1

**არსენალი:** ლემანი, ებუე (90. ჰოიტი), კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები (67. ვან პერსი), ფაბრეგასი, ფლამინი (79. ბაპტიშტა), როსიცკი, ადებაიორი, ანრი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გარი ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო (90. ჰაინცე), სქოულზი, ქერიკი, გიგზი, რუნი, ლარსონი (81. საა).

**გოლები:** 0:1 რუნი (53), 1:1 ვან პერსი (83), 2:1 ანრი (90+3).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 18(11)-10(6); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 8-6.

**მაყურებელი:** 60 050

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 24 | 18 | 3 | 3 | 53-18 | 57 |
| 2. ჩელსი | 24 | 15 | 6 | 3 | 41-19 | 51 |
| 3. ლივერპული | 24 | 14 | 4 | 6 | 37-16 | 46 |
| 4. არსენალი | 24 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 5. ბოლტონი | 24 | 12 | 4 | 8 | 28-26 | 40 |
| 6. პორტსმუთი | 24 | 10 | 7 | 7 | 34-24 | 37 |
| 7. ევერტონი | 24 | 9 | 8 | 7 | 31-23 | 35 |
| 8. რედინგი | 24 | 10 | 4 | 10 | [illegible] | [illegible] |
| 9. ტოტენჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 29-32 | 33 |
| 10. ბლექბერნი | 23 | 9 | 4 | 10 | 27-31 | 31 |
| 11. მიდლსბრო | 24 | 8 | 6 | 10 | 29-29 | 30 |
| 12. ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 28-32 | 30 |
| 13. მანჩესტერ სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 19-28 | 30 |
| 14. ასტონ ვილა | 24 | 6 | 11 | 7 | 26-28 | 29 |
| 15. ფულჰემი | 24 | 6 | 11 | 7 | 26-36 | 29 |
| 16. შეფილდი | 24 | 6 | 6 | 12 | 19-33 | 24 |
| 17. ვიგანი | 23 | 6 | 4 | 13 | 23-38 | 22 |
| 18. ვესტ ჰემი | 24 | 5 | 5 | 14 | 17-38 | 20 |
| 19. ჩარლტონი | 24 | 5 | 4 | 15 | 19-43 | 19 |
| 20. უოტფორდი | 22 | 1 | 9 | 12 | 12-31 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 - დროგბა (ჩელსი); 13 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 10 - აიეგბენი (მიდლსბრო), ვან პერსი (არსენალი), დოილი (რიდინგი); 9 - ანრი (არსენალი), კანუ (პორტსმუტი), მაკარტი (ბლექბერნი), რუნი (მანჩესტერ იუნ); 8 - ჯონსონი (ევერტონი), მარტინსი (ნიუკასლი), ბერი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი), დ. ბენტი (ჩარლტონი), საა (მანჩესტერ იუნ).

### ჩემპიონატი

XXIX ტური

**უოლვზი-კარდიფი 1:2**

გოლები: 0:1 ჩოპრა (27), 1:1 ოლოფინჯანა (58), 1:2 ბირნი (88)

**კრ.პალასი-ჰალი 1:1**

გოლები: 1:0 ფლეტჩერი (51), 1:1 ეშბი (72)

**იფსვიჩი-კოლჩესტერი 3:2**

გოლები: 0:1 დუგიდი (14), 1:1 ლი (30-პენ), 2:1 ლეგვინსკი (56), 3:1 ჰეინსი (82), 3:2 ივეღომუ (90-პენ)

**ლიდსი-ვესტ ბრომვიჩი 2:3**

გოლები: 1:0 ფლო (3), 1:1 გრინინგი (7), 1:2 დ. კამარა (19), 1:3 დ. კამარა (45), 2:3 ტომპსონი (66)

**ლუტონი-ბარნსლი 0:2**

გოლები: 0:1 ჰოვარდი (7), 0:2 დევენეი (90)

**პრესტონი-სტოკი 3:2**

გოლები: 0:1 ლოურენსი (2), 0:2 სიდიბე (7), 1:2 მაკენა (65), 2:2 ნაგენტი (74), 3:2 უილსონი (89)

**ქუინზ პარკი-საუთჰემპტონი 0:2**

გოლები: 0:1 რასიაკი (81), 0:2 ბ. რაიტ-ფილიპსი (90)

**უენსდი-სანდერლენდი 2:4**

გოლები: 0:1 იორკი (21), 0:2 ჰისენი (45), 0:3 კონოლი (58), 1:3 ბრანტი (82), 2:3 სმოლი (87), 2:4 ედვარდსი (89)

**საუთენდი-დერბი 0:1**

გოლი: 0:1 ჰოვარდი (33)

**ლესტერი-ბირმინგემი** გადაიდო

**ბარნლი-ნორვიჩი** გადაიდო

**პლიმუთი-კოვენთრი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დერბი | 29 | 17 | 5 | 7 | 38-28 | 56 |
| 2. ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46-26 | 53 |
| 3. პრესტონი | 29 | 15 | 8 | 6 | 44-30 | 53 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 29 | 14 | 7 | 8 | 54-35 | 49 |
| 5. საუთჰემპტონი | 29 | 13 | 10 | 6 | 46-32 | 49 |
| 6. კარდიფი | 29 | 12 | 10 | 7 | 38-30 | 46 |
| 7. სანდერლენდი | 29 | 14 | 4 | 11 | 41-34 | 46 |
| 8. კოლჩესტერი | 29 | 13 | 5 | 11 | 48-34 | 44 |
| 9. სტოკი | 28 | 12 | 8 | 8 | 38-25 | 44 |
| 10. ვულვზი | 29 | 12 | 7 | 10 | 30-32 | 43 |
| 11. უენსდი | 29 | 11 | 7 | 11 | 41-42 | 40 |
| 12. პლიმუტი | 28 | 9 | 12 | 7 | 36-35 | 39 |
| 13. ბარნლი | 27 | 10 | 8 | 9 | 32-28 | 38 |
| 14. კრ. პალასი | 29 | 10 | 8 | 11 | 36-35 | 38 |
| 15. იფსვიჩი | 29 | 11 | 5 | 13 | 40-40 | 38 |
| 16. კოვენთრი | 28 | 10 | 4 | 14 | 27-35 | 34 |
| 17. ნორვიჩი | 28 | 9 | 7 | 12 | 35-45 | 34 |
| 18. ლესტერი | 28 | 8 | 9 | 11 | 27-35 | 33 |
| 19. ჰალი | 29 | 8 | 7 | 14 | 30-40 | 31 |
| 20. ლუტონი | 29 | 8 | 7 | 14 | 37-50 | 31 |
| 21. ქუინზ პარკი | 29 | 8 | 6 | 15 | 35-45 | 30 |
| 22. ბარნსლი | 29 | 8 | 5 | 16 | 31-48 | 29 |
| 23. ლიდსი | 28 | 7 | 3 | 18 | 29-52 | 24 |
| 24. საუთენდი | 29 | 5 | 9 | 15 | 23-46 | 24 |

**ბომბარდირები:** 17 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ირნშოუ (ნორვიჩი); 15 - ივეღუმო (კოლჩესტერი); 14 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 13 - კარეტონი (კოლჩესტერი), ჩოპრა (კარდიფი), მაკშიფრი (ბირმინგემი); 12 - ვაინი (ლუტონი); 10 - ჰოვარდი (დერბი), ლი (იფსვიჩი).

### I ლიგა

XXIX ტური

**ტრანმერი-ბრედფორდი 1:1; ბორნმუთი-ჰადერსფილდი 1:2; კარლაილი-ქრიუ 0:2; ჩელტენემი-ჯილინგემი 1:1; ჩესტერფილდი-ბრაიტონი 0:1; დონკასტერი-სკანთორფი 2:2; ლეიტონი-ბლეკპული 0:1; მილუოლი-როტერჰემი 4:0; ოლდჰემი-ბრისტოლი 0:3; პორტ ველი-ნორთჰემპტონი გადაიდო; სუონსი-ნოტინგემი 0:0; იეოვილი-ბრენტფორდი 1:0.**

### II ლიგა

XXIX ტური

**შრიუსბერი-როჩდეილი გადაიდო; ბოსტონი-სუინდონი 1:3; როვერსი-ჩესტერი 0:0; ბერი-ლინკოლნი 2:2; გრიმსბი-დარლინგტონი 0:1; მილტონი-ბარნეტი 3:1; მაკლსფილდი-ჰერეფორდი 3:0; მენსფილდი-უოლსოლი 2:1; ნოტსი-ტორკი 5:2; პიტერბრო-სტოკპორტი 0:3; რექსჰემი-ჰარტლპული 1:1; უიკომბი-აკრინგტონი 1:1.**

### კონფერენსი

XXV ტური

**ბარტონი-სტ. ალბანსი 1:0; ქროული-საუთპორტი 2:1; ექსეტერი-გრავესენდი 1:3; ფორეტს გრინი-ტამუორტი 2:0; გრეისი-ოქსფორდი 2:2; ჰალიფაქსი-უეიმაუთი გადაიდო; კიდერმინსტერი-იორკი 2:1; მორეკამბი-დაგენჰემი 1:1; ნორთვიჩი-ალდერშოტი 1:3; რაშდენი-სტეფორდი 2:1; სტევენეიჯი-კემბრიჯი 4:1; უოკინგი-ალტრინჩემი 2:0.**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIX ტური

# ბარსელონა ზამთრის ჩემპიონია

## კატალონიური გრანდი რენესანსის გზას დაადგა. რიიკაარდი ეტოოსა და მესის დაბრუნებას ელის



სავიოლა ბარსას ახალი ლიდერი გახდა

"ატლეტიკოსა" და "ოსასუნის" დაპირისპირება უაღრესად დაძაბულ, დრამატულ და უხეშ ორთაბრძოლოლაში წარიმართა. ესპანური ფეხბურთის გულშემატკივრებს ეცოდინებათ, რომ პამპლონელებმა "როხიბლანკო" სამეფო თასის გათამაშებიდან გამოაგდეს. ამის გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დედაქალაქელებმა რევანში აიღეს.

მატჩი მეტისმეტად უხეში გამოდგა. თავად განსაჯეთ, მთავარმა მსაჯმა წითელი ბარათით ერთბაშად ხუთი ადამიანი დასაჯა. თავდაპირველად მან **ხავიერ აგირეს** ზედმედი ემოციურობა ვერ მოითმინა და მექსიკელ სპეციალისტს კუთვნილი ადგილი დაატოვებინა. შეხვედრისთვის განკუთვნილ დარჩენილ დროში კი არბიტრმა "ოსასუნის" ოთხი ფეხბურთელი გააგდო. უკანასკნელად მსგავსი რამ 1992-93 წლების სეზონში მოხდა. მაშინ ოთხ ფეხბურთელს ვადაზე ადრე მოედანი "სელტისა" და "სევილიის" დაპირისპირებაში დაატოვებინეს.

ესპანური ფეხბურთი რასიზმს ვერა და ვერ ემიჯნება. როგორც ჩანს, ქსენოფობია პრიმერა დივიზიონის განუყოფელი ნაწილია. "ატლეტიკოს" გულშემატკივრებმა ოსასუნელ **პიერ ვებოს** ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. საკმარისი იყო, კამერუნელს ბურთი მიეღო, ტრიბუნებიდან უმალ შეურაცხმყოფელი შეძახილები გაისმოდა. სტუმართა ფორვარდს ხან მაიმუნს უწოდებდნენ, ხან შავკანიან განავალს, ზოგჯერ კი დაუბანელ, ჭუჭყიან აფრიკელს. აღსანიშნავია, რომ რასისტული გამოხდომა ძალიან მასშტაბური იყო. ჟურნალისტების თქმით, ამ სამარცხვინო შეძახილებს ათასობით ადამიანი სკანდირებდა. ბოლოს სიტუაცია იმდენად გაუსაძლისი და აღმაშფოთებელი გახდა, რომ ადგილობრივმა დიქტორმა საზოგადოებას თავშეკავებისკენ მოუწოდა. მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ვებოს იქამდე ლანძღავდნენ, მანამ მწვრთნელმა არ შეცვალა.

როგორც მოგახსენეთ, თამაში უხეშობისა და შეურაცხყოფის ფონზე მიმდინარეობდა. **ლისანდრო კორტესმა** წითელი ბარათები არ დაიშურა. საფეხბურთო წესების მიხედვით, თუ ერთი გუნდიდან ოთხ კაცს გააძევებ, თამაში წყდება. ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა, რადგან ლისანდრო კორტესმა **რიკარდო** მას შემდეგ გააძევა, რაც მოედანი უკვე დატოვებული ჰქონდა. მოკლედ, პამპლონელებს საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში რვა კაცით უხდებოდათ ასპარეზობა. ბუნებრივია, რიცხობრივი უპირატესობა "ატლეტიკოს" ჩინებულ შანსს აძლევდა, თუმცა მადრიდელებმა გამარჯვება შეხვედრის მიწურულს მოიპოვეს. ბოლო წუთები მეტისმეტად საინტერესო იყო. **კუელიერმა** პენალტი და წითელი ბარათი აიკიდა. **ფერნანდო ტორესმა** კი თერთმეტმეტრიანი ააცილა. თითქოს, მასპინძლებმა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და წარმატების შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს, მაგრამ **ზე კასტრომ რიკარდოს** აუღებელი დაურტყა. "ოსასუნამ" წონასწორობის აღდგენა, რა თმა უნდა, ვერ შეძლო.

**ხავიერ აგირემ** შეგირგების მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა: *"მოტივაცია აშკარად არ გვაკლდა. სამ ქულას რომ თავი დავანებოთ, გვსურდა, სამეფო თასზე განცდილი წარუმატებლობისთვის შური გვეძია. მიზანს მივაღწიეთ და, რა თქმა უნდა, უზომოდ კმაყოფილი ვარ. მართალია, სტუმრებს რამდენიმე მოთამაშე გაუძევეს, მაგრამ სისულელე იქნება იმაზე საუბარი, რომ სამი ქულა სწორედ ამ გარემოების წყალობით მოვიპოვეთ. "ატლეტიკო" უპირატესობას პირველივე წუთიდან დაეუფლა. ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. შესაბამისად, უფრო დიდი ანგარიშით მოგება შეგვეძლო. მიხარია, რომ სატურნირო მდგომარეობა გავიუმჯობესეთ."*

"სევილიამ" მორიგი ორი ქულა დაკარგა. ანდალუსიელებს 2007 წელს ერთი შეგვედრაც არ მოუგიათ. **ხუანდე რამოსის** გუნდი ლიდერის პოზიციის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. არადა, გასული წლის მიწურულს "სევილია" შეუდარებელი გახლდათ. მიმომხილველებს ამ შეხვედრის წინ პროგნოზის გაკეთება უჭირდათ, თუმცა ისინი ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ "ვილიარეალი" სტუმრებს ყველა კომპონენტში დაჩაგრავდა. სამხრეთელებს თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ღირსშესანიშნავი არაფერი გაუკეთებია. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებმა კი უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. ჩილელმა სპეციალისტმა **ხუან რომან რიკელმე** კვლავ არ ათამაშა. მწვრნელისა და შეგირდის კონფლიქტი ყოველდღიურად უფრო ღრმავდება. პირენეელი ჟურნალისტების მტკიცებით, მასპინძლებს რიკელმე ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა. პელეგრინის მისამართით კრიტიკამ იმრავლა, თუმცა სენიორ მანუელი უკან დახევას არ აპირებს. კომპრომისი გამორიცხულია. მანამ რომი კარგად არ ივარჯიშებს, შემადგენლობაში მოხვედრის იმედი არ უნდა ქონდეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, "ბარსელონამ" პრიმერა დივიზიონის წყალწაღებულ აუტსაიდერ "ხიმნასტიკს" იოლად მოუგო. შეხვედრას საინტერესო დებატები უძღვოდა წინ. გულშემატკივრები **ხავიერ სავიოლას** ძირითად შემადგენლობაში დაყენებას ითხოვდნენ. **ფრანკ რიიკაარდმა** ხალხის ხმა შეისმინა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა არგენტინელს პირველივე წუთიდან მისცა თამაშის საშუალება. "ბარჭიამ" გაცემული ავანსები მთლიანად გაამართლა. სამხრეთამერიკელმა მე-17 წუთზე **ოლეგერის** მიერ წამოწყებული იერიში მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. მეორე გოლი კი მეორე ტაიმში გავიდა. **ლუდოვიკ ჟიულიმ მინგოსა** და **ნავასის** მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა. ბოლო ბურთი **ანდრეს ინიესტას** ანგარიშზე ჩაიწერა. აღსანიშნავია, რომ კატალონიელს ტრავმის გამო ბოლო ათი დღე არ უვარჯიშია. ამის გათვალისწინებით, მისი მიღწევა ორმაგად დასაფასებელია. აქვე მოგახსენებთ, რომ ანდრესს **რონალდინიომ** დიდი დახმარება გაუწია.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულმა რიიკაარდმა საკუთარი გუნდის გამოცოცხლებაზე ისაუბრა: *"მართალია, პრიმერა დივიზიონის აუტსაიდერს შევხვდით, მაგრამ ამით ჩვენი მიღწევა არ კნინდება. მთელი 90 წუთის განმავლობაში ვდომინირებდით. მრავალი საგოლე მომენტი შევქმენით და დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. მიხარია, რომ ხავიერ სავიოლამ გოლი გაიტანა და სამი ქულის მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ დღევანდელ ტრიუმფს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ვფიქრობ, "ბარსელონა" ჩვეულ სახეს მალე დაიბრუნებს. სამუშაო ჯერაც ბევრი გვაქვს, მაგრამ მიხარია, რომ ცოტა ხანში სამუელ ეტოო და ლიონელ მესი დაგვიბრუნდებიან. მათი დახმარებით, უფრო კარგად ვიასპარეზებთ."*

"ბარსას" მართლაც ბევრი მუშაობა მართებს. კატალონიურმა გრანდმა ბოლო დროს მრავალი ქულა დაკარგა, თუმცა ზამთრის ჩემპიონი მაინც ის გახდა. დიახ, გუშინ პრიმერა დივიზიონმა ეკვატორს მიაღწია. მე-19 ტურის შემდეგ ვინც პირველ ადგილზე დამკვიდრდება ზამთრის ჩემპიონად ცხადდება. "სევილიას" ბურთების უარესი ბალანსი აღმოაჩნდა და ეს სიმბოლური ტიტული ბოლო მომენტში დაკარგა. აღსანიშნავია, რომ რიიკაარდის ბიჭებს საკლუბო მუნდიალზე ასპარეზობის გამო ესპანეთის ჩემპიონატში ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. "ბეტისის" დამარცხების შემთხვევაში "ბარსელონა" სამქულიანი უპირატეობით გაიჭრება წინ.

"ვალენსიამ" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება იზეიმა. "ღამურებმა" მორიგ წარმატებას **დავიდ ვილიას** გოლით მიაღწიეს. სხვათა შორის, მან 2007 წელს პირველი ბურთი შეაგდო. ისიც სათქმელია, რომ სტუმართა საუკეთესო ბომბარდირს "ანოეტაზე" აქამდე არასოდეს გაეტანა. მოკლედ, ვილიამ ნავსი გატეხა და სენიორ **კიკე ფლორესი** ამით უზომოდ გაახარა: *"ბედნიერი ვარ, რომ ზედიზედ მეექვსედ გავიმარჯვეთ. საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენ სულ მცირე ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას ვისახავთ მიზნად. ამიტომ, ყოველ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სტუმრად გამარჯვება ორმაგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ბიჭებს მადლობას მოვახსენებ. ისინი მოწინააღმდეგეებზე უკეთ გამოიყურებოდნენ და სრულიად დამსახურებულად მოიგეს."*

**ლუის ფერნანდესი** "ბეტისს" კვლავ უმართლებს. ფრანგი სპეციალისტის დანიშვნის შემდეგ ანდალუსიელები აშკარად პროგრესირებენ. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ მათ ესპანეთის სამეფო თაისის გათამაშებიდან თვით მადრიდის "რეალი" გამოაგდეს. ამჯერად კი ისინი "რასინგს" დაუზავდნენ. "რუის დე ლოპერაზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ, საკმაოდ საინტერესო მეორე ნახევარი იხილეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ბოლო წუთები აღმოჩნდა. 85-ე წუთზე **გარაიმ** პენალტი გაიტანა. თითქოს, სანტანდერელებს სამ ქულამდე აღარაფერი უკლდათ, თუმცა რამდენიმე წამში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. **ჩისკომ** ძლიერი, ზუსტი დარტყმით **ტონიოს** შანსი არ დაუტოვა. ლუის ფერნანდესმა აღიარა, რომ უზომოდ ბევრი ინერვიულა. კიდევ კარგი, რომ ნერვიულობამ მხოლოდ რამდენიმე წამს გასტანა, თორემ შეიძლება, ვერ გადავრჩენილიყავიო.

### გადატანილი მატჩი

24 იანვარი. ბეტისი-ბარსელონა

### მომდევნო ტური

27 იანვარი. ატლეტიკო-რასინგი, ვილიარეალი-რეალი. 28 იანვარი. ბარსელონა-სელტა, ესპანიოლი-ხიმნასტიკი, სოსიედადი-ბილბაო, სარაგოსა-დეპორტივო, ხეტაფე-ოსასუნა, ლევანტე-სევილია, მალიორკა-რეკრეატივო, ბეტისი-ვალენსია.

### ატლეტიკო-ოსასუნა 1:0

**ატლეტიკო:** პიჩუ, სეიტარიდისი, პერეა, ზე კასტრო, ანტონიო ლოპესი, გალეტი (46. გაბი), მანიშე (84. მისტა), ლუქსენი, ხურადო (88. კოშტინია), ფერნანდო ტორესი, აგუერო.

**ოსასუნა:** რიკარდო, ისკიერდო, მიგელ ფლანიო, კუელარი, კორალესი, ხუანფრანი (63. ვალდო), რაულ გარსია, ნექუნამი, ექტორ ფონტი (82. კრუჩაგა), დავიდ ლოპესი, ვებო (63. სოლდადო).

**გოლი:** 1:0 ზე კასტრო (83)

**გაძევება:** კუელარი (77. ოსასუნა), სოლდადო (85. ოსასუნა), რიკარდო (90. ოსასუნა), რაულ გარსია (90+3. ოსასუნა)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 21(4)-10(2); **კუთხური:** 7-1; **თამაშგარე:** 3-6; **ჯარიმა:** 19-20; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 40 000

### ვილიარეალი-სევილია 0:0

**ვილიარეალი:** ვიერა, ხოსემი, ფუენტესი (65. ალვარესი), სიგანი, ხოსე ენრიკე, კანი, ხოსიკო, სენა, მარკოსი (89. ბრუნო), მატიას ფერნანდესი (83. ჯონათანი), ფორლანი.

**სევილია:** პალოპი, დანი ალვესი, ხავი ნავარო, ესკუდე, პუერტა, ადრიანო (26. დუდა), რენატო (77. კერჟაკოვი), პოულსენი, ჰინკელი, კანუტე, ჩევანტონი (61. მარესკა).

**გაფრთხილება:** 5-6; **დარტყმა:** 6(3)-5(2); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 28-17; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 20 000

### ბეტისი-რასინგი 1:1

**ბეტისი:** დობლასი, მიგელ ანხელი, ხუანიტო, არსუ, ფერნანდო ვეგა, ფოგელი (71. ფერნანდო), კაპი, სობისი, ასუნსაო, ვაგნერი (46. ჩისკო), რობერტი (66. დანი).

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, გარაი, რუბენი, ორიოლი, ვიტოლო, კოლსა, სკალონი, მუნიტისი (89. ანტონიო ტომასი), ოსკარ სერანო (68. ბალბოა), ჟიგიჩი.

**გოლები:** 0:1 გარაი (85-პენ), 1:1 ჩისკო (86)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 11(2)-8(3); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 5-4; **ჯარიმა:** 13-26; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 35 000

### დეპორტივო-ესპანიოლი 0:0

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, არბელოა, კაპდევილია, ესტოიანოფი (58. ადრიანი), დუშერი, დე გუსმანი, კრისტიანი (81. ვერდუ), რიკი, არისმენდი (89. ხუან როდრიგესი).

**ესპანიოლი:** კამენი, ველასკო, ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, რუფეტე (64. კორო), დე ლა პენია, მოისესი, რიერა, ტამუდო (74. პანდიანი), ლუის გარსია (82. ჯონათასი).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 13(3)-10(1); **კუთხური:** 8-5; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 17-18; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 14 000

### სოსიედადი-ვალენსია 0:1

**სოსიედადი:** ბრავო, ლოპეს რეკარტე, მიკელ გონსალესი, ვიქტორ ლოპესი, გარიდო, არანბურუ, ხუანიტო, ჩაბი პრიეტო, ხესული (51. სავიო), ურანგა (70. ერერა), კოვაჩევიჩი (63. სკოუბო).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მარჩენა, კურო ტორესი, ალბელდა, ალბიოლი, ანგულო (81. ხოაკინი), სილვა, ვილია, მორიენტესი (70. ვისენტე).

**გოლი:** 0:1 ვილია (28)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 7(1)-12(3); **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 19 834

### სარაგოსა-რეკრეატივო 0:0

**სარაგოსა:** სესარი, ერერო, პიკე, სერხიო ფერნანდესი, ხუანფრანი, დ'ალესანდრო (67. ლაფიტა), ლონგესი (67. სელადესი), მოვილია, აიმარი, სერხიო გარსია, დიეგო მილიტო.

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალიეხო, მერინო, არსო, ბეტო, პოლი, კასორლა, ბარბერი, ხესუს ვასკესი (69. პაბლო ამო), აიტორი (56. ხუანმა), ხავი გერერო (71. სინამა პონგოლე), უჩე.

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 18(5)-10(3); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 14-10; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 27 000

### ხეტაფე-სელტა 1:0

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, ალექსისი, პარედესი, მარიო კოტელო, ვივარ დორადო (60. ნაჩო), კასკერო, ალბერტო, მანუ (85. სოუზა), გუისა (65. პაუნოვიჩი).

**სელტა:** პინტო, ანხელი, კონტრერასი, ლეკი, პლასენტე, ირინეი, უბინია, ნენე, გუსტავო ლოპესი (70. გაირე), კანობიო, ბაიანო.

**გოლი:** 1:0 დელ მორალი (1)

**გაძევება:** კონტრერასი (88. სელტა)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 9(2)-13(5); **კუთხური:** 2-2; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 28-17; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 12 000

### ლევანტე-ბილბაო 0:0

**ლევანტე:** მოლინა, მანოლო, დეუ, ალექსისი, ჰარტი (70. რობერი), ეტიენი, კამაჩო, ტომაზი (56. ნ'დიაიე), კურტუა, რიხა (83. ნინიო), კაპო.

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, ამორებიეტა, სარიეგი, კასასი, ხავი მარტინესი, მურილიო, ირაოლა, იესტე (83. გაბილონდო), ურსაისი (77. ლორენტე), ადურისი (77. გარმენდია).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13(3)-7(3); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 7-1; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 14 302

### ბარსელონა-ხიმნასტიკი 3:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, ედმილსონი, ტიურამი (83. მარკესი), ძამბროტა, ჩავი, ჟიული, დეკუ (58. ინიესტა), რონალდინიო, სავიოლა (65. გუდიონსენი).

**ხიმნასტიკი:** ბისარი, კალვო, სესარ ნავასი, მატელიანი, მინგო, აბელ ბუადესი, მორალესი, ნენერელო (58. შერინო), კუელარი (66. კამპანო), ხუან დიასი (66. პინილია), პორტილიო.

**გოლები:** 1:0 სავიოლა (18), 2:0 ჟიული (67), 3:0 ინიესტა (80)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 11(5)-5(0); **კუთხური:** 1-1; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 18-23; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 79 000

### მალიორკა-რეალი 0:1

**მალიორკა:** მოია, ექტორი, რამისი, ნუნიესი, ნავარო, ვარელა (81. იანკოვიჩი), ბასინასი, ხორდი (86. ვიქტორი), იბაგასა (72. არანგო), იონას გუტიერესი, მაქსი ლოპესი.

**რეალი:** კასილიასი, ივან ელგერა, კანავარო, ტორესი, სერხიო რამოსი (60. რაულ ბრავო), გაგო, დიარა, რეიესი, იგუაინი (87. დე ლა რედი), რობინიო, ვან ნისტელროი.

**გოლი:** 0:1 რეიესი (77)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(4)-14(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 11 | 5 | 2 | 39-16 | 38 |
| 2. სევილია | 19 | 12 | 2 | 5 | 37-19 | 38 |
| 3. რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 28-16 | 38 |
| 4. ვალენსია | 19 | 11 | 3 | 5 | 28-15 | 36 |
| 5. ატლეტიკო | 19 | 10 | 5 | 4 | 25-13 | 35 |
| 6. სარაგოსა | 19 | 9 | 4 | 6 | 30-20 | 31 |
| 7. რეკრეატივო | 19 | 9 | 3 | 7 | 28-25 | 30 |
| 8. ხეტაფე | 19 | 8 | 5 | 6 | 16-13 | 29 |
| 9. ოსასუნა | 19 | 8 | 2 | 9 | 27-24 | 26 |
| 10. ესპანიოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 18-18 | 26 |
| 11. ვილიარეალი | 19 | 7 | 5 | 7 | 18-24 | 26 |
| 12. რასინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 18-23 | 25 |
| 13. დეპორტივო | 19 | 5 | 7 | 7 | 14-24 | 22 |
| 14. სელტა | 19 | 5 | 6 | 8 | 21-26 | 21 |
| 15. მალიორკა | 19 | 5 | 5 | 9 | 16-27 | 20 |
| 16. ბილბაო | 19 | 4 | 7 | 8 | 21-28 | 19 |
| 17. ლევანტე | 19 | 4 | 7 | 8 | 16-26 | 19 |
| 18. ბეტისი | 18 | 4 | 5 | 9 | 18-25 | 17 |
| 19. სოსიედადი | 19 | 2 | 7 | 10 | 12-25 | 13 |
| 20. ხიმნასტიკი | 19 | 2 | 3 | 14 | 16-39 | 9 |

**ბომბარდირები:** 14 - კანუტე (სევილია); 12 - დიეგო მილიტო (სარაგოსა), რონალდინიო (ბარსელონა); 10 - ვან ნისტელროი (რეალი); 8 - ვილია (ვალენსია), ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია); 6 - მორიენტესი (ვალენსია), უჩე (რეკრეატივო), ფორლანი (ვილიარეალი).

### II დივიზიონი

XXI ტური

**ელჩე-ერკულესი 2:0**

გოლები: 1:0 მიგელი (36), 2:0 ტროტა (74)

**რეალი B-კადისი 0:1**

გოლი: 0:1 პ. ერნანდესი (19)

**ტენერიფე-მურსია 1:1**

გოლები: 1:0 ხრისტო (57), 1:1 ანტონიტო (75)

**ხერესი-სპორტინგი 3:1**

გოლები: 0:1 ბარალი (23), 1:1 არუაბარენა (44), 2:1 რიოსი (48), 3:1 მენდოსა (79-პენ)

**ლორკა-ალბასეტე 3:0**

გოლები: 1:0 ალეგრე (30-საკ. კარში), 2:0 კარლოსი (90), 3:0 სანჩესი (90)

**ეიბარი-ლას პალმასი 1:1**

გოლები: 0:1 დარინო (45), 1:1 უსერო (75)

**პონფერადინა-ალავესი 0:2**

გოლები: 0:1 ნავარო (9-პენ), 0:2 პაულისტა (52)

**ვალიადოლიდი-ნუმანსია 2:0**

გოლები: 1:0 ბეა (24), 2:0 ლორენტე (87)

**სიუდადი-სალამანკა 1:0**

გოლი: 1:0 საისარი (74)

**მალაგა-კასტელონი 0:0**

**ვესინდარიო-ალმერია 0:1**

გოლი: 0:1 აჩაბალი (8-საკ. კარში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 21 | 13 | 5 | 3 | 34-15 | 44 |
| 2. მურსია | 21 | 10 | 8 | 3 | 33-24 | 38 |
| 3. ალმერია | 21 | 11 | 4 | 6 | 32-21 | 37 |
| 4. სიუდადი | 21 | 10 | 3 | 8 | 25-21 | 33 |
| 5. სალამანკა | 21 | 9 | 5 | 7 | 31-23 | 32 |
| 6. ხერესი | 21 | 9 | 5 | 7 | 26-19 | 32 |
| 7. კადისი | 21 | 8 | 8 | 5 | 24-21 | 32 |
| 8. ერკულესი | 21 | 9 | 4 | 8 | 25-20 | 31 |
| 9. სპორტინგი | 21 | 10 | 1 | 10 | 27-24 | 31 |
| 10. ეიბარი | 21 | 8 | 7 | 6 | 24-21 | 31 |
| 11. ნუმანსია | 21 | 8 | 6 | 7 | 23-22 | 30 |
| 12. ალავესი | 21 | 8 | 6 | 7 | 22-26 | 30 |
| 13. მალაგა | 21 | 7 | 6 | 8 | 25-25 | 27 |
| 14. კასტელონი | 21 | 7 | 5 | 9 | 20-23 | 26 |
| 15. ალბასეტე | 21 | 7 | 5 | 9 | 23-28 | 26 |
| 16. ტენერიფე | 21 | 7 | 5 | 9 | 18-24 | 26 |
| 17. ელჩე | 21 | 6 | 7 | 8 | 24-27 | 25 |
| 18. რეალი B | 21 | 7 | 4 | 10 | 24-34 | 25 |
| 19. ლას პალმასი | 21 | 5 | 8 | 8 | 24-28 | 23 |
| 20. პონფერადინა | 21 | 5 | 6 | 10 | 17-25 | 21 |
| 21. ლორკა | 21 | 5 | 6 | 10 | 19-28 | 21 |
| 22. ვესინდარიო | 21 | 4 | 2 | 15 | 20-41 | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოლანდია

XXI ტური

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-ალკმაარი | 1:3 |
| ეინდჰოვენი-ჰერენვეენი | 3:1 |
| როდა-ვილემი | 2:1 |
| ჰერაკლესი-ნიიმეგენი | 0:0 |
| ვაალვიკი-ტვენტე | 1:2 |
| აიაქსი-უტრეხტი | 2:0 |
| ბრედა-ფეიენოორდი | 4:1 |
| სპარტა-ექსელსიორი | 2:1 |
| ვიტესი-გრონინგენი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 21 | 18 | 2 | 1 | 56-9 | 56 |
| 2. აიაქსი | 21 | 14 | 3 | 4 | 49-21 | 45 |
| 3. ალკმაარი | 21 | 13 | 5 | 3 | 57-22 | 44 |
| 4. ტვენტე | 21 | 12 | 5 | 4 | 45-24 | 41 |
| 5. ფეიენოორდი | 21 | 12 | 3 | 6 | 42-40 | 39 |
| 6. ჰერენვეენი | 21 | 10 | 3 | 8 | 35-28 | 33 |
| 7. ბრედა | 21 | 9 | 5 | 7 | 28-30 | 32 |
| 8. გრონინგენი | 21 | 9 | 3 | 9 | 32-39 | 30 |
| 9. ვიტესი | 21 | 9 | 2 | 10 | 39-36 | 29 |
| 10. როდა | 21 | 8 | 5 | 8 | 25-29 | 29 |
| 11. ნიიმეგენი | 21 | 7 | 6 | 8 | 21-25 | 27 |
| 12. უტრეხტი | 21 | 7 | 5 | 9 | 26-32 | 26 |
| 13. სპარტა | 21 | 8 | 1 | 12 | 26-40 | 25 |
| 14. ჰერაკლესი | 21 | 4 | 6 | 11 | 17-37 | 18 |
| 15. ექსელსიორი | 21 | 4 | 4 | 13 | 28-43 | 16 |
| 16. ვილემი | 21 | 5 | 1 | 15 | 21-50 | 16 |
| 17. დენ ჰააგი | 21 | 3 | 4 | 14 | 23-40 | 13 |
| 18. ვაალვიკი | 21 | 2 | 7 | 12 | 17-42 | 13 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ვენლო-ფორტუნა 3:1; აპელდოორნი-ომნივორლდი 1:3; ვეენდამი-ჰელმონდი 3:0; გრააფსხაპი-კამბური 3:1; ეინდჰოვენი A-დორდრეჰტი 1:7; ვოლენდამი-ცვოლე 1:0; იგლზი-ემენი 2:0; ჰაარლემი-როსენდალი 1:1; მაასტრიხტი-დენ ბოში 1:1; ტოპ ოსი-ტელსტარი 3:3.

## ბელგია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ვარეგემი-გენკი | 2:2 |
| ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 2:0 |
| ბევერენი-ბეერსხოტი | 1:1 |
| სერკლი-მუსკრონი | 2:1 |
| ლიერსი-შარლერუა | 2:1 |
| მონსი-ბრიუსელი | 1:1 |
| რუზელარე-ვესტერლო | 2:0 |
| გენტი-ბრიუგე | 0:0 |
| სტანდარდი-ლოკერენი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 18 | 12 | 5 | 1 | 40-18 | 41 |
| 2. ანდერლეხტი | 18 | 12 | 4 | 2 | 35-17 | 40 |
| 3. სტანდარდი | 18 | 10 | 4 | 4 | 35-21 | 34 |
| 4. გენტი | 18 | 10 | 4 | 4 | 29-22 | 34 |
| 5. ბრიუგე | 18 | 9 | 5 | 4 | 35-19 | 32 |
| 6. შარლერუა | 18 | 8 | 5 | 5 | 24-19 | 29 |
| 7. ვესტერლო | 18 | 7 | 4 | 7 | 22-24 | 25 |
| 8. რუზერალე | 18 | 6 | 6 | 6 | 29-29 | 24 |
| 9. ბეერსხოტი | 18 | 6 | 6 | 6 | 21-25 | 24 |
| 10. ვარეგემი | 18 | 5 | 7 | 6 | 22-25 | 22 |
| 11. სერკლი | 18 | 6 | 3 | 9 | 16-19 | 21 |
| 12. სტ. ტრუიდენი | 18 | 6 | 2 | 10 | 23-28 | 20 |
| 13. მუსკრონი | 18 | 4 | 7 | 7 | 24-31 | 19 |
| 14. ბრიუსელი | 18 | 3 | 8 | 7 | 17-23 | 17 |
| 15. ბევერენი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-26 | 17 |
| 16. მონსი | 18 | 4 | 5 | 9 | 15-25 | 17 |
| 17. ლოკერენი | 18 | 3 | 7 | 8 | 13-23 | 16 |
| 18. ლიერსი | 18 | 2 | 3 | 13 | 12-34 | 9 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

დესელი-ეუპენი 1:3; ანტვერპენი-ვაასლანდი გადაიდო; ლომელი-ტუბეკე 1:2; მეხელენი-ჰევერლე 3:1; ოსტენდე-სტ.ჟილი 2:2; ვირტონი-რასინგი 1:0; კორტრიიკი-დაინცე 2:2; რონსე-ჰამე 1:1; ტინენი-დენდერი 3:0.

## შოტლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| სელტიკი-სტ.მირენი | 5:1 |
| ჰართსი-ფალკირკი | 1:0 |
| კილმარნოკი-დანდი იუნ | 1:0 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | 3:0 |
| დანფერმლაინი-რეინჯერსი | 0:1 |
| მოზერველი-აბერდინი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 25 | 19 | 5 | 1 | 50-19 | 62 |
| 2. რეინჯერსი | 25 | 13 | 6 | 6 | 41-22 | 45 |
| 3. ჰართსი | 25 | 11 | 7 | 7 | 34-24 | 40 |
| 4. აბერდინი | 24 | 11 | 6 | 7 | 31-22 | 39 |
| 5. ჰიბერნიანი | 25 | 10 | 6 | 9 | 44-31 | 36 |
| 6. ფალკირკი | 25 | 10 | 3 | 12 | 33-31 | 33 |
| 7. კილმარნოკი | 25 | 9 | 6 | 10 | 32-40 | 33 |
| 8. ინვერნესი | 25 | 7 | 10 | 8 | 29-33 | 31 |
| 9. დანდი იუნ | 25 | 7 | 6 | 12 | 28-48 | 27 |
| 10. მოზერველი | 23 | 7 | 4 | 12 | 29-39 | 25 |
| 11. სტ. მირენი | 24 | 5 | 8 | 11 | 22-37 | 23 |
| 12. დანფერმლა | 25 | 3 | 5 | 17 | 13-40 | 14 |

### I დივიზიონი

XXIII ტური

კლაიდი-როსი 2:4; დანდი-ქუინი 1:0; გრეტნა-ლივინგსტონი 4:1; ჰამილტონი-პარტიკი 2:1; სტ.ჯონსტონი-ეირდრი 4:3.

### II დივიზიონი

XXII ტური

ალოა-ეირი 1:1; ფორფარი-კოუდენბითი 2:0; მორტონი-სტირლინგი 2:1; პიტერჰედი-სტრანრარი 5:0; რეითი-ბრეჩინი 1:0.

### III დივიზიონი

XXII ტური

ალბიონი-ელჯინი 6:2; დამბარტონი-სტენჰაუზმური გადაიდო; ისტ ფაიფი-ბერუიკი 0:2; ისტ სტირლინგი-არბროა გადაიდო; ქუინზ პარკი-მონროუზი 5:0.

## გერმანია

### II ბუნდესლიგა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-ოფენბახი | 2:3 |
| ესენი-კაიზერსლაუტერნი | 0:0 |
| უნტერჰახინგი-აუე | 1:1 |
| კარლსრუე-ბურგჰაუზენი | 2:1 |
| კობლენცი-დუისბურგი | 1:1 |
| კიოლნი-აუგსბურგი | 1:1 |
| მიუნხენი-ფიურტი | 0:3 |
| პადერბორნი-ბრაუნშვაიგი | 0:0 |
| ჰანზა-ფრაიბურგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 18 | 12 | 5 | 1 | 43-18 | 41 |
| 2. ჰანზა | 17 | 10 | 7 | 0 | 30-11 | 37 |
| 3. დუისბურგი | 18 | 8 | 9 | 1 | 33-18 | 33 |
| 4. კაიზერი | 18 | 8 | 7 | 3 | 25-16 | 31 |
| 5. აუე | 18 | 9 | 3 | 6 | 26-25 | 30 |
| 6. მიუნხენი | 18 | 8 | 4 | 6 | 23-23 | 28 |
| 7. აუგსბურგი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-16 | 25 |
| 8. ოფენბახი | 18 | 7 | 4 | 7 | 24-26 | 25 |
| 9. ფიურტი | 18 | 6 | 5 | 7 | 27-23 | 23 |
| 10. კიოლნი | 18 | 5 | 6 | 7 | 25-25 | 21 |
| 11. კობლენცი | 18 | 5 | 5 | 8 | 20-26 | 20 |
| 12. პადერბორნი | 18 | 4 | 8 | 6 | 14-18 | 20 |
| 13. უნტერჰახინგ | 18 | 4 | 7 | 7 | 16-17 | 19 |
| 14. ფრაიბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 17-24 | 19 |
| 15. ბურგჰაუზენი | 18 | 4 | 5 | 9 | 18-32 | 17 |
| 16. კარლ ცაისი | 18 | 3 | 7 | 8 | 20-36 | 16 |
| 17. ესენი | 18 | 3 | 5 | 10 | 15-22 | 14 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 18 | 1 | 7 | 10 | 10-28 | 10 |

## საბერძნეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ქსანტი-პანათინაიკოსი | 0:0 |
| არისი-ეგალეო | 3:1 |
| აპოლონი-იონიკოსი | 1:0 |
| ლარისა-კერკირა | 2:2 |
| პანიონიოსი-ერგოტელისი | 2:0 |
| აეკ-ატრომიტოსი | 3:0 |
| ოფი-ირაკლისი | 1:0 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 18 | 15 | 1 | 2 | 36-10 | 46 |
| 2. აეკ | 18 | 12 | 4 | 2 | 37-11 | 40 |
| 3. პანათინაიკოს | 18 | 12 | 2 | 4 | 29-15 | 38 |
| 4. ოფი | 18 | 7 | 5 | 6 | 21-20 | 26 |
| 5. პაოკ | 18 | 7 | 4 | 7 | 19-17 | 25 |
| 6. არისი | 18 | 4 | 11 | 3 | 18-17 | 23 |
| 7. ეგალეო | 18 | 6 | 4 | 8 | 18-22 | 22 |
| 8. პანიონიოსი | 18 | 5 | 7 | 6 | 14-20 | 22 |
| 9. ქსანტი | 18 | 5 | 6 | 7 | 12-13 | 21 |
| 10. კერკირა | 18 | 5 | 6 | 7 | 16-19 | 21 |
| 11. აპოლონი | 18 | 5 | 6 | 7 | 14-20 | 21 |
| 12. ატრომიტოსი | 18 | 4 | 8 | 6 | 21-26 | 20 |
| 13. ერგოტელის | 18 | 5 | 4 | 9 | 17-21 | 19 |
| 14. ლარისა | 18 | 4 | 7 | 7 | 17-27 | 19 |
| 15. ირაკლისი | 17 | 5 | 3 | 9 | 14-21 | 18 |
| 16. იონიკოსი* | 17 | 2 | 2 | 13 | 8-32 | 6 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## საფრანგეთის თასი

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ამიენი-ნანტი | 1:3 |
| კალე-სედანი | 1:2 |
| ლაონი-ლიონი | 1:3 |
| ლე მანი-მარსელი | 0:1 დ.დ. |
| სოშო-ლიონ ლა დუმერი | 2:1 |
| ბუასგიომი-ვანი | 1:1 პენ. 5:6 |
| ბორდო-ნიორი | 2:2 პენ. 5:4 |
| კლერმონი-როდე ავეირონი | 1:0 |
| პონტივი-მონტკო | 0:2 |
| ორლეანი-ლანსი | 1:3 |
| რომორანტენი-ვალანსი | 1:2 |
| ქარვილი-ლიბურნი | 3:5 დ.დ. |
| მონპელიე-ნიცა | 0:0 პენ. 4:2 |
| სტრასბური-ლილი | 2:3 |
| პსჟ-გენიონი | 1:0 |
| მონაკო-ტულუზა | 2:0 |

## მექსიკა

I ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ტიგრესი | 2:1 |
| კერეტარო-ვერაკრუსი | 0:0 |
| კრუს ასული-პაჩუკა | 3:2 |
| მონტერეი-ს. ლაგუნა | 1:0 |
| ჩივასი-ტოლუკა | 1:1 |
| მორელია-ატლანტე | 3:1 |
| ნეკაქსა-ხაგუარესი | 3:1 |
| პუმასი-ატლასი | 0:0 |
| ამერიკა-სან ლუისი | გვ.დასრულდა |

## თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| ბურსა-ერჩიესი | 2:4 |
| კარსიაკა-ქაისერი | 0:2 |
| გაზიანთეპი-შივასი | 1:0 |
| ბუიუქსევირი-ფენერბაჩე | 0:5 |
| ანკარასპორი-მანისა | 1:2 |
| ტრაბზონი-ქონია | 1:1 |
| ბეშიქთაში-ანკარაგიუჯუ | 2:1 |
| რიზე-გენჩლერი | 0:1 |

## პორტუგალიის თასი

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-სანტა კლარა | 1:0 |
| გონდომარი-ბელენენსეში | 1:4 |
| ლეიქსოეში-აკადემიკა | 1:2 |
| ოდიველაში-მაფრა | 3:1 |
| ამადორა-ნავალი | 0:1 |
| ბეირა მარი-ლულეტანო | 4:2 |
| ბოავიშტა-პენალვა | 3:1 |
| მაია-ავეში | 1:0 |
| პინალნოვენსე-კამაჩა | 2:0 |
| სპორტინგი-რიო ავე | 2:1 |
| ბრაგა-პონტასოლენსე | 2:1 |
| ვარზიმი-სერტანენსე | 3:1 დ.დ. |
| ნასიონალი-პენაფიელი | 0:0 პენ. 7:6 |
| ბენფიკა-ლეირია | 2:1 |

ინტერვიუ ლენარტ იუჰანსონთან

# ჩემს ხელში უეფა საათივით აწყობილი მექანიზმია

## შვედი ჩინოსნის აზრით, ევროპული ფეხბურთის ბოსი დიქტატორი არ უნდა იყოს

**რამდენიმე დღეც და გაირკვევა, ვინ იქნება უეფას პრეზიდენტი – ისევ ლენარტ იუჰანსონი თუ მიშელ პლატინი, რომელიც ბებერ შვედს გააფთრებით ებრძვის. ორივეს აქვთ თავიანთი კონცეფცია, იდეები და მოსაზრებები, მაგრამ ამ მხრივ გამორჩეული მაინც პლატინია, რომელსაც რევოლუციური იდეებით სურს უეფას სათავეში მისვლა. იუჰანსონი კი ის კაცია, რომელიც პრინციპში ბევრი რამის შეცვლას არ აპირებს. პლატინის თავისი იდეების გამო, ღარიბი ქვეყნები დაუჭერენ მხარს. ამ მხრივ იუჰანსონმაც გადადგა პირველი ნაბიჯი და განაცხადა, რომ ძალიან უნდა, ევროპის ჩემპიონატი 24-გუნდიან ტურნირად გადააქციოს, რათა ჩვენნაირ ქვეყნებს იქ მოხვედრის უფრო დიდი შანსი ჰქონდეთ. სამაგიეროდ, იუჰანსონი ხელს არ ახლებს ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის ფორმატებს (რასაც პლატინი აპირებს), თუმცა კლუბებს მომავალში უფრო მეტის გადახდას ჰპირდება. გაეცანით ინტერვიუს უეფას ამჟამინდელ ბოსთან, რომელიც გერმანულ „ფრანკფურტერ ალგემაინეში“ გამოქვეყნდა.**



უეფას პრეზიდენტობის ორი კანდიდატი, მიშელ პლატინი და ლენარტ იუჰანსონი

**- ჰერ იუჰანსონ, თქვენ აქ ხართ, ოფისში?**

- რატომ არ უნდა ვიყო აქ?

**- იმიტომ, რომ თქვენმა კონკურენტმა, მიშელ პლატინიმ ასეთი რამ თქვა: როცა არ უნდა ჩახვიდეთ ციურიხში და ფიფას ოფისში მიხვიდეთ, ზეპ ბლატერი ყოველთვის თავის კაბინეტშია. ხოლო, თუ ნიონში ჩახვალთ და უეფას ოფისს მიაშურებთ, შანსი არ არის, რომ ლენარტ იუჰანსონი ადგილზე დაგხვდეთ. ეს მართალია?**

- დამიჯერეთ, ნამდვილად ვერ ვხვდები, რას გულისხმობს მიშელი. 17 წელია, უეფას ერთი სხდომაც კი არ გამიცდენია. ჰო, არა, ახლა გამახსენდა: ერთხელ გავაცდინე, მაგრამ საპატიო მიზეზი მქონდა, რადგან ოპერაცია გავიკეთე და ნიონში ჩამოსვლა ფიზიკურად არ შემეძლო. ხოლო, თუ პლატინი იმას გულისხმობს, რომ ბევრს ვმოგზაურობ, ვფიქრობ, ამაში გასაკვირი და გასაოცარი არაფერი უნდა იყოს. ფედერაციებში მეპატიჟებიან ხოლმე და უარს არავის ვეუბნები, რადგან ეს ელემენტარული პატივისცემაა.

**- პლატინის, თუკი მას აირჩევენ, უნდა, რომ „მოქმედი“ პრეზიდენტი იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თქვენ უმოქმედობაში გადანაშაულებთ...**

- არ ვიცი, ვის როგორ ესმის ეს სამსახური, მაგრამ მე ჩემს თანამდებობაზე სხვანაირი წარმოდგენა მაქვს. არ მესმის, რას ეძახის პლატინი უმოქმედობას. არ შემიძლია, მთელი დღის განმავლობაში ჩემს კაბინეტში ვიჯდე და ვისმინო ადმინისტრატორებისა და გენერალური მდივნის მოხსენებები, ან მხოლოდ რჩევა-დარიგებები ვაძლიო მათ. ზოგი რამ თვითონაც უნდა ვაკეთო. თუ ეს უმოქმედობაა, კი ბატონო, ნურავინ მომცემს ხმას.

**- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს უეფას პრეზიდენტი?**

- ამ თანამდებობაზე მყოფი კაცი არაფრისდიდებით არ უნდა იყოს დიქტატორი. მან უნდა უხელმძღვანელოს სხდომებს და უნდა შეეძლოს მოსმენა. გარდა ამისა, უნდა შეეძლოს საკუთარი იდეების განხორციელება. მე ვფიქრობ, რომ დღესდღეობით უეფა საათივით აწყობილი სისტემაა, რომელსაც ნამდვილად არ სჭირდება რომელიმე ნაწილის გამოცვლა.

**- უკვე 17 წელია, რაც უეფაში ხართ. თქვენს ხელში ეს ასოციაცია ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი გაერთიანება გახდა. ფინანსური მდგომარეობით, წესით, ძალიან კმაყოფილი უნდა იყოთ.**

- დიახ, რა თქმა უნდა. ფინანსურად ძალიან ძლიერი ორგანიზაცია ვართ და ამით ყოველთვის ვამაყობ. და კიდევ ერთი: ჩვენ ძალიან სწორად ვანაწილებთ ფულს. სანამ პოსტზე ვარ, თანხების განაწილების ჩემეულ სისტემას სულითა და გულით დავიცავ. ჩვენი შემოსავლის უმთავრესი წყარო ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ჩემპიონატია. ამ ტურნირებიდან დიდი თანხები შემოდის, რომელთა უდიდეს ნაწილს ქვეყნების საფეხბურთო კავშირებსა თუ ფედერაციებს ვუბრუნებთ, რათა მათ უფრო იოლად იზრუნონ ფეხბურთის ფესვებზე - პირველ რიგში, ბავშვთა ფეხბურთზე.

**- ბლატერი და ფრანც ბეკენბაუერი მხარს უჭერენ იდეას, რომლის მიხედვითაც, თითოეული კლუბის სასტარტო შემადგენლობაში მინიმუმ 6 ისეთი ფეხბურთელი უნდა იყოს, რომელიც იმ ქვეყნის მოქალაქეა. 6+5 სისტემის ფორმულას თქვენც ემხრობით?**

- დიახ, ბლატერსა და ბეკენბაუერს გულითა და სულით ვუერთდები. მჯერა, რომ ფეხბურთისთვის ასე უფრო უკეთესი იქნება. თუმცა მე იმასაც ვხვდები, რომ ამ იდეის სისრულეში მოყვანა არც ისე იოლი იქნება. მაგრამ მთავარია, რომ სამივეს გვჯერა - ასე უფრო იოლი იქნება. ჩვენი ამოცანა სწორედ ისაა, რომ ყველა შესაძლო ხერხი ვცადოთ იმისთვის, რომ ფეხბურთი კიდევ უფრო საინტერესო და მასობრივი გახდეს. ეს იდეა, პირველ რიგში, იმას ემსახურება, რომ ბავშვებს უფრო მეტი შანსი უნდა მიეცეთ. რაც დრო გადის, კლუბებში ლეგიონერთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. ამით ე.წ. „პატარა ქვეყნებში“ ინტერესი კლებულობს, „დიდ ქვეყნებში“ კი დიდი და აბსოლუტურად არასაჭირო აღრევა ხდება. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს. სხვათა შორის, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტი ქვეყნიდან გვიჭერენ ამაში მხარს.

**- თქვენზე ამბობენ, ისეთი კაცია, რომელიც „დიდ ქვეყნებს“ ყველაფერს უჯერებს და მხოლოდ მათ დაკრულზე ცეკვავსო. პირადად თქვენ, როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

- სხვანაირად. სხვათა შორის, ძალიან მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატი 24-გუნდიანი გავხადო. ამით „პატარა ქვეყნებს“ უფრო უკეთესი შანსი მიეცემა. ვფიქრობ, გავზარდო იმ თანხების რაოდენობა, რომელიც კლუბებს ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე თითოეული ეტაპის გადალახვის შემდეგ ურიგდებათ. სამაგიეროდ, იმის სასტიკი წინაამდეგი ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს, სადაც ის გუნდები ითამაშებენ, რომლებიც კვოტის შესაბამისად, ფიფას რეიტინგის სათავეში იქნებიან. მსურს, რომ მუნდიალზე მოხვედრის შანსი ყველას თანაბარი ჰქონდეს. ამისთვის მინიმუმ ყველაფერი ისევე უნდა დარჩეს, როგორც ახლაა. არ მავიწყდება, რომ უეფაში გაწევრიანებული 52 ფედერაციიდან, 45 დიდი ან საშუალო ფედერაციაა. ყველაფერ იმაში, რისი გაკეთებაც ასე ძლიერ გვინდა, ხელს გვიშლიან მდიდარი კლუბები, რომლებსაც აქვთ დიდი გავლენა და ჰყავთ საუკეთესო ფეხბურთელები. თუკი ეს ძალები თავს გაიტანენ და ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ, ფეხბურთი აღარ იქნება ის, რაც ჩვენ გვინდა, რომ იყოს: თამაში, რომელშიც გამარჯვებული და დამარცხებული მოედანზე სამართლიან ბრძოლაში ვლინდება. ფეხბურთი უნდა იყოს სპორტი, სადაც ვიღაც ელიტიდან ვარდება ან ვიღაც ელიტაში ადის. მუდმივი ელიტის შექმნა უსამართლობაა! ამერიკელების იდეები არაფერში გვჭირდება. ნუთუ გვინდა, რომ სპორტის ნომერ პირველი სახეობა - ფეხბურთი - შემოღობილ იქნას და თავის თავში ჩაიკეტოს?

**- პლატინის კიდევ ერთი ბერკეტი ის გახლავთ, რომ თქვენზე ამბობს, ძალიან ასაკოვანია იმისთვის, რომ კიდევ 4 წლით იქნას არჩეულიო...**

- სიმართლე გითხრათ, ამის გამო მიშელზე ძალიან ნაწყენი ვარ. არ მომეწონა, რომ ჩემს ასაკზე ასეთი ირონიით საუბრობს. პლატინის პირადად არც არასდროს ვუტევდი და არც ახლა შევუტევ, მიუხედავად იმისა, რომ სათქმელი მეც ბევრი მაქვს. მისი განცხადებები რომ წავიკითხე, ენას კბილი მაგრად დავაჭირე, რათა რაიმე ძალიან უწმაწური არ მეთქვა. დიახ, მესმის, რომ არც ისეთი ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ფიზიკურად და მენტალურად სრულიად ჯანმრთელი გახლავართ და მუშაობა შემიძლია.

**- პლატინი ამბობს, იუჰანსონი ორი წლის წინათ ფიფას კონგრესზე შემპირდა, 2006 წელს კენჭს აღარ ვიყრი და პოსტს შენ დაგითმობოო. მართლა შეჰპირდით?**

- ეს მტკნარი სიცრუეა!

**- მიშელის იდეებიდან ყველაზე მეტად რომელი არ მოგწონთ?**

- ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლა! ეს აბსურდული იდეაა! მე ვფიქრობ, რომ ისეთი შესანიშნავი, საინტერესო და მომგებიანი ტურნირის ფორმატის არევა, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, დიდ ცვლილებებს გამოიწვევს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს უარყოფითი ცვლილებები იქნება. ჩემპიონთა ლიგაში ექსპერიმენტების ჩატარება არ შეიძლება!

**- დაბოლოს: ბლატერმა აშკარად პლატინის დაუჭირა მხარი...**

- სიმართლე გითხრათ, ზეპის სიტყვებმა გამაოგნეს. ერთ-ერთი პირველი, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებისკენ მიბიძგებდა და დღენიადაგ მთხოვდა, ეს კიდევ ერთხელ უნდა გააკეთოო, სწორედ ფიფას პრეზიდენტი იყო. ბლატერმა მაშინ სრული მხარდაჭერა გამომიცხადა.

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე. ახალი სპონსორის პრეზენტაცია

# გაზპრომი პომპეზურად მივიდა

## კობის გუნდი რუსული გაზით ან მოიწამლება, ან ხელს მოითბობს...



მარსელო ბორდონმა ზენიტს ეფექტური გოლი გაუტანა

შაბათს, გელზენკირხენში, „ფელტინს არენა აუფ შალკეზე" ამხანაგური მატჩი გაიმართა. **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" სტ. პეტერბურგის „ზენიტს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო (გელზენკირხენელთა მხრიდან გოლები **კევინ კურანიმ** და **მარსელო ბორდონმა** გაიტანეს, კობიმ შეუცვლელად ითამაშა). თამაშს 61 481 მაყურებელი დაესწრო და ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სტადიონზე თითოეული მათგანი, პირველ რიგში, ფეხბურთის სანახავად მივიდა. არადა, ფეხბურთი და უშუალოდ ეს შეხვედრა იმ დღეს მეორეხარისხოვანი გახლდათ. ეს იმიტომ, რომ შაბათი „შალკეს" ახალი გენერალური სპონსორის, რუსული გიგანტის, „გაზპრომის" ოფიციალური წარდგენის დღე იყო.

სტადიონზე მისული გულშემატკივრები გაოცდნენ: სულ სხვა რამეს ელოდნენ და სულ სხვა რამ დახვდათ. მატჩის წინ, რუსი ორგანიზატორები ამბობდნენ, რომ პომპეზური შოუ არ გაიმართებოდა და რომ ყველაფერი ჩვეულებრივად, მშვიდ ატმოსფეროში ჩაივლიდა. არ გვინდა, რომ თავიდანვე ყველას თვალში გავეჩხიროთ, მშვიდად და ყოველგვარი შოუ-პროგრამების გარეშე შემოვაბიჯებთ გუნდშიო, ამბობდნენ „გაზპრომის" წარმომადგენლები. მაგრამ განსხვავება დაპირებულსა და გაკეთებულს შორის იმდენად დიდი იყო, რომ გერმანელ ექსპერტებს უკვე ეჭვი შეეპარათ ყველაფერში, რაც აქამდე „გაზპრომის" ბოსებმა გელზენკირხენული კლუბის შესახებ ილაპარაკეს. არანაირი სიწყნარე და სიმშვიდე – ეს იყო ძალიან პომპეზური შოუ და აღსანიშნავია, რომ გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ასეთი რამ არცერთ სხვა სპონსორს არ გაუკეთებია.

შოუს დაწყებამდე მთელი სტადიონი ჩაბნელებული იყო. ჩანდა მხოლოდ „შალკესა" და „გაზპრომის" (მოედნის ცენტრში) ლოგოები. ლოგოები ნელ-ნელა გამრავლდა და მთელ სტადიონს მოედო. რამდენიმე წუთის შემდეგ არენა ისევ ჩაბნელდა და ამ დროს ფეხბურთელებმა მოედანზე დაიწყეს გასვლა. თითოეული ფეხბურთელი ცალ-ცალკე წარუდგა პუბლიკას. როცა გუნდები გახურდნენ და მოედანი დატოვეს, სტადიონი ისევ ჩაბნელდა. გაუშვეს ათიოდე უდიდესი საჰაერო ბუშტი და ალბათ იოლი გამოსაცნობია, რაც ეწერა თითოეულ მათგანზე. მერე იყო ქორეოგრაფიული შოუ და ბოლოს, მოედნის ცენტრში, „აუფ შალკეს" გრანდიოზული ტაბლოდან გუნდის ახალი, გიგანტური მაისურა ჩამოიშალა. ცხადია, წარწერით GAZPROM.

ასეთმა პომპეზურმა და ხმაურიანმა პრეზენტაციამ, ჩვენი გერმანელი კოლეგები და საფეხბურთო ექსპერტები კიდევ ერთხელ დააფიქრა იმაზე, თუ რამდენად უცნაური და დაუჯერებელია ის, რომ რუსული გაზის კომპანიამ „შალკეს" დასპონსორება და გელზენკირხენული კლუბის მაისურებზე თავისი სახელის რეკლამირება მოისურვა. მით უფრო უცნაურია, რომ „გაზპრომი" „შალკეს" ამდენ ფულს უხდის (125 მილიონი ევრო, კონტრაქტი 2012 წლამდე).

*„ეს გარიგება გარკვეულ ეჭვებს, პირველ რიგში, იმიტომ ბადებს, რომ ფაქტია, კონკრეტული პიროვნება ან პიროვნებები „გაზპრომის" მომხმარებლები ვერ გახდებიან. მაშინ, რაში სჭირდება ამ კომპანიას რეკლამა ხალხისთვის?* - წერს გერმანული გამოცემა „შპიგელი", - *ამიტომაც, კარგად უნდა დავფიქრდეთ. „შალკეს" გულშემატკივრებს „გაზპრომი" შეუყვარდებათ, მაგრამ „გაზპრომს" ამით რა? ამ კომპანიის გერმანელმა წარმომადგენლებმა თქვეს, ჩვენი მიზანია, „გაზპრომი" უფრო დიდმა მასებმა გაიცნონ და თანაც, კორექტული სახით, ისეთით, როგორიც სინამდვილეში გვაქვსო. „შალკე" კი თურმე კომუნიკაციის შესანიშნავი საშუალება ყოფილა. ადრე, ცივი ომის დროს ასეთ რამეს დეზინფორმაციასა და პროპაგანდას უწოდებდნენ. ფაქტია, რომ „გაზპრომს" თავისი ნამდვილი სახის წარმოჩენა კი არა, ფეხბურთის საშუალებით ნეგატიური იმიჯის შეცვლა სურს. ყველამ იცის, რომ ისინი მონოპოლისტები არიან, თანაც კორუფციით გაჟღენთილები, მით უმეტეს, რომ „გაზპრომი" კრემლიდან კონტროლდება და მას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. ამ პიარ-სტრატეგიამ „გაზპრომი" სუფთა და კომერციულ კომპანიად უნდა წარმოაჩინოს."*



ბუნდესლიგას სპონსორის ასეთი პომპეზური პრეზენტაცია არ ახსოვს

ფაქტია, რომ „გაზპრომმა" „შალკეს" გულშემატკივრების დიდი ნაწილის გული უკვე მოიგო. ფანები უდიდესი ოვაციებით შეხვდნენ ყველაფერს, რაც შაბათს მათი საყვარელი გუნდის არენაზე მოხდა. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ აბსოლუტურად ყველა გულშემატკივარს ახალი სპონსორის სახელით ეკიპირებული კაშნეები, მაისურები და სხვა ინვენტარი დაურიგდა.

მაინც რას მოუტანს ეს ყველაფერი ლევან კობიაშვილის გუნდს? ფაქტი ის არის, რომ ვარიანტი ორია: გელზენკირხენელები რუსული გაზით ან მოიწამლებიან (რაც, იმედია, არ მოხდება) ანაც კარგად გაითბობენ ხელებს. გააჩნია, რამდენად ჭკვიანები და მოხერხებულები არიან მენეჯერი **ანდრეას მიულერი**, სპორტული დირექტორი **იოზეფ შნუზენბერგი** და სხვები. **რუდი ასაუერი** რომ იყოს, უფრო დიდი შანსი იქნებოდა, რომ კობის გუნდს ხელები კარგად მოეთბო, აი, მიულერის ხელში კი, ეს ერთობ საეჭვოა. აქვე გეტყვით, რომ თუ „შალკე" ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონი გახდება, „გაზპრომისგან" 5 მილიონს მიიღებს.

კიდევ ერთი რამ: ამიერიდან, „შალკეს" ოფიციალური ვებგვერდის რუსული ვერსიაც იარსებებს. ვებგვერდს აქამდე მხოლოდ გერმანული და ინგლისური ვერსიები ჰქონდა.

ფეხბურთით დავიწყეთ და ფეხბურთითვე დავასრულოთ. გელზენკირხენულმა კლუბმა, „ზენიტთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ნოიერი, რაფინია**, ბორდონი (46. **აბელი**), **კრსტაიჩი** (46. **როდრიგესი**), **პანდერი** (69. **ბოენიში**), **ერნსტი** (46. **ბაირამოვიჩი**/69. **ჰოოგლანდი**), **ვარელა** (46. **ჰამით ალთინთოფი**), კობიაშვილი, **ლინკოლნი**, კურანი, **ჰალილ ალთინთოფი** (69. **იოზილი**).

**გოტფრიდ ლენცი**

სკანდალი

# შვაინი მე ვარ, და მე არ ვარ ძეხვი

## ბაიერნის ნახევარმცველმა სასამართლოში იჩივლა

„ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველ **ბასტიან შვაინშტაიგერს** სასამართლოში მოუწევს ხეტიალი. არა, შვაინის არავინ უჩივის, პირიქით, თვითონ გახლავთ მომჩივანი. ბუნდესფეხბურთელმა მიუნხენის სამხარეო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და საქმე აუგსბურგის ერთ-ერთ საყასბოზე აღძრა. არ იკითხავთ, რა მოხდა? 2005 წელს, კონფედერაციის თასის გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე, ხსენებულმა საყასბომ გამოუშვა ახალი ძეხვი, რომელსაც „შვაინი" დაარქვა – შვაინი და არა შვაინ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფირმამ შვაინშტაიგერის მეტსახელი გამოიყენა. ბასტიანს ხომ სწორედ შვაინის ეძახიან.

მას მერე ძეხვი „შვაინი" დიდი წარმატებით იყიდება. ფეხბურთელის ადვოკატი ამ მარკის გაუქმებას ითხოვს. სასამართლოს გადაწყვეტილება 8 მარტს გახდება ცნობილი.



ბასტიან შვაინშტაიგერი

### იუვენტუსი: რა კარგი იქნებოდა ჯერარდი...

ბრიტანული ტაბლოიდი "ნიუს ოფ ზე უორლდი" ფრიად საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს. საუბარია **სტივენ ჯერარდით** "იუვენტუსის" დაინტერესებაზე. პატარა სტატია ეყრდნობა "ზებერი ქალბატონის" სპორტული დირექტორის **ალესიო სეკოს** განცხადებას, "ლივერპულის" კაპიტანი ფანტასტიკური მოთამაშეა და ვოცნებობთ, ასეთი ფეხბურთელი გვყავდესო. გაზეთის ცნობით, ჯერარდის შესაძენად ტურინელებს 45 მილიონი ევრო აქვთ გამზადებული.

### ისევ სავიოლაზე, და უკვე ატლეტიკოზეც...

"კალჩომერკატოს" ინფორმაციით, **ხავიერ სავიოლა**, შეიძლება, "ატლეტიკოში" აღმოჩნდეს. **ფერნანდო ტორესის** მოსალოდნელი აზარგება (თუმცა ის ხომ ყოველ წელს "მიდის") "როხიბლანკოს" ბოსებს მისი შემცვლელის ყიდვისკენ უბიძგებს. იმავე წყაროს ცნობით, "ატლეტიკო" კატალონიელებს სავიოლას თანამემამულე **სერხიო აგუეროს** შესთავაზებს. ჯერჯერობით, ახალგაზრდა აგუერო იმედებს ვერ ამართლებს. ის 15 მილიონადაა ნაყიდი და 12 მატჩში მხოლოდ 5 გოლი აქვს გატანილი. ისე, ახალბედას კვალობაზე, მაინცდამაინც ცუდი შედეგი არ უნდა იყოს.

ამხანაგური მატჩი

# ბაიერნი მზადაა, ჰამბურგი ჯერ არა!

## AOL არენაზე მიუნხენელებმა 2:0 იმარჯვეს...

შაბათს, გერმანიის ჩემპიონატის განახლებამდე ერთი კვირით ადრე, ჰამბურგში საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა. HSV-მ „ბაიერნს" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჰამბურგელებს უმძიმესი მეორე წრე ელით. როგორც იცით, ჩრდილოელებმა პირველი წრე მე-17 ადგილზე დაასრულეს და ბუნდესლიგის არსებობის განმავლობაში პირველად ემუქრებათ მეორე ლიგაში დაქვეითება. მიუხედავად იმისა, რომ „ჰამბურგმა" მზადება ახალ წლამდე, სხვებზე ერთი კვირით ადრე დაიწყო, გუნდს სასიკეთო ცვლილებები არ ეტყობა.

შეხვედრას 57 ათასი მაყურებელი დაესწრო და 23 წუთის შემდეგ, თითოეული მათგანი დარწმუნდა, რომ პირველი წრის დასრულების შემდეგ „ჰამბურგში" თითქმის არაფერი შეცვლილა. ანგარიში მე-6 წუთზე **ალი ქარიმიმ** გახსნა, მეორე გოლი კი **ლუსიომ** გაიტანა (23-ე წუთზე, **ლამის** ჩაწოდების შემდეგ). უნდა აღინიშნოს, რომ HSV-ს ახალ გოლკიპერ **ფრანკ როსტს** ორივე შემთხვევაში მართებდა თავისი გუნდის გადარჩენა. როსტი მხოლოდ იმით გამოირჩა, რომ თანაგუნდელებს ბევრს უყვიროდა და ეჩხუბებოდა. სამაგიეროდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნი" მეორე წრისთვის სრულ მზადყოფნაშია. **ფელიქს მაგათის** შეგირდები მზად არიან, „ვერდერს" შეუტიონ და „ვერცხლის სინის" შენარჩუნებისთვის იბრძოლონ. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგა მომავალ უქმეებზე განახლდება, რეკორდმაისტერი კი, პარასკევს დორტმუნდის „ბორუსიას" უნდა ესტუმროს.

„ჰამბურგის" მდგომარეობა კი ისევ სავალალოა. აღსანიშნავია, რომ **თომას დოლს** ამ შეხვედრისთვის დიდი ხნის ტრავმირებულები, **გი დემელი, ხუან პაბლო სორინი** და **ნაიჯელ დე იონგი** დაუბრუნდნენ. მიუხედავად ამისა, HSV-მ მაინც ძალიან ცუდად ითამაშა. ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ჰამბურგელებს „შტუტგარტის" ფორვარდის, **იონ დალ ტომასონის** გადაბირება სურდათ და შვაბებს მის სანაცვლოდ **ბენიამინ ლაუთი** შესთავაზეს (თავის მხრივ „შტუტგარტს" ლაუთი უნდა). მიუხედავად ამისა, გარიგება მაინც არ შედგა, რადგან ტომასონი ლაუთზე დიდ ხელფასს ითხოვს...



ჰამბურგს ერთი გოლი ალი ქარიმმა გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი

# მეორე, უფრო ხმაურიანი



რუსთაველი არჩნივიძე თბილისში თამაშობს, თბილისელი გამყრელიძე (ბურთით) კი რუსთავში

**21 იანვარი. ფინალი**

**აზოტი-თსუ 95:75**

21:15, 24:26, 27:21, 23:13

აზოტი: გამყრელიძე (16 ქ. 10 პ. 6 ჩ), ბეჟანიშვილი (12 ქ. 6 მ), ბოისა (3 ქ), დიდია (6 ქ), ტულუში (13 ქ. 5 პ), მარკოიშვილი (15 ქ), უგრეხელიძე (18 ქ. 13 მ), გოგობერიშვილი (8 ქ), ტუჯანი (2 ქ), ბერძენიშვილი (2 ქ)

თსუ: არჩნივიძე, ბ. ბერიშვილი (16 ქ. 4 პ), ფანჩულიძე (2 ქ), ლეჟავა (7 ქ. 5 პ), ვეფხვაძე (10 ქ. 9 მ. 4 პ), შანიძე (17 ქ), მათიაშვილი (4 ქ. 7 მ), იმნაძე (13 ქ), მ. ბერიშვილი (6 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**20 იანვარი. III ტური**

**ავიამშენი-მაქაბი 98:69**

20:16, 26:14, 28:18, 24:21

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (5 ქ. 5 პ), ბაბიაშვილი (24 ქ. 8 მ), ხოშტარია (12 ქ. 5 პ), ი. ბერიშვილი (18 ქ. 7 პ), ნინოშვილი (16 ქ. 6 მ), კეიდია (10 ქ. 4 პ), როდუმტა (2 ქ), სუხიშვილი (4 ქ. 7 მ), ბარბაქაძე (7 ქ. 4 პ)

მაქაბი: დოლიძე (11 ქ), ნინუა, ენუქიძე, გ. შერმადინი (35 ქ. 14 მ. 6 პ), ვაშაკიძე, კორკოტაძე (5 ქ. 5 პ), ს. შერმადინი (11 ქ), პირველაშვილი (7 ქ. 7 მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე, მ. ანდღულაძე

**აზოტი-სტუ 107:68**

26:14, 33:18, 25:23, 23:13

აზოტი: გამყრელიძე (2 ქ), ბოისა (10 ქ), დიდია (10 ქ), ცაკავა (3 ქ. 8 პ), ტულუში (10 ქ), მარკოიშვილი (23 ქ. 4 ჩ), უგრეხელიძე (9 ქ. 6 მ), გოგობერიშვილი (3 ქ), ტუჯანი (6 ქ. 7 მ), ჭოჭუა (9 ქ), ბერძენიშვილი (12 ქ. 5 მ), მინაშვილი (10 ქ)

სტუ: ბაბუნაშვილი (7 ქ), სეფისკვერაძე, ბერაია (15 ქ. 5 პ), კოხრეიძე (9 ქ. 6 მ, 4 პ), ფოლადაშვილი, მაისურაძე (1 ქ. 7 მ), დევიძე (12 ქ), გ. ბარბაქაძე (11 ქ), ლ. ნოზაძე (13 ქ. 4 პ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე



უგრეხელიძემ (მარცხნივ) მათიაშვილს არც ბურთი დაუთმო და არც მოგება

**რუსთავის "აზოტმა" მიმდინარე სეზონში მეორე ტურნირი მოიგო - დუდუ დადიანის თასს ქორქია-საკანდელიძის სახელობის თასი მიაყოლა. გუშინდელი გამარჯვება უფრო ხმაურიანად აღინიშნა, რადგან მემორიალი "აზოტის" მშობლიურ ქალაქ რუსთავში გაიმართა.**

გარდა იმისა, რომ ამ სეზონში ეს ქვემოქართლელთა მეორე ტიტულია, აზოტელებმა მეორედ მოიგეს ქორქია-საკანდელიძის სახელობის შეჯიბრება. შარშან, 21 იანვარს ფინალში სტუ დაამარცხეს - 106:77.

ახლა გუშინელ ფინალზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებს თსუ-ელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. პირველ ტაიმში სტუდენტთა მწვრთნელი **ნუგზარ ჭეიშვილი** ხშირად ცვლიდა ტექნიკურ მონახაზს და შეგირდებისგან სწრაფ თამაშს ითხოვდა. გამოიკვეთა უნივერსიტეტელთა მცირე უპირატესობა ფარქვეშ ბრძოლისას, რაც პირველი ნახევრის ოქმზეც აისახა: სტუდენტებმა ბურთი 25-ჯერ მოხსნეს, რუსთაველებმა - 22-ჯერ.

თუმცა, სტუმართა მონდომებას, ხშირ შემთხვევაში, "აზოტის" მოწესრიგებული დაცვა ახშობდა და საწყისი 20 წუთიც დავით უსტიაშვილის გუნდმა მოიგო - 45:41.

დიდი შესვენების შემდეგ კვლავ თანაბარი თამაში გაჩაღდა და ასე გაგრძელდა, ვიდრე **ბესიკ ლეჟავას** მიერ მიღებული ტექნიკური ფოლის (მარკოიშვილმა ზედიზედ 4 საჯარიმო ჩააგდო, უგრეხელიძემ ორქულიანი მიაყოლა) შემდეგ სხვაობა 10 ქულამდე გაიზარდა - 58:48. თსუ-ს მწვრთნელებმა მოთამაშის ტექნიკურად დაჯარიმების მიზეზების ახსნა მატჩის კომისრისგან ითხოვეს, მაგრამ არც მისგან და არც მსაჯებისგან პასუხი არ მიუღიათ.

სტუდენტებს "აზოტის" დაცვაში ხვრელის პოვნა მეორე ტაიმში უფრო გაუჭირდათ. როცა გუნდური თამაშით ვერაფერი გამოდიოდა - **ბუბა ბერიშვილი** ინდივიდუალური გარღვევით ცდილობდა ფონს გასვლას, სწორედ ასეთ ეპიზოდებში სჭირდებოდა ნუგზარ ჭეიშვილს **შიო ხეცურიანი**, რომელიც ტვინის მსუბუქი შერყევის გამო თანაგუნდელებს ვერ ეხმარებოდა. სტუდენტებმა ბოლოს ველარც ფარზე კონტროლი შეძლეს და დავით უგრეხელიძის წყალობით (18 ქულა, 13 მოხსნა) "აზოტმა" მეტოქეს მოხსნებშიც აჯობა - 47/35.

ისიც ცხადი იყო, რომ რუსთაველები საკუთარ დარბაზში 10-ქულიან უპირატესობას აღარ გაფლანგავდნენ. პირიქით, მათ ჰანდიკაპი უფრო "გაალრმავეს" და საბოლოოდ 20-ქულიანი სხვაობით იმარჯვეს - 95:75.

**დავით უგრეხელიძის** გარდა, ფინალში ორმაგი დუბლი შეასრულა **ლაშა გამყრელიძემ**, რომელმაც სწრაფი გარღვევებით 16 ქულა ჩააგდო და 10 პასიც მიამატა. სწორედ ეს კალათბურთელები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით: დათოს საუკეთესო ფორვარდისთვის განკუთვნილი **მიხეილ ქორქიას** თასი ერგო (თან DVD მაგნიტოფონი მოჰყვა), ხოლო ლაშას №1 უკანახაზელისთვის განკუთვნილი **ზურაბ საკანდელიძის** თასი (+DVD)...

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც ამ ორეულიდან შეირჩა - MVP-დ ლაშა გამყრელიძე დასახელდა და მუსიკალური ცენტრით დასაჩუქრდა. შეჯიბრების სნაიპერს, გიორგი შერმადინს ფერადი ტელევიზორი გადაეცა.

**...დაბოლოს, მთავარი თასი, 5 ათასი დოლარითურთ რუსთავის "აზოტმა" მიიღო.**

მატჩის შემდეგ **დავით უგრეხელიძეს** ერთ ხელში თასი ეჭირა, მეორეში - DVD, მაგრამ მცირე კომენტარისთვის მაინც მოიცალა: *- თსუ ღირსეული მოწინააღმდეგე იყო და თამაშიც სანახაობრივი გამოდგა. მეორე ტაიმში სტუდენტთა შეცდომები უკეთ გამოვიყენეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ისევე როგორც სხვა აზოტელები, ამ ტურნირისთვის მეც სათანადოდ მოვემზადე და დამიფასდა კიდეც. სხვათა შორის, ეს ჩემთვის საქართველოში მოგებული პირველი ტიტულია.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ნუგზარ სუარიძის** ფოტოები

ქართველები NBA-ში

# ფოცხვერებმა ქორები...

"ატლანტა ჰოქსმა" სატურნირო ცხრილის მეზობელ "შარლოტ ბობქეთსთან" წააგო და მეოთხე ადგილიც გადაულოცა. "ქორებმა" ვერაფერი მოუხერხეს ფორვარდ **ჯერალდ უოლასსა** (18 ქულა, 15 მოხსნა) და ცენტრ **ემეკა ოკაფორს** (22 ქულა, 13 მოხსნა), რომლებმაც ჯორჯიელი ცენტრები, **ზაზა ფაჩულია** და **ლორენც ენრაიტი** ჯამში 5 მოხსნას დააჯერეს.

როცა, ფარქვეშ ბრძოლას აგებ, აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე უნდა აიღო, მაგრამ ატლანტელებს არც ეს გამოუვიდათ - ვერც ერთი სამიანი ვერ გამოიყენეს და დამსახურებულად წააგეს - 75:96.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

**ატლანტა-შარლოტი 75:96**

21:21, 20:32, 16:22, 18:21

**ატლანტა:** აივი (17 წთ. 6 ქ), ჯონსონი (35 წთ. 19 ქ), სმიტი (35 წთ. 14 ქ), მ. უილიამსი (8 ქ. 4 პ), რაიტი (15 წთ. 2 ქ), ჩილდრესი (40 წთ. 12 ქ), შ. უილიამსი (21 წთ. 5 ქ), **ზაზა ფაჩულია (17 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 2 ფოლი)**, სტაუდმაიერი (15 წთ. 2 ქ), ტომპსონი (6 წთ. 1 ქ), ჯონსი, მედვედენკო

**შარლოტი:** მაკინსი (38 წთ. 10 ქ), დ. ანდერსონი (29 წთ. 9 ქ. 5 პ), ჯ. უოლასი (31 წთ. 18 ქ. 15 მ), კეროლი (35 წთ. 12 ქ), ოკაფორი (34 წთ. 22 ქ. 13 მ), მორისონი (32 წთ. 19 ქ), ჰოლინსი (15 წთ. 4 ქ), ვასკოული (14 წთ. 2 ქ).

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 04:59 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 01:26 | საჯარიმოები: 2/2 (2 ქ. 21:21) |

| II მეოთხედი | |
|---|---|
| 10:29 | ჩაჭრა: 1 (ოკაფორს ჩაუჭრა) |
| 10:26 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (23:25) |
| 09:52 | პასი: 1 (სტაუდმაიერი, 2 ქ. 25:27) |
| 09:44 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 09:30 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:42 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:41 | ფოლი: 1 |
| 07:41 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |
| 03:21 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |

| III მეოთხედი | |
|---|---|
| 07:59 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 05:56 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (53:64) |
| 05:56 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 05:42 | ფოლი: 2 |
| 05:05 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 04:26 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:37 | შეცდომა: 1 (ანდერსონმა ჩაუჭრა) |
| 03:18 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 35 მატჩი (31 სასტარტოში), 28.8 წუთი, 12.2 ქულა, 6.5 მოხსნა, 1.7 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.3 შეცდომა, 3.5 ფოლი; **ატლანტა ჰოქსი:** 38 მატჩი, 13 მოგ., 25 წაგ., მე-5 ადგ. სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში; შემდეგი მატჩი: ჩიკაგო-ატლანტა (23 იანვარი)



ფაჩულია ოკაფორს მხოლოდ ამ ეპიზოდში გადაახტა

ლეგიონერი

# ცქიტიშვილის 10 ქულა 16 წუთში

**შაბათს** ნიკა **ცქიტიშვილმა** ესპანეთის ჩემპიონატში პირადი ანგარიში გახსნა - მადრიდში "რეალს" 16 წუთში 10 ქულა ჩაუგდო. მატჩის სნაიპერი ცქიტოს თანაამპლუელი **დემეტრიუს ალექსანდერი** გახდა (18 ქულა), მაგრამ ვერც მისმა და ვერც ქართველის მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო - "რეალმა" "კახა სან ფერნანდო" 82:71 დაამარცხა.

ახლა უფრო კონკრეტულად ნიკას შესახებ. მან 4 ორქულიანი და 3 სამქულიანი ტყორცნებიდან 2-2 გამოიყენა და 10 ქულას 3 მოხსნა მიამატა. შეგახსენებთ, რომ ეს ცქიტიშვილისთვის "კახას" მაისურით ჩატარებული მეორე მატჩი იყო. პირველში ჩვენიანმა მხოლოდ 3 წუთი ითამაშა.

მოედანზე არ გამოჩენილა **ვიქტორ სანიკიძე** "ბარსელონასთან" შეხვედრაში, რომელიც "ესტუდიანტესმა" 73:80 წააგო. ვიქტორისა და ნიკას კლუბებმა მეთვრამეტე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში თითო საფეხურით ქვემოთ ჩაინაცვლეს:

1. რეალი-16 მოგება, 2. ტაუ-16, 3. სირონა-14, 4. ხუვენტუდი-11, 5. უნიკახა-10, 6. ბარსელონა-10, 7. **კახა-10**, 8. ფუენლაბრადა-9, 9. გრან კანარია-9, 10. ვალენსია-9, 11. მურსია-7, 12. გრანადა-7, 13. **ესტუდიანტესი-7**, 14. ალიკანტე-7, 15. ბილბაო-6, 16. ბრუესა-5, 17. ვალიადოლიდი-4, 18. მენორკა-4.



უკანა პლანზე ნიკა ცქიტიშვილი

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# დებიუტი სამი საჯარიმოთი



მერაბ კვირიკაშვილი

საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში **მერაბ კვირიკაშვილის** დებიუტი შედგა. მეკოს ახალი გუნდი "პო" ერთ-ერთი აუტსაიდერია და დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის, მეტოქე კი ფლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი "ლიონი" იყო.

"პომ" და კვირიკაშვილმა წარმატების მიღწევისთვის ძალ-ღონე არ დაიშურეს, თუმცა მაინც დამარცხდნენ 9:16. მეკომ მატჩში თავიდან ბოლომდე ითამაშა და სამი საჯარიმო გაიტანა (9 ქულა). მაქსიმუმი, რაც "პომ" მოახერხა, ერთი პრემიალური ქულის აღებაა, რომელიც გუნდებს შვიდი და ნაკლები ქულით წაგებისთვის ერიცხებათ.

გამარჯვებები მოიპოვა ლიდერთა შორის მყოფმა ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა. **ილია ზედგინიძის** "ოშმა" შინ "გაიაკი" დაამარცხა, 41:3. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ასევე საკუთარ მოედანზე **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიემ" **მამუკა მაგრაქველიძისა** და **დავით აშვეთიას** "მეტრო რასინგს" მოუგო - 30:23. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, მაგრაქველიძე 71-ე წუთზე შეცვალეს, აშვეთია კი შეხვედრაში 65-ე წუთიდან ჩაერთო. **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" შინ დაამარცხა "ოიონაქსი" 32:3. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. კუთარაშვილი მატჩში 78-ე წუთიდან ჩაერთო.

"ლა როშელთან" სტუმრად, 0:15 დამარცხდა ლევან ღვაბერიძის "გრენობლი". ღვაბერიძე განაცხადში არ ყოფიდა.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური. ბეზიე-მეტრო რასინგი 30:23, ტარბი-მონ დე მარსანი 21:23, ტულონი-ოიონაქსი 32:3, ლიონი-პო 16:9, ლა როშელი-გრენობლი 15:0, ლიმოჟი-კოლომიე 31:20, დაქსი-ბორდო 23:8, ოში-გაიაკი 41:3.

1. **ოში-68 ქულა** / 2. ბეზიე-55, 3. ლა როშელი-52, **4. ტულონი-51,** 5. დაქსი-50 / 6. ლიონი-46, 7. ოიონაქსი-42, **8. მეტრო რასინგი-36,** 9. გაიაკი-35, **10. გრენობლი-33,** 11. ტარბი-33, 12. მონ დე მარსანი-31, 13. ლიმოჟი-30 / 14. ბორდო-29, **15. პო-27,** 16. კოლომიე-19.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ევროთასები

# მხოლოდ გოდერძი და ზირაქა

**ევროთასების ჯგუფური ტურნირი დასრულდა. ჰაინეკენის თასისა და ჩელენჯ კაპის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ხუთი ფრანგული კლუბი ასპარეზობდა, მეოთხედფინალში გასვლა კი მხოლოდ ერთმა, გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის "კლერმონმა" მოახერხა.**

ჰაინეკენის თასის გათამაშებას "კასტრიცა" და "ბურგუენიც" გამოეთიშნენ. **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრს" მეოთხედფინალში გასვლა ბოლო ტურში გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო, თუმცა, კასტრელები A ჯგუფის ლიდერთან, ინგლისურ "ვოსფსთან" საკუთარ მოედანზე, მატჩის ბოლო წუთებზე დამარცხდნენ - 13:16. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცალეს.

A ჯგუფი. **ვოსფსი (ინგ) -23 ქულა** / პერპინიანი (საფ)-18, კასტრი (საფ) **16,** ბენეტონი (იტა) -0.

D ჯგუფში ბოლო ადგილს დასჯერდა **ირაკლი გიორგაძისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** "ბურგუენი". ბოლო მატჩში ბურგუენელები სტუმრად დამარცხდნენ უელსში, "კარდიფთან" 24:27.

D ჯგუფი: **ლესტერი (ინგ) -23 ქულა, მანსტერი (ირლ) -23** /კარდიფი (უელ)-9, ბურგუენი (საფ) -4.

B ჯგუფი. **ლენსტერი (ირლ) -21 ქულა** / აჟენი (საფ) -17, გლოსტერი (ინგ) -15, ედინბურგი (შოტ) -5. C ჯგუფი: **სტად ფრანსე (საფ )-22 ქულა** / ოსფრიზი (უელ) -20, სეილ შარქსი (ინგ) -15, კალვიზანო (იტა)-0; E ჯგუფი: **ჰლანეჰლი (უელ) - 27** / ტულუზი (საფ) - 17. ალსტერი (ირლ) - 10, ლონდონ აირიში (ინგ) - 9; F ჯგუფი: **ბიარიცი (საფ) - 29, ნორსჰემპტონი (ინგ) - 20** / ბორდერზი (შოტ) - 6, ოვერმაკი (იტა) - 5

ჩელენჯ კაპისთვის ბრძოლას **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონი" აგრძელებს. "ვულკანებმა" E ჯგუფში ყველა მატჩი მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ბოლო შეხვედრაში ჩვენებურთა გუნდმა კიდევ ერთი ფრანგული კლუბი "ალბი" დაამარცხა 45:3. შველიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ზირაქაშვილი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო. "კლერმონი" მეოთხედფინალში შინ ეთამაშება ინგლისურ "ნიუკასლს".

E ჯგუფი. **კლერმონი (საფ) -28 ქულა** / ვურსტერი (ინგ)-19, ვიადანა-11, ალბი-0

C ჯგუფში ჩარჩა **ავთანდილ კოპალიანის** "მონტობანი". ბოლო შეხვედრა ამ გუნდმა სტუმრად წააგო "ბრივთან" 6:15 და საბოლოოდ, მესამე ადგილს დასჯერდა. კოპალიანს "ბრივის" წინააღმდეგ არ უთამაშია.

C ჯგუფი. **ბრივი (საფ)-24 ქულა, ნიუკასლი (ინგ)-21** / მონტობანი (საფ) - 13, პადოვა (იტა)-0

D ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა **მამუკა გორგოძის** "მონპელიე", რომელმაც ბოლო შეხვედრაში სტუმრად ვერაფერი გააწყო ინგლისურ "ბასთან" 17:42. გორგოძე ტრავმირებულია და არ უთამაშია.

D ჯგუფი: **ბასი (ინგ)-26 ქულა** / ჰარლიქვინზი (ინგ)-21, ქონოთი (ირლ)-8, მონპელიე (საფ)-5.

**ბესიკ ჯანგავაძე**

მსოფლიო თასი

# პორტუგალიამ სორელს მოუგო

საფრანგეთში წლეულს გასამართი მსოფლიოთასის მონაწილე 20 გუნდიდან 18 უკვე ცნობილია. დარჩენილი ორი საგზურის მფლობელს სანუგეშო ტურნირი, ანუ რეპეშაჟი გამოავლენს. ჩვენმა ყოფილმა მეტოქემ, პორტუგალიამ პირველი წრის პირველ შეხვედრაში სტუმრად, კასაბლანკაში დაამარცხა მაროკოს ნაკრები - 10:5.

მაროკოელებმა სპეციალურად ამ შეხვედრების წინ ეროვნული გუნდის გასაწვრთნელად ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრანგი მწვრთნელი **კლოდ სორელი** მიიწვიეს. საპასუხო შეხვედრა ამ გუნდებს შორის 27 იანვარს, ლისაბონში გაიმართება. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულის მომავალი მეტოქე კი ურუგვაი ნაკრები იქნება. ამ წყვილის გამარჯვებული მსოფლიო თასის საგზურს მიიღებს.

რეპეშაჟის მეორე წყვილში, ტონგას ეროვნული გუნდი კორეის ნაკრებს ნეიტრალურ მოედანზე ზელანდიის ქალაქ ოკლენდში დაუპირისპირდება 10 თებერვალს. მსოფლიო თასის საგზური ერთ მატჩში გათამაშდება.

## სუმო



იანვრის ბაშოს გამარჯვებულ ასაშორიუს იმპერატორის თასს გადასცემენ

იანვრის ბაშო

# კოკაის მინუს ერთი

იანვრის ბაშო ქართველი ფალავნისთვის ცუდად დასრულდა. **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ტურნირი უარყოფითი ბალანსით (7-8) დაამთავრა და მარტისთვის ისევ მოუწევს დაქვეითება. გუშინ ქართველის იორიკირი **როჰოს** წინააღმდეგ ნაგვიანები გამოდგა, რადგან მან მთავარი შეხვედრა შაბათს **ტაკეკაძესთან** წააგო და საბედისწერო, მერვე მარცხი იგემა.

ტურნირი დიდმა ჩემპიონმა ასაშორიუმ უპრობლემოდ მოიგო. მონღოლისთვის დღეს დოჰიოზე სერიოზული მეტოქე, უბრალოდ, არ არსებობს, ასაშორიუმ ბაშო 14 მოგებით დაასრულა, მან კარიერაში მეოცედ ალმართა იმპერატორის თასი.

ტურნირის ბოლო დღეს კიდევ ერთმა ქართველმა იჭიდავა, მაკუშიტას დივიზიონის ახალწვეულმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე) სუკუინაგეს** ილეთით მაენოიუს აჯობა. მაკუშიტას 59-ე ნომერმა ბაშო 5-2 ბალანსით დაასრულა. ქართველთაგან იანვრის ბაშო მხოლოდ ლევანისთვის გამოდგა წარმატებული, რადგან **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** 3-4 ბალანსით დაასრულა ასპარეზობა. ტოჩინოშინი მაკუშიტას დივიზიონში რანგში მნიშვნელოვნად წაიწევს წინ (დაახლოებით 20 ნომრით).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იანვრის სუპერტურნირი
(ჰაცუ ბაშო)

XIV დღე: კოკაი - ტაკეკაძე 0:1 (ოშიდაში, 2,7 წამი), ასაშორიუ - ტოჩიაძუმა 1:0, ჩიოტაიკაი - კოტომიცუკი 1:0, ჰაკუჰო - ტაკამისაკარი 1:0, კაიო - კოტოოშუ 1:0, მიაბიამა - ჰომაშო 1:0, ამინიშიკი - როჰო 1:0, კისენოსატო - კიოკუტენჰო 1:0, კოტოშოგიკუ - დეჯიმა 1:0, ტოკიტენკუ - ტოჩინონადა 1:0, ამა - ტოიონოშიმა 1:0, ასასეკირიუ - ტამანოშიმა 1:0.

XV დღე: კოკაი - როჰო 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ - კოტოოშუ 1:0, კაიო - ტოჩიაძუმა 1:0, ჰაკუჰო - ჩიოტაიკაი 1:0, ტოიონოშიმა - კოტომიცუკი 1:0, კიოკუტენჰო - მიაბიამა 1:0, ამა - კისენოსატო 1:0, კოტოშოგიკუ - ტაკამისაკარი 1:0, დეჯიმა - ამინიშიკი 1:0, ტაკეკაძე - ტოკიტენკუ 1:0, კასუგაო - ჰომაშო 1:0, ასასეკირიუ - ჯუმონჯი 1:0, ტამაკასუგა - ტოჩინონადა 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: 14-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 12-3: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9); 10-5: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ჰაკუჰო (ოძეკი), ამა (მ 4), ასასეკირიუ (მ 6), ტამანოშიმა (მ 14); 9-6: კოტოოშუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (მ 1), ტამაკასუგა (მ 11), კასუგანიშიკი (მ 13), უშიომარუ (მ 15); .. 7-8: კოკაი (მ 5)

## ჩოგბურთი

# ლაზარე ავსტრალიაში



ლაზარე კუხალაშვილი

მელბურნში დიდების ტურნირის პარალელურად დაიწყო ახალგაზრდული "აუსტრალიან ოუფენი". ბიჭების ტურნირში თამაშობს ქართველი **ლაზარე კუხალაშვილი,** რომელიც 18-წლამდელთა შორის მსოფლიოს 36-ე ჩოგანია. კუხალაშვილი 5 თებერვალს 16 წლის გახდება, ასე რომ, ის ასაკთან შედარებით ერთობ წინაა. მელბურნში პირველ წრეში ლაზარეს მეტოქე ბრიტანელი **გრემ დაისი** იყო. ბრიტანელი 18 წლისაა, ის მსოფლიოს 44-ე ჩოგანია ახალგაზრდებში. დაძაბულ ბრძოლაში ლაზარემ იმარჯვა და მეორე წრეში გავიდა - 2:6, 7:6 (9), 6:1.

პირველ სეტში, რომელიც 27 წუთს გაგრძელდა, ბრიტანელის უპირატესობა აშკარა იყო. ის უკეთ (6 ეისი) და აკურატულად აწოდებდა, ბადესთანაც ეფექტურად გადიოდა. დაისმა ორჯერ ბრეიკპოინტიც გაახერხა. მეორე სეტი გადამწყვეტი აღმოჩნდა, 57 წუთში გამარჯვებული მხოლოდ ტაი-ბრეიკში გადაწყდა. ანგარიშის მიუხედავად, არც ბოლო სეტი ყოფილა იოლი - 35 წუთში ლაზარემ 6:1 იმარჯვა, მეტოქეს კი 20 უნებლიე შეცდომა მოუვიდა. საბოლოოდ ლაზარეს ხუთი ეისი დაუგროვდა.

ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეში ლაზარე კუხალაშვილი მე-11 ნომრად განთესილ ჩეხ **მიჰალ კონეჩნის** შეხვდება. კონეჩნი 18 წლისაა, პირველ წრეში მან ავსტრალიელი **ენდრიუ თომასი** დაამარცხა - 6:3, 2:6, 6:3. თომასი მსოფლიოს მე-14 ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# დამთავრდა და სენსაციით დაიწყო!

19 იანვარს პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი დასრულდა, როგორც ქალთა, ისე შორის. ბოლო ტურის წინ ინტრიგა საკმაოდ იყო დარჩენილი: მოჭადრაკეები 10-10 საგზურისთვის იბრძოდნენ და კიდევ 5-5 გასანაწილებელი იყო.

ქალთა შორის, ბოლო ტურში ლიდერმა, **ქეთი ნაწალაშვილმა** ვეტერან **ალა ჩაიკოვსკაიას** ქულა გაუყო; მეორე დაფაზე **ლალი ბიბილაშვილმა თეკლა მაჭარაშვილს** შავებით აჯობა, მესამეზე **ანა ბუცხრიკიძემ** შავებით **მარიამ სულამანიძეს** მოუგო, ხოლო **ელისაბედ ზარქუამ** შავებით **ნინო კალანდაძესთან** ქულა გაიყო და საგზური გაინაღდა. საბოლოო ათეული ასეთი გამოვიდა:

**1. ქეთი ნაწალაშვილი-8 ქულა; 2. ლალი ბიბილაშვილი-7.5; 3. ანა ბუცხრიკიძე-6.5; 4. ალა ჩაიკოვსკაია-6; 5. ელისაბედ ზარქუა-5.5; 6. თეკლა მაჭარაშვილი-5.5; 7. ნათია ჯალაბაძე-5.5; 8. ნინო კალანდაძე-5; 9. მარიამ ბაიაძე-5; 10. სალომე სირაძე-5.**

ვაჟებში პირველ დაფებზე შეხვედრები ზავით დასრულდა: **გაიოზ ნიგალიძემ ვახტანგ თევდორაშვილთან** გაიყო ქულა, **მიხეილ ჭიპაშვილმა** კი **თამაზ მგელაძესთან. გიორგი ხელაიამ ლევან გოგოჭურს** აჯობა და საგზურს დაეუფლა. კაცთა ათეული ასეთია:

**1. გაიოზ ნიგალიძე-7.5; 2. მიხეილ ჭიპაშვილი-7; 3. თამაზ მგელაძე-7; 4. გიორგი ხელაია-7; 5. დავით ლომსაძე-7; 6. ზვიად ფაცია-6.5; 7. ვახტანგ თევდორაშვილი-6.5; 8. პარმენ გელაზონია-6.5; 9. გიორგი ბარიშვილი; 10. არჩილ ამირხანაშვილი-6.5.**

მეთერთმეტე ადგილზე 6.5 ქულით **ნოდარ დავარაშვილი** გავიდა, მართალია იგი ვერ მოხვდა ათეულში, მაგრამ პირველ ლიგაში თამაშის უფლება შეიძლება მანაც მიიღოს - თუ მონაწილეთა რაოდენობა კენტი იქნება, ან რომელიმე უარს იტყვის...

ვაჟთა პირველ ლიგამდე ერთი თვეა და ჯერ ვერაფერს ვიწინასწარმეტყველებთ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ქალთა შორის ვინ ვის ეცილება უმაღლესი ლიგის საგზურს - შაბათს, 20 იანვარს პირველი ლიგის გათამაშება დაიწყო.

სულ 30 მოჭადრაკე შეიკრიბა. შემადგენლობა ნამდვილად სოლიდური გახლავთ, აქედან უმაღლეს ლიგაში 6 საუკეთესო გადავა და დამერწმუნეთ, ამის მიღწევა ურთულესი საქმე იქნება. აქ, ფაქტობრივად, ქართული ჭადრაკის ქალთა საუკეთესო ნაწილი თამაშობს - როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა თაობა...

უკვე ორი ტური მიილია და ბრძოლა რომ უკომპრომისო იქნება, თავიდანვე გამოჩნდა - არავინ არაფერს თმობს. პირველ ტურში ერთი სენსაცია დაფიქსირდა - **მაკა ფურცელაძემ** თეთრებით **ელისაბედ ზარქუასთან** წააგო.

ორი ტურის შემდეგ ორი ქულით 6 ქალბატონი ლიდერობს: **სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ბაციაშვილი, სოფიკო ტერელაძე, ბელა ხოტენაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი და ნათია ჯანჯღავა.** ნახევარი ქულით სამი მონაწილე ჩამორჩება: **ანა გავაშელი, ალექსანდრა ვახანია და სალომე ხაჟომია.** ტურნირი 9 ტურად ტარდება.

ზვიად **შათირიშვილი**

## თარიღები

22.01.73 - დაიბადა **მუხრან ვახტანგაძე.** ანტიკური ჭიდაობა (85 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (2001), 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და 2004 წლის ათენის ოლიმპიადის მონაწილე (ჯგუფიდან ვერ გავიდა). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2003), მსოფლიოს თასის მფლობელი პირად (2003) და გუნდურ (2004) ჩათვლაში. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირა: მოძმანაშვილი!

*პირველი გვერდიდან*

შესაძლოა, 4 გუშინდელი ჩემპიონის ვინაობა ქომაგთა უმეტესობისთვის უცნობია, მაგრამ მათ გამარჯვებას დიდ მოულოდნელობას ვერ ვუწოდებთ, რადგან ლიდერთა უმეტესობა ისვენებდა. ამ დროს შედარებით უცნობთა გამარჯვება ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა, მძიმე წონაში **დავით მოძმანაშვილის** ჩემპიონობა ნამდვილად მოულოდნელი -იყო. არა იმიტომ, რომ უცნობი ფალავანია - პირიქით, ახალგაზრდებში ევროპა-მსოფლიოზეც მოუსწრია თავის გამოჩენა და ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოჭიდავედ მიიჩნევენ, მაგრამ იგი აქამდე ქვემძიმე წონაში გამოდიოდა. თან, ჯაბანი არც მისი გუშინდელი მეტოქე, **ალექსანდრე მოდებაძეა**. ახალგაზრდა კი არა, გამოცდილ ფალავნებშიც იშვიათად, ვინმემ წონის გამოცვლისთანავე ასეთ წარმატებას მიაღწიოს. მით უფრო, ურიგოდ არც მოდებაძეს უჭიდავია.



დავით მოძმანაშვილი

### მესამე დღე, 21 იანვარი

| 55 კგ. 11 მონაწილე. |
|---|
| 1. ბესარიონ გუჩაშვილი (გორი) |
| 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი) |
| 3. ამირან ელბაქიძე (გორი) |
| 3. ლევან მეტრეველი (თბილისი) |

გორელ **ბესარიონ გუჩაშვილს** ბოლო წლებში მუდმივ კონკურენტი ქუთაისელი **გოჩა კირკიტაძე** აკლდა – გერმანულ კლუბში კონტრაქტით წასულს ამ ტურნირისთვის სამშობლოში ჩამოსვლა ვერ მოუსწრია. ვერ ვიტყვით, მისი გამოსვლა რას შეცვლიდა ახლანდელ შედეგებში, გუჩაშვილმა ამჯერადაც უპრობლემოდ იმარჯვა. ევროპის შარშანდელ მესამე პრიზიორს ნაკრებში სერიოზული კონკურენტი კვლავ არ ჰყავს. თავადაც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ ფალავანს ფინალში მასზე კიდევ უფრო ახალგაზრდა **გიორგი ედიშერაშვილმა** ვერაფერი დააკლო – გორელმა ორივე პერიოდი უპრობლემოდ მოიგო და დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. ამავე წონაში ლამაზი, ტექნიკური და სანახაობრივი ჭიდაობით დაგვამახსოვრდა ბრინჯაოსანი **ლევან მეტრეველი**.

| 66 კგ. 27 მონაწილე |
|---|
| 1. კობა კაკალაძე (აჭარა) |
| 2. ჯონი ჯინჭარაძე (აჭარა) |
| 3. მნაცაკან არუთინიანი (გორი) |
| 3. მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი) |

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ოთარ თუშიშვილი** გუშინ არ ჭიდაობდა – ის დღეს იასპარეზებს 74-ში. ეს იმითაა განპირობებული, რომ ოთარი აქედანვე შეუდგა პეკინის ოლიმპიადისთვის მზადებას და ამჯერად წონის დასაკლებად შრომას თავი აარიდა. ეტყობა, მსგავს შემთხვევებს მომავალშიც ხშირად ვნახავთ, მაგრამ როგორც თუშიშვილის მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი** ირწმუნება, ეს მხოლოდ გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებებით ხდება და იგი ზედა წონაში გადაბარგებას არ აპირებს.

როგორც იქნა, მის არყოფნაში მასპინძლებსაც აუსრულდათ ოცნება და პირველი აჭარული ფინალი იხილეს. ამით უფრო ქობულეთელებმა უნდა იამაყონ, რადგან ორივე მოჭიდავე იქაურია. აქ **კობა კაკალაძე** თავიდანვე მიიჩნეოდა ფავორიტად და ამ მართლაც სანაქებო მოჭიდავემ იმიჯის გასამართლებლად მთელი დღე ვაჟკაცურად იბრძოლა. ფინალში **ჯონი ჯინჭარაძემ** მხოლოდ ერთი პერიოდის მოგება და შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანა მოახერხა. თუმცა ეს კაკალაძისთვის წითელი ნაჭერი აღმოჩნდა და მესამე პერიოდი წმინდად მოიგო.

ამ წონაში მთავარი ბრძოლები თუშიშვილის დაბრუნების მერე დაიწყება, თუმცა უეჭველია, კაკალაძე მას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. უმედლოდ დარჩენილთაგან ერთ ფალავანს გამოვარჩევთ – საგარეჯოელ **თორნიკე როსტიაშვილს**, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლა დამატებით დროში წააგო **მალხაზ ზარქუასთან**. ალბათ, ტელერეპორტაჟისას იხილეთ როსტიაშვილის უზადო გდება მეორე პერიოდში - ამ ბიჭს ნიჭი ნამდვილად მოდგამს, დანარჩენი კი შრომაზეა დამოკიდებული.

| 84 კგ. 34 მონაწილე |
|---|
| 1. ლერი ქათიშვილი (თბილისი) |
| 2. ნიკოლოზ გაგნიძე (თბილისი) |
| 3. ვასილ ჩოხელი (თბილისი) |
| 3. თამაზ გელაძე (ყაზბეგი) |

**ჩემპიონატის** ყველაზე დიდი დანაკლისიც და მოულოდნელობაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილის** არყოფნაა. ის რომ არ იჭიდავებდა, მხოლოდ ბათუმში გავიგეთ. თურმე, ოლიმპიადისთვის რეზოც საგანგებო განრიგით შეუდგა მზადებას, ამ განსხვავებამ კი საქართველოს ჩემპიონატთან ერთად ევროპის პირველობაც შეიწირა. მსოფლიოს შარშანწინდელი ჩემპიონი ისვენებს, თუმცა მხოლოდ პირველხარისხოვანი შეჯიბრებებისგან, საერთაშორისო ტურნირებში კი საშეჯიბრო პრაქტიკისთვის გამოვა. კონტინენტის პირველობის შემდეგ იგი მსოფლიოსთვის დაიწყებს მზადებას და ნაკრებში ადგილის მოპოვებას ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე შეეცდება.

ლიდერის არყოფნაში ახალგაზრდებმა იმარჯვეს. აქ თუ ვინმე მიიჩნევა მინდორაშვილის უახლოეს კონკურენტად, სწორედ **გაგნიძე** და **ქეთიშვილი**. ისინი დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და ფინალიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თავიდან გაგნიძის უპირატესობით, მაგრამ მერე ქეთიშვილმა ზედიზედ მოიგო ორი პერიოდი და ჩემპიონიც გახდა.

ვერ ვიტყვით, რომ ამ წონაში ჩემპიონატმა ახალი სახეები გამოავლინა. მედლები სწორედ იმათ მოიპოვეს, რომლებიც ბოლო წლებში მეორე ნომრობისთვის იბრძვიან. ამის მიუხედავად, მდგომარეობა საგანგაშოდ არ მიგვაჩნია. ერთი, რომ აქ მინდორაშვილი გვყავს, ურიგო მოჭიდავეები არც გუშინდელი ფინალისტები არიან. მართალია, ძალზე საეჭვოა, ამ ეტაპზე რომელიმე მინდორაშვილის შემცვლელი იყოს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ჯერ ისინი საამისოდ ახალგაზრდებიც არიან. სამაგიეროდ, ხშირი სატურნირო პრაქტიკა ოსტატობაზე დადებითად იმოქმედებს.

| 120 კგ. 12 მონაწილე |
|---|
| 1. დავით მოძმანაშვილი (თბილისი) |
| 2. ალექსანდრე მოდებაძე (თბილისი) |
| 3. გიორგი ნიკურაძე (თბილისი) |
| 3. დავით ოთიაშვილი (თბილისი) |

**შესავალში** მოძმანაშვილის გამარჯვებას მოულოდნელი კი ვუწოდეთ, თუმცა არ უარვყოფთ – მან დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. პირველი პერიოდი დამატებით დროში, ოქროს ქულით მოიგო, როცა ფეხიდან აყვანილი **ალექსი მოდებაძე** წრიდან გაიყვანა. იქნებ ზოგმა ეს გამართლებადაც მიიჩნიოს – მონეტა ხომ მოძმანაშვილის სასარგებლოდ დაჯდა და ფეხში შესვლის პატივი არგუნა, მაგრამ ჯერ ერთი, ამ შანსსაც გამოყენება უნდა, მეორეც – მეორე პერიოდში დავითმა იგივე ილეთი მონეტის აგდებამდე შეასრულა - ეს უკვე საჩემპიონო გდება იყო.

ნახევარფინალში მოძმანაშვილმა უფრო დამაჯერებლად დაამარცხა წონის კიდევ ერთი ფავორიტი, უფროსებში ევროპის ყოფილი ვიცე-ჩემპიონი **დავით ოთიაშვილი**. მის უპირატესობაზე ყველაზე უკეთ ანგარიში მეტყველებს – 7:0 ორი პერიოდის ჯამში. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი უადგილოა. ამ გამარჯვებით მოძმანაშვილმა მძიმე წინაში დამკვიდრებაზე სერიოზული პრეტენზია განაცხადა.

ფინალის ასეთი შედეგი ჯერ მაინც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს რომელიმემ ნაკრებში გაინალდა ან პირიქით, დაკარგა ადგილი. ევროპის პირველობამდე კიდევ სამი საერთაშორისო ტურნირია.

ამ წონაში ისევ კარგად იჭიდავა **გიორგი ნიკურაძემ**. ესეც ერთ-ერთი გამორჩეულად პერსპექტიული ახალგაზრდაა და მისი სტაბილურობა ნამდვილად მისასალმებელია. იგი ნახევარფინალში მოდებაძესთან დამარცხდა, სხვებს კი იოლად გაუსწორდა.

## სლალომში ვერაფერი

**ზამთრის უნივერსიადა.** იტალიურ ტურინში 17-27 იანვარს მიმდინარეობს ზამთრის 29-ე უნივერსიადა, რომელშიც ორი ქართველი სამთო-მოთხილამურე მონაწილეობს: **მანანა წერეთელი** და **გიორგი თედიაშვილი**. შაბათს ვაჟთა შორის სლალომი გაიმართა. პირველი ცდა 115 მონაწილიდან 72-მა ჩაამთავრა და მათ შორის უკანასკნელი **გიორგი თედიაშვილი** იყო (1.00:48 წთ.). პირველ ადგილზე გასულს 19 წლის თედიაშვილი 18 წამით ჩამორჩა. მეორე ცდაზე თედიაშვილმა კარი გამოტოვა და ამით დაასრულა ასპარეზობა. მანანა წერეთელი პირველივე ცდაზე გამოეთიშა ასპარეზობას. 24 იანვარს უნივერსიადაზე სნრაფდაშვებაა.



ქვემძიმე წონის კვარცხლბეკი. ჩემპიონი რამაზ ნოზაძე — გურამ ტურაშვილის ფოტო

# შაბათი: ნოზაძე!

### მეორე დღე, 20 იანვარი

| 60 კგ. 16 მონაწილე |
|---|
| 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი) |
| 2. ტარიელ ებრალიძე (თბილისი) |
| 3. პაატა ბიწაძე (თბილისი) |
| 3. ლაშა ლოლაშვილი (თბილისი) |

ბორჯომელმა **რევაზ ლაშხმა** წლეულსაც გაიბრწყინა – მისთვის პირველი შარშანდელი ჩემპიონობა იყო, ოღონდ მაშინ 55 კილოში მოიგო. ამჯერადაც ქვედა წონაში რომ ემარჯვა, ნაკრების სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა, ახლა კი კითხვის ნიშნები მაინც დარჩა. 60-ში ნაკრების ლიდერად ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **დავით ბედინაძე** მიიჩნევა. იგი მწვრთნელებმა ამჯერად დაასვენეს, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ წლევანდელ ევროპის პირველობაზეც ნაკრებში ადგილს უნარჩუნებენ – წინაალმდეგ შემთხვევაში, მასაც აჭიდავებდნენ. როგორც ამბობენ, ლაშხმა ახლა წონის დაკლებას აარიდა თავი და მხოლოდ ამიტომ იჭიდავა ზემოთ, თორემ მომავალში კვლავ 55-ს დაუბრუნდება.

შესაძლოა, მისი მხრიდან 60-ში ანაცვლება ერთგვარი ტაქტიკური ნაბიჯი იყო – აქ მთავარი კონკურენტი ბედინაძე არ ჭიდაობდა, 55-ში კი **ირაკლი ჭოჭუა** და **ლაშა გოგიტაძე** უსერიოზულეს კონკურენტებად ჩანდნენ. საბოლოოდ მათი უაღრესად დაძაბულ-დრამატული ფინალი ყველამ იხილეთ და დაგვეთანხმებით, ლაშხს წაგების შანსი იქ მართლაც უფრო მეტი ჰქონდა - ახლა კი მოიგო და კვლავ დარჩა ნაკრების მწვრთნელთა ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად, მაგრამ ნაკრებში დასამკვიდრებლად ზედიზედ მეორე ჩემპიონობაც ამაოა და ყველაფრის ისევ თავიდან დაწყება მოუწევს.

ეს ოდნავადაც არ აკნინებს მის ოსტატობას – ლაშხმა ჩვეული ტექნიკური ჭიდაობით მართლაც ასიამოვნა ბათუმელი მაყურებელი. წილისყრამ იგი პირველივე წრეში ერთ უმთავრეს კონკურენტს – თბილისელ **პაატა ბიწაძეს** გადაჰყარა. რეზომ ის შეხვედრაც ლამაზად მოიგო და ტექნიკური, თვალსასეირო სტილისთვის არც მერე უღალატია. მისი უპირატესობაც ფინალშიც შთამბეჭდავი გახლდათ **ტარიელ ებრალიძესთან**. ებრალიძის დასახასიათებლად მისი ფინალისტობაც კმარა. ამავე წონაში ქების ღირსია ახალგაზრდა, აქამდე უცნობი **ლაშა ლოლაშვილიც**, რომლისგანაც ამხელა წარმატებას ნამდვილად არ ელოდნენ. ერთბაშად ამდენი ახალგაზრდის მოზღვავება წონაში კონკურენციის გაზრდის მაჩვენებელია.

| 74 კგ. 23 მონაწილე |
|---|
| 1. შმაგი სახლთხუციშვილი (გარდაბანი) |
| 2. ალუდა ხუნჭუა (ხობი) |
| 3. დავით კობერიძე (თბილისი) |
| 3. გენადი გოგიშვილი (თბილისი) |

ლიდერი აქაც ისვენებდა – მსოფლიო ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** იდაყვი აწუხებს. არა ისე საგანგაშოდ, მაგრამ მწვრთნელებმა და ექიმებმა, ჩიტი ბდღვნად არ ღირსო და არ გარისკეს. მისმა არყოფნამ წონას ეშხი და აზარტი მოაკლო. სამაგიეროდ, სხვებს მიეცათ შანსი. იგი ყველაზე უკეთ **შმაგი სახლთხუციშვილმა** გამოიყენა, რომელმაც ორი კურდღელი დაიჭირა – საქართველოს ჩემპიონიც გახდა და პირად შეხვედრაში დაამარცხა **გენადი გოგიშვილი**, ვინც დღემდე კვირკველიას უმთავრეს კონკურენტად ჩანდა. გარდაბნელის უპირატესობა ფინალშიც აშკარა იყო. რაკი ამ წონაში ლიდერი არ ჭიდაობდა და ყველაფერი ისევ თავიდანაა გასარკვევი, სალაპარაკოც ბევრი არაფერია. თუმცა ისიც საკითხავია, ლიდერის ვინაობა არის კი გასარკვევი? ვეჭვობთ, შაბათს ნაჩვენები ჭიდაობით კვირკველია რომელიმემ შეავიწროვოს.

| 96 კგ. 12 მონაწილე |
|---|
| 1. რამაზ ნოზაძე (თბილისი) |
| 2. გელა ჩხაიძე (აჭარა) |
| 3. გივი მორჩილაძე (თბილისი) |
| 3. იოსებ ჯაგიძე (ბაღდათი) |

იმის მიუხედავდა, რომ ფინალში ბათუმელი **გელა ჩხაიძე** ჭიდაობდა, მაყურებელი **რამაზ ნოზაძის** გამოცხადებას და გამოჩენას დიდი ოვაციით შეხვდა. ცხადია, წონის ფავორიტად ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი მიიჩნეოდა და სასწაული არც მომხდარა – დღესდღეობით იგი მართლაც უკონკურენტოა.

ნოზაძემ ბრძოლები სუფთად მოიგო და მეტოქეები ისევ კენჭებივით მიყარ-მოყარა აქეთ-იქით, თუმცა, ერთი-ორჯერ მაინც ისე შეცდა, როგორც არ სჩვევია. მისი კოზირი ჩოქბჯენში ჭიდაობა იყო – მეტოქეებს ძალზე იოლად ატრიალებდა, მაგრამ ახლა სწორედ აქ მოუვიდა შეცდომები. გადატანილი ფათერაკებისა თუ ტრავმა-ოპერაციების შემდეგ იგი მაინც ვერ ჩადგა ჩვეულ ფორმაში, თუმცა ჯერ სეზონის დასაწყისია და გასაკვირი არცაა, პიკზე არ იყოს.

მისი ყოველი შეხვედრა გამორჩეულად ლამაზი გახლდათ, ფინალი კი მართლაც საჩემპიონო გვირგვინი გამოდგა. ჩხაიძე ბევრს კი ეცადა, მაგრამ წმინდად წაგებას ვერ გადაურჩა. ნოზაძემ თავიდანვე შეუტია და ჩოქბჯენში ჩაყვანით 1:0 დაწინაურდა. რაკი საწყის ერთ წუთში გააკეთა ქულა, ამ დროის გასვლის მერე მეტოქე პირდაპირ ჩაუყენეს ჩოქბჯენში, მაგრამ რამაზმა შანსი ვერ გამოიყენა და ჩხაიძემ ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, ნოზაძე რის ნოზაძე იქნებოდა, ასე იოლად დაეთმო რამე და ბოლო 30 წამში მაინც მოიგო – 2:1.

მეორე პერიოდი ნოზაძის ბევრად უფრო მწვავე შეტევით დაიწყო - მეტოქე თავიდანვე ჩაიყვანა ჩოქბჯენში, იქიდან კი ზედიზედ სამჯერ დაატრიალა და მეორე ორი წუთი ვადამდე მოიგო.

კიდევ კარგი, რამაზ ნოზაძის დარი ფალავნები კიდევ არიან, თორემ ანტიკური ჭიდაობა ერთი ბეწო მიმზიდველობასაც დაკარგავდა.

**ირაკლი თავაძე,**
ბათუმიდან

### ჩემპიონთა კომენტარი

**რევაზ ლაშხი:** - ჩემთვის ეს ჩემპიონატი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. პირველ რიგში იმიტომ, რომ წონა შევიცვალე და 60 კილოში გადავედი. კმაყოფილი ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის მოვემზადები.

**შმაგი სახლთხუციშვილი:** - პირადად ჩემთვის ეროვნული ჩემპიონატი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის და ასეა ახლაც. ეს პირველი ნაბიჯია საერთაშორისო ტურნირებისკენ. შეიძლება ითქვას, რომ ასე კარგად ჯერ არსად მიჭიდავია. შედეგიც სასურველია, ჩემპიონი გავხდი.

**რამაზ ნოზაძე:** - ფინალში თავიდან მშვიდად ვჭიდაობდი, მაგრამ ხალხის რეაქციამ შემაგულიანა და გადავწყვიტე, ყველაფერი მალე დამესრულებინა. ტრავმების გამო დიდი პერიოდი გამიცდა, მაგრამ გარწმუნებთ, ახლა მსგავსი რამ აღარ განმეორდება. რაც შეეეხება ჭიდაობას, რთული ფინალი იყო, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ მე ჩემი სიტყვა მაინც ვთქვი - ჩემპიონი გავხდი, რაც ძალიან მახარებს.

**ირაკლი დარცმელიძე**

## ხელბურთი

ევრო 2008. შესარჩევი მატჩი

# ბოლოზე დავრჩით




საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევრო-2008-ის მესამე შესარჩევ ჯგუფში უკანასკნელი მატჩი ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში 21:24 წააგო, რის შემდეგაც ტურნირი უკანასკნელ ადგილზე დაასრულა ერთადერთი მოგებით და ხუთი მარცხით. ჩვენებმა, ბულგარელების მსგავსად, 2 ქულა დააგროვეს, თუმცა ბურთების უარესი სხვაობის გამო გუშინდელი მეტოქე წინ გაუშვეს. პირველზე რუმინელები გავიდნენ, რომელთაც შინ 41:31 აჯობეს ლატვიელებს. რუმინეთის და ლატვიის გუნდები ფლეი-ოფში გავიდნენ.

| III ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 203-153 | 12 |
| 2. ლატვია | 6 | 4 | 0 | 2 | 187-167 | 8 |
| 3. ბულგარეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 140-171 | 2 |
| 4. საქართველო | 6 | 1 | 0 | 5 | 140-179 | 2 |

ALL STARS 2007

# ორი ცვლილება და ორი კაპიტანი

გასულ უიქ ენდზე, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემადგენლობებში ორი ცვლილება მოხდა. დასავლეთი კონფერენციის ნაკრებში, "ანაჰაიმის" ტრავმირებული მცველი **სკოტ ნიდერმაიერი** ფინიქსელმა **ედ ჟოვანოვსკიმ** შეცვალა, ხოლო ამავე გუნდის შეტევით ხაზში, "დეტროიტის" თავდამსხმელის - **ჰენრიკ ზეტერბერგის** ადგილი "ანაჰაიმის" ფორვარდმა **ენდი მაკდონალდმა** დაიკავა. ზეტერბერგის შემადგენლობიდან გამოყვანის მიზეზი არ დასახელებულა.

30 წლის ჟოვანოვსკი მეოთხედ ითამაშებს All Star-ზე. ის 27 ქულით (11 გოლი+16 პასი), "ფინიქსის" ყველაზე შედეგიანი მცველია.

რაც შეეხება 29 წლის მაკდონალდს, ის NHL-ში მეექვსე სეზონს ატარებს და პირველად ხვდება "ოლ სტარზე". ეს ფორვარდი "ანაჰაიმის" მეორე ბომბარდირია **ტეემუ სელიანეს** შემდეგ - მის ანგარიშზე 45 ქულა (12 გოლი+23 პასი) მოდის.

გუშინ გამოცხადდა "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების კაპიტნები. აღმოსავლეთის ნაკრებს მოედანზე გაიყვანს "რეინჯერსის" ვეტერანი ფორვარდი, წლევანდელი All Star-ის ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე - **ბრენდან შენეჰანი**. დასავლეთში მსგავი პატივი კოლორადოელ **ჯო საკიკს** ერგო. ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთაგან, ჯო იმით არის გამორჩეული, რომ ყველაზე მეტჯერ - 12-ჯერ მონაწილეობდა ამ შოუში.

"ყველა ვარსკვლავის მატჩი" 24 იანვარს, დალასში გაიმართება.



ჯო საკიკი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 19 იანვარი

**კოლამბუსი-დეტროიტი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ფრიტშე-9 (მალორტა-7, ჩიმერა-11), 2:0 სვიტოვი-5 (ფუტი-8, მოდინი-11), 2:1 ფრანცენი-5 (კრონვალი-13, ლიდსტრიომი-30), 3:1 ფუტი-3 (ვიბორნი-30, ა. ჯონსონი-6).

**კალგარი-ანაჰაიმი 3:2**

2:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მოსი-6 (ფანოფი-19, ლომბარდი-16), 2:0 ტანგეი-12 (ლენგკოუ-30, ჰუსელიუსი-19), 3:0 იელი-3 (ნილსონი-5, ფანოფი-20), 3:1 ს. ნიდერმაიერი-9 (ე. მაკდონალდი-34, გეტცლაფი-14), 3:2 ს. ნიდერმაიერი-10 (ე. მაკდონალდი-35, ჯეკმენი-6).

**ჩიკაგო-მინესოტა 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 გაბორიკი-10, 0:2 ვეილო-6 (მ. კოივუ-20), 0:3 გაბორიკი-11 (ვალცი-6, ბერნსი-8).

**ბაფალო-ვანკუვერი 4:3 (ბ)**

1:0, 0:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პომინვილი-21 (ბრიერი-39, ვანეკი-24), 1:1 პიატი-13 (კრაიჩეკი-7, ს. სალო-14), 1:2 ბულისი-9 (გრინი-5, ფიტცპატრიკი-2), 2:2 გოსტადი-8 (აფინოგენოვი-29, კალინინი-13), 2:3 ნესლუნდი-15 (ბიექსა-20, მორისონი-14), 3:3 დრური-24 (პომინვილი-16, ბ. კემპბელი-24).

**ბულიტები გაიტანეს:** აფინოგენოვი (ბაფალო), ბ. მორისონი (ვანკუვერი), კოტალიკი (ბაფალო).

### 20 იანვარი

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 4:3 (ბ)**

1:1, 0:0, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 პოტულნი-5, 1:1 გომესი-9 (რაფალსკი-29, ელიაში-27), 1:2 კალდერი-8 (ჯ. კარტერი-11), 2:2 ლანგენბრუნერი-16 (ე. გრინი-1, პარიზე-19), 2:3 განიე-23 (ფორსბერგი-20, ნუბლი-13), 3:3 ჯონტა-21 (პ. მარტინი-15, ელიაში-28).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯონტა (ნიუ ჯერსი).

**ნეშვილი-ჩიკაგო 6:3**

2:2, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ერატი-10 (ლეგვანდი-24, კარია-36), 2:0 დუმონი-10 (არნოტი-16, ზენონი-3), 2:1 ჰავლატი-15 (სმოლინსკი-18, ვრბატა-21), 2:2 კ. მაკდონალდი-2, 3:2 ლეგვანდი-16 (ერატი-31, კ. ტიმონენი-26), 3:3 დ. კეიტი-1 (ჰავლატი-17, ვიშნევსკი-6), 4:3 ლეგვანდი-17 (დუმონი-28, ერატი-32), 5:3 კ. ტიმონენი-9 (სალივანი-31, შ. უებერი-18), 6:3 ლეგვანდი-18 (ჰამჰუისი-7, კარია-37).

**ბოსტონი-ოტავა 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 კ. ფილიპსი-5 (მეფერი-18, კომრი-17), 0:2 ჰიტლი-29 (პრისინგი-22, რედენი-16), 0:3 ჰიტლი-30.

**ვაშინგტონი-ფლორიდა 1:4**

1:0: 0:2, 0:2

**გოლები:** 1:0 ზუბრუსი-17 (ოვეჩკინი-36, სიომინი-20), 1:1 გელინასი-5 (ე. სტიუარტი-1, ო. იოკინენი-30), 1:2 შტუმპელი-12, 1:3 პელტონენი-8 (ჰორტონი-23), 1:4 გელინასი-6 (პელტონენი-11).

**რეინჯერსი-ატლანტა 1:3**

1:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-24 (რუჩინი-12), 1:1 იაგრი-18 (სტრაკა-32, ნიულანდერი-38), 1:2 ჰაველიდი-2 (რუჩინი-13), 1:3 მარიან ჰოსა-30 (ვიაჩ. კოზლოვი-32, ვიშნევსკი-9).

**მონრეალი-ბაფალო 4:3**

2:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ლატენდრესი-10 (პლეკანეცი-14, შტრაიტი-15), 2:0 ს. კოივუ-16 (კოვალიოვი-23, მარკოვი-29), 3:0 ბუიონი-2, 3:1 ბრიერი-17 (პომინვილი-17, ვანეკი-25), 3:2 დ. რუა-9 (აფინოგენოვი-30, კოტალიკი-18), 3:3 ბრიერი-18 (ბ. კემპბელი-25, პომინვილი-18), 4:3 რაიდერი-15 (პერეჟოგინი-8, ლაპიერი-2).

**პიტსბურგი-ტორონტო 8:2**

3:1, 2:0, 3:1

**გოლები:** 0:1 ო'ნილი-16 (კუბინა-7, სტაიანი-17), 1:1 ჯ. სტაალი-15 (მალკინი-24, ულეტი-17), 2:1 ი. რუუტუ-2 (ბულიტი), 3:1 რეკი-12 (რაიან უიტნი-23, მალკინი-25), 4:1 რეკი-13 (კროსბი-47, გონჩარი-27), 5:1 რეკი-14 (კროსბი-48, გონჩარი-28), 6:1 კროსბი-24 (გონჩარი-29, მალკინი-26), 7:1 ულეტი-9 (რაიან უიტნი-24, მალკინი-27), 7:2 ბელი-1, 8:2 მელოუნი-7 (მალკინი-28, რეკი-28).

**კოლორადო-დეტროიტი 3:1**

1:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ლაპერიერი-2 (მაკლინი-9, სკრასტინსი-5), 1:1 ფილპულა-5 (ფრანცენი-11), 2:1 ბრუნეტი-17 (პ. შჩასტნი-25, ბ. კლარკი-21), 3:1 საკიკი-20.

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 2:3**

2:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ფროლოვი-23 (კამალერი-25, დ. არმსტრონგი-24), 2:0 კოპიტარი-13, 2:1 გრეტონი-1 (ზ. მიხალეკი-19, რაინპრეხტი-11), 2:2 ნადი-8 (ზ. მიხალეკი-20, დოენი-14), 2:3 როუჩი-5 (რიონიკი-9, კ. ადამსი-4).

**სან ხოსე-სენტ ლუისი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 გერინი-20 (რუჩინსკი-21).

**მინესოტა-დალასი 1:2 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰაგმანი-11 (მიეტინენი-5, ი. იოკინენი-15), 1:1 მ. კოივუ-11 (პერიში-12, კარნი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** რიბეირო (დალასი), ნუმელინი (მინესოტა), ლინდროსი (დალასი), მ. კოივუ (მინესოტა), ბარნსი (დალასი).

**ედმონტონი-კალგარი 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ლომბრდი-15 (ჰამრლიკი-14, ფერენსი-9), 0:2 ბოიდი-2 (ფანოფი-20, ჰამრლიკი-15), 0:3 ტანგეი-13 (ჰუსელიუსი-20, ლენგკოუ-31), 0:4 ფანოფი-12 (ამონტე-13, ლომბარდი-17).

**კაროლინა-ტამპა ბეი 5:6 (ბ)**

2:1, 2:3, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ე. სტაალი-21 (ს. უოკერი-17, ჰატჩინსონი-8), 1:1 პროსპალი-8 (სენტ ლუისი-35, ბოილი-29), 2:1 ე. სტაალი-22 (ს. უოკერი-18, ბებჩუკი-11), 3:1 რეი უიტნი-19 (საიდენბერგი-3, ჯასტინ უილიამსი-21), 3:2 ლეკავალიე-30 (სენტ ლუისი-36, რეინჯერი-18), 4:2 ლედი-4 (ბებჩუკი-12, ჯასტინ უილიამსი-22), 4:3 რეინჯერი-2 (ალექსეევი-11, პერენი-11), 4:4 სენტ ლუისი-30 (პროსპალი-24, იანიკი-3), 5:4 ლედი-5 (ს. უოკერი-19, ჰატჩინსონი-9), 5:5 კუბა-8 (პროსპალი-25, იანიკი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** პროსპალი (ტამპა ბეი).



ზემძიმე წონა

# ძვლების მტვრეველი დარტყმა?




ნიკოლაი ვალუევი

კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ვერსიით ზემძიმე წონის რუსმა ჩემპიონმა **ნიკოლაი ვალუევმა** ტიტულის ამერიკელი პრეტენდენტი **ჯამილ მაკკლაინი** დაამარცხა და მესამედაც დაიცვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. მაკკლაინი მესამე რაუნდის მიწურულს მას შემდეგ დაეცა, რაც ჩემპიონს მუშტი უთავაზა. ჯამილს გონგმა კი მოუსწრო, მაგრამ როგორც მერე გაირკვა, მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც, ბრძოლის გაგრძელება ველარ მოახერხა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამერიკელ მოკრივეს მუხლის მყესი ჰქონია გაწყვეტილი. ტრავმა იმდენად მტკივნეული იყო, რომ მაკკლაინმა ფეხზე დამოუკიდებლად დგომაც კი ვერ შეძლო და ის რინგიდან საკაცით გაიყვანეს.

ასე დასრულდა პროფესიული კრივის სატიტულო ბრძოლების ისტორიაში "ყველაზე მძიმე ბრძოლა" - შეხვედრის წინ ჩატარებულ აწონვაზე, ორივე მოკრივე ერთად დაახლოებით 268 კილოგრამს იწონიდა. აქედან 146 კილო რუს გიგანტზე მოდის, ვისი სიმაღლეც 2.13 მეტრია.

*"გაწბილებული ვარ იმით, რომ ბრძოლა ასე დასრულდა. ვიცი, კრივის მოყვარული ელოდა, რომ ეს ბრძოლა გაცილებით დიდხანს გაგრძელდებოდა. მეც ასე მეგონა, მაგრამ ვწუხვარ, რომ სხვაგვარად მოხდა. ახლა უკვე შემდეგ ბრძოლაზე ვფიქრობ და მალე შევუდგები მისთვის მზადებას. კარგი იქნება, თუ ეს ბრძოლა მალე დაინიშნება"*, - განაცხადა ვალუევმა, ვინც მაკკლაინთან თავისი სურვილით იჩხუბა, ტიტულის სავალდებულო დაცვა კი, ალბათ, უზბეკ **რუსლან ჩაგაევთან** ბრძოლაში მოუწევს.

მაკკლაინმა კი, ვინც მესამედ იბრძოლა ტიტულისთვის (პირველ ორ ბრძოლაში უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოსა** და ამერიკელ **კრის ბერდთან** წააგო), ბრძოლის შემდეგ განაცხადა, რომ რინგს აღარ დაუბრუნდება. *"დღეს მე დიდი შანსი მქონდა, ჩემპიონი გავმხდარიყავი, რადგან რეალურად შემეძლო ვალუევის დამარცხება, მაგრამ ფორტუნამ ასე არ ისურვა. როგორც ჩანს, დროა, სპორტულ კარიერას წერტილი დავუსვა"*, - განაცხადა 36 წლის მაკკლაინმა.

ვალუევის გამარჯვებით აღფრთოვანებული დარჩა მისი პრომოუტერი **დონ კინგი**: *"ნიკოლაიმ მას ისე ძლიერად დაარტყა, რომ მუხლის თავი გაუტეხა. გარწმუნებთ, ეს კაცი ვისაც შეხვდება, ყველას შავ დღეს დააყრის. მან ყველას დაანახა, თუ რა ძალას ფლობს მუშტში. ასეთი ძლიერი დარტყმის მქონე მოკრივე აქამდე არასოდეს მინახავს"*.

მოკლედ, ვალუევმა მესამედ დაიცვა ტიტული, რომელიც 2005 წლის მიწურულს **ჯონ რუისს** ჩამოართვა. 33 წლის რუს გიგანტს პროფესიულ რინგზე ჩატარებული 46-ივე ბრძოლა მოგებული აქვს, მათ შორის 33 ნოკაუტით. მაკკლაინი ყველაზე მაღალი (2.02 მეტრი) იყო მათ შორის, ვისთანაც ვალუევმა გაჩემპიონების შემდეგ იბრძოლა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ WBA-ის რეიტინგში მაკკლაინს მხოლოდ მე-14 ადგილი ეკავა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



### ჭადრაკი

**ვეიკ-ან-ზეე (ჰოლანდია)**

VI ტური

კრამნიკი (რუსეთი)-ანანდი (ინდოეთი) 1:0; კარიაკინი (უკრაინა)-შიროვი (ესპანეთი) 1:0; რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-პონომარიოვი (უკრაინა) 0.5:0.5; ტოპალოვი (ბულგარეთი)-ნავარა (ჩეხეთი) 0.5:0.5; სვიდლერი (რუსეთი)-არონიანი (სომხეთი) 0.5:0.5; მოტილიოვი (რუსეთი)-კარლსენი (ნორვეგია) 0.5:0.5; ტივიაკოვი (ჰოლანდია)-ვან ველი (ჰოლანდია) 0.5:0.5.

VII ტური

ტივიაკოვი-კარიაკინი 0.5:0.5; პონომარიოვი-ტოპალოვი 0:1; კარლსენი-სვიდლერი 0:1; ანანდი-რაჯაბოვი 0.5:0.5; არონიანი-კრამნიკი 0.5:0.5; შიროვი-მოტილიოვი 0.5:0.5; ნავარა-ვან ველი 1:0.

მდგომარეობა შვიდი ტურის შემდეგ: 1. რაჯაბოვი - 5.5 ქულა; 2. ტოპალოვი - 5; 3. კრამნიკი - 4.5; 4-8. ანანდი, სვიდლერი, ნავარა, არონიანი, კარიაკინი - 4; 9-10. პონომარიოვი, მოტილიოვი - 3; 11-12. ვან ველი, ტივიაკოვი - 2.5; 13. კარლსენი - 2; 14. შიროვი - 1.

### კალათბურთი

## სან ანტონიო ობერტოს გაუშვებს?

დიახ, არ არის გამორიცხული, რომ რეგულარულის ერთ-ერთმა ლიდერმა "სან ანტონიო სპურსმა" თავისი არგენტინელი ცენტრი **ფაბრისიო ობერტო** გაცვალოს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** უკვე დაღალა არგენტინელის არასტაბილურობამ და იგი ობერტოს თამაშის ხარისხის გაუმჯობესებისთვის კიდევ ორ კვირას აძლევს.

ფაბრიციოს წლევანდელი საშუალო სტატისტიკური მონაგარი მხოლოდ 5.4 ქულა და 5.0 მოხსნაა. "ნიუ იორკ თაიმზის" თქმით, ობერტოთი "ნიუ იორკ ნიქსია" დაინტერესებული, რომელიც "სან ანტონიოს" ფაბრისიოში ძალიან კარგ მძიმე ფორვარდს, **დევიდ ლის** (10.7 ქულა, 10.4 მოხსნა) სთავაზობს. ოღონდ, ტეხასელებმა არგენტინელს სლოვენიელი გამთამაშებელი **ბენო უდრიხიც** უნდა დაუმატონ.

### კრივი

## კუბელები ნაკრებიდან გარბიან

სამმა კუბელმა მოკრივემ, 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა ეროვნული გუნდის საწვრთნელი შეკრება მიატოვეს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. როგორც ვარაუდობენ, **იან ბარტელემი; იურიორკის გამბოა და ოდლანიერ სოლისი** ამ ხერხით ცდილობენ პროფესიონალებში გადასვლას.

ამ ტრიოში, ყველაზე პერსპექტიული სუპერმძიმეწონოსანი სოლისი გახლავთ, რომელსაც ოლიმპიადის გარდა, სამჯერ აქვს მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი მოყვარულებს შორის. მისი პროფესიულ რინგზე გამოჩენა ძალიან დამაინტრიგებელი იქნება, ვინაიდან დღეს, ზემძიმე წონა მაღალი კლასის მოკრივეების აშკარა დეფიციტს განიცდის.

მოკრივეებმა კუბის ნაკრები მაშინ მიატოვეს, როცა ეს გუნდი ვენესუელაში შეკრებაზე იმყოფებოდა და 2007 წლის პანამერიკული თამაშებისთვის ემზადებოდა. სხვათა შორის, ეს არ არის კუბელი მოკრივეების პირველი მსგავსი აქცია. თავის დროზე, ანალოგიური ნაბიჯი გადადგეს **ხოელ კასამაიორმა** და **ხუან კარლოს გომესმა**, რომლებიც, მოგვიანებით, თავიანთ წონებში პროფესიონალებს შორის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

### მძლეოსნობა

## რედკლიფი დედა გახდა

ცნობილ ბრიტანელ სპორტსმენს, გრძელ დისტანციებზე მორბენალ **პოლა რედკლიფს** ქალიშვილი შეეძინა.

როგორც ბრიტანული ტელეარხი "სქაი ნიუსი" იტყობინება, რედკლიფმა მონაკოში, პრინცესა **გრეის კელის** სახელობის კლინიკაში იმშობიარა. სპორტსმენს ახალშობილისთვის სახელი ჯერ არ შეურჩევია.

პოლო რედკლიფი თანამედროვე ბრიტანელ ათლეტთა შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სპორტსმენად ითვლება. მას ეკუთვნის ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი მარათონში - 2 საათი, 15 წუთი და 25 წამი. ეს შედეგი პოლამ 2003 წელს, ლონდონის მარათონში აჩვენა.

სხვათა შორის, უკანასკნელად ბრიტანელი მორბენალი ტრასაზე შარშან, ლონდონის ჰაიდ-პარკზე გამართულ 10-კილომეტრიან გარბენში გამოჩნდა. მაშინ ის ექვსი თვის ფეხმძიმე გახლდათ.

### ფიგურული სრიალი

## ლამბიელი კონტინენტის პირველობას ტოვებს

ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, შვეიცარიელი **სტეფან ლამბიელი** ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს, რომელიც 22 იანვარს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში აილებს სტარტს.

21 წლის მოციგურავემ ამ გადაწყვეტილების მიზეზად დაღლილობა დაასახელა, რაც უამრავ შოუებში მონაწილეობის მიღებამ განაპირობა. წელს, ლამბიელმა ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ ერთხელ - კანადის გრან-პრიზე იასპარეზა. უამრავმა საკონტრაქტო გამოსვლებმა, შვეიცარიელის საწვრთნელ პროცესზე ცუდი ზეგავლენა იქონია.

ჯერჯერობით გარკვეული არ არის, გამოვა თუ არა ლამბიელი მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მარტში იაპონიაში გაიმართება.

### ჰოკეი

## მეფეებმა შონ ბურკი აიყვანეს

"ლოს ანჯელეს კინგზმა", "ტამპა ბეის" მიერ ტრანსფერზე დაყენებულ მეკარე **შონ ბურკს** გაუფორმა კონტრაქტი. წელს, 39 წლის ვეტერანმა ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) 7 მატჩი ჩაატარა და საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდა - საშუალოდ შეხვედრაში 4.52 გოლს უშვებდა. ასეთ რისკიან ნაბიჯზე "კინგზის" ხელმძღვანელობა იმის გამო წავიდა, რომ ორი ძირითადი მეკარე ჰყავს ტრავმირებული - **დენ კლუტიე** და **მეტიუ გერონი**, მათი შემცვლელები კი, ძალიან ცუდად თამაშობენ.

*"არ ვიცით, რას უნდა ველოდოთ შონისგან, მაგრამ ის NHL-ის დონის მეკარეა, განსხვავებით იმათგან, რომლებიც ახლა ჩვენს განკარგულებაში არიან"*, - განაცხადა "ლოს ანჯელესის" მენეჯერმა **დინ ლომბარდიმ**.

## კალგარიმ მსოფლიო ჩემპიონი დაიმატა

"კალგარი ფლეიმზმა" ახალგაზრდა მეკარე **ლელანდ ირვინგთან** გააფორმა კონტრაქტი. ამ ცოტა ხნის წინ, ეს ჰოკეისტი კანადის ნაკრებთან ერთად ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, თუმცა, იმ ტურნირზე არცერთი მატჩი არ უთამაშია და ბოლომდე **კერი პრაისის** დუბლიორი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი-რეიდი. ლისაბონი-დაკარი 2007

# პეტერანსელის მეცხრე ტრიუმფი

## რალის ისტორიას ორი დაღუპული პილოტი შეემატა

გასულ უიქ ენდზე, "დაკარის" რალიში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. მე-14 ეტაპის დროს დაიღუპა 42 წლის ფრანგი მოტომრბოლი **ერიკ აბეჟუ**.

როგორც რალი-რეიდის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, აბეჟუმ ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე თავი ცუდად იგრძნო, მოტოციკლი გააჩერა და სულ მალე გარდაიცვალა. ადგილზე მისულმა ექიმებმა დაადგინეს, რომ სიკვდილი გულის გაჩერებამ გამოიწვია.

ერიკ აბეჟუ მეორედ მონაწილეობდა "დაკარში". მისი დებიუტი 2001 წელს შედგა და მაშინ მან მე-18 ადგილი დაიკავა.

კინაღამ ტრაგედია მოხდა მე-13 ეტაპზე. მოტომრბოლთა შორის ლიდერი, ესპანელი **მარკ კომა** მძიმე ავარიაში მოყვა და სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს.

ავარიის მომენტში, კომა საერთო ჩათვლას ძალიან დიდი უპირატესობით ლიდერობდა და ყველა თვლიდა, რომ მას გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება. მაგრამ მე-13 ეტაპზე, ნავიგაციური შეცდომის გამო, ესპანელი რამდენიმე კილომეტრით ასცდა ოპტიმალურ მარშრუტს. ამის გამო, კომამ 20 წუთი დაკარგა. როგორც ჩანს, ის მოტომრბოლთა ძირითადი ჯგუფის დაწევას ლამობდა და სიჩქარეში, მოტოციკლის მართვაზე კონტროლი დაკარგა.

კომა სპეციალური ვაკუუმის ბალიშით, ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა კვლავაც რთულია. მართალია, ესპანელი გრძნობაზეა, მაგრამ საკუთარ სახელსაც ვერ იხსენებს, ავარიაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ექიმების თქმით, ის საერთოდ ვერ ხვდება, თუ სად იმყოფება.

გუშინ კი, 2007 წლის რალი-რეიდი დაკარში, სპეციალური 16 კილომეტრი სიგრძის ეტაპით დასრულდა.

მსუბუქი მანქანების კლასში, კარიერაში მესამედ ლეგენდარულმა ფრანგმა **სტეფან პეტერანსელმა** იმარჯვა. სულ ამ ცნობილ სპორტსმენს დაკარის რალი ცხრაჯერ აქვს მოგებული - ექვსჯერ მან პირველობა არავის დაუთმო მოტოციკლების კლასში.

მარკ კომას ავარიის წყალობით, მოტომრბოლებს შორისაც ფრანგი გახდა გამარჯვებული. **სირილ დესპრემ** საერთო ჩათვლაში თითქმის ნახევარ საათზე მეტი აჯობა თანამემამულე **დავიდ კასტოს** და მეორედ მოიგო ეს პრესტიჟული რალი-რეიდი.

დაბოლოს, წელს სატვირთო ავტომობილების კლასში დაემხო რუსული "კამაზების" ბოლოდროინდელი ჰეგემონია. ამჯერად, დაკარის რალი ჰოლანდიელი **ჰანს სტეისის** ეკიპაჟმა მოიგო, რომელმაც უახლოესი მდევარი - რუსი **მარდეევი** 3 საათზე მეტით ჩამოიტოვა უკან.

### XIII ეტაპი. 260 კმ.

**მსუბუქი მანქანები**

1. **საინსი** (ესპ)/**პერენი** (საფ, "ფოლკსვაგენი") - 2:30.22; 2. **პეტერანსელი** (საფ)/**კოტრე** (საფ, "მიცუბიში) - +0.26; 3. **მილერი** (აშშ)/**პიტჩფორდი** (ს. აფრ, "ფოლკსვაგენი") - +2.18; 4. **სოუზა** (პორ)/**შულცი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - +5.03; 5. **შლესერი** (საფ)/**დებრონი** (საფ, "ფორდი") - +5.11; 6. **ალფანი** (საფ)/**პიკარი** (საფ, "მიცუბიში) - +5.12.

**მოტოციკლები**

1. **დესპრე** (საფ, KTM) - 3:00.56; 2. **ბლეისი** (აშშ, KTM) - +6.07; 3. **მარშინი** (საფ, "იამაჰა") - +10.25; 4. **ბეტისი** (საფ, "ჰონდა") - +11.43; 5. **კლასენი** (ს. აფრ, KTM) - +11.49; 6. **ვინტერსი** (ლატ, KTM) - +12.29.

### XIV ეტაპი. 225 კმ.

**მსუბუქი მანქანები**

1. **საინსი/პერენი** - 2:21.02; 2. **დე ვილიერსი** (ს. აფრ)/**ფონ ციტცევიჩი** (გერ, "ფოლკსვაგენი") - +0.07; 3. **სოუზა/შულცი** - +0.45; 4. **ალ ათიიაჰი** (კატ)/**გუეენეკი** (საფ, BMW) - +1.52; 5. **გორდონი** (აშშ)/**გრაიდერი** (აშშ, "ჰამერი") - +1.54; 6. **მილერი/პიტჩფორდი** - +2:02

**მოტოციკლები**

1. **დე აზევედუ** (ბრა, KTM) - 2:37.46; 2. **ჟაშორი** (პოლ, KTM) - +2.05; 3. **ვინტერსი** - +5.05; 4. **ბლეისი** - +5.12; 5. **დესპრე** - +7.03; 6. **კასტო** (საფ, KTM) - +10.16.

### XV ეტაპი. 16 კმ.

**მსუბუქი მანქანები**

1. **დე ვილიერსი/ფონ ციტცევიჩი** - 7.42; 2. **საინსი/პერენი** - +0.02; 3. **გორდონი/გრაიდერი** - +0.26; 4. **სოუზა/შულცი** - +0.42; 5. **შლესერი/დებრონი** - +0.43; 6. **ლუა** (ბელ)/**ვაანოლტი** (ჰოლ, "ბუგი") - +0.53.

**მოტოციკლები**

1. **ვინტერსი** - 8.42; 2. **ულევალსეტერი** (ნორ, KTM) - +0.07; 3. **როდრიგესი** (პორ, "იამაჰა") - +0.25; 4. **დე აზევედუ** - +0.28; 5. **კროკელუა** (საფ, "იამაჰა") - +0.30; 6. **კასტო** - +0.32.

### საერთო ჩათვლა

**მსუბუქი მანქანები**

1. **პეტერანსელი/კოტრე** - 45:53.37; 2. **ალფანი/პიკარი** - +07.26; 3. **შლესერი/დებრონი** - +1:33.57; 4. **მილერი/პიტჩფორდი** - +2:10.16; 5. **მასოუკა** (იაპ)/**მემონი** (საფ, "მიცუბიში") - +2:44.31; 6. **ალ ათიიაჰი/გუეენეკი** - +3:31.59.

**მოტოციკლები**

საერთო ჩათვლა: 1. **დესპრე** - 51:36.53; 2. **კასტო** - +34.19; 3. **ბლეისი** - +52.06; 4. **ულევალსეტერი** - +1:37.57; 5. **როდრიგესი** - +2:30.41; 6. **ვინტერსი** - +2:44.21.



სტეფან პეტერანსელის მიცუბიში

# TV სპორტი

## 22 იანვარი. ორშაბათი

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:05** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
**09:55** კრივი. რინგ-საიდი.
**10:50** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
**12:35** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ახალი ზელანდია.
**15:10** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**15:35** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ატლანტა.
**17:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ფიორენტინა.
**20:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
**22:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** სპორტ-კლუბი.
**00:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:00** პროფესიული კრივის საღამო.
**03:40** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**04:05** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ახალი ზელანდია.
**05:55** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
**07:40** ფიტნეს-პლანი.

### EUROSPORT

**11:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
**16:00** ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ფინალი. კილმესი. არგენტინა.
**17:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მასსტარტი. პოკლიუკა. სლოვენია.
**17:45** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მასსტარტი. პოკლიუკა. სლოვენია.
**18:15** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე.
**19:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** მულტისპორტი.
**20:45** სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**23:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**01:30** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტელეჟურნალი.
**02:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VIII დღე.
**03:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).

### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვიბორგი (დანია).
**13:00** ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ფინალი. კილმესი. არგენტინა.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ლაკროსი.
**18:00** ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. ტურინი. იტალია.
**19:00** ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K95. გუნდური. ტურინი. იტალია.
**20:00** ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K125. ტურინი. იტალია (LIVE).
**22:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესტუდიანტესი.
**23:30** კალათბურთი. ევროლიგა.
**00:00** ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K125. ტურინი. იტალია.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
**02:15** ახალი ამბები.

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 20 იანვარი

**ფილადელფია-მაიამი 98:95 (ო)**

25:15, 22:19, 20:29, 22:26, 9:6

**ფილადელფია:** იგუოდალა (16 ქ. 9 პ. 7 მ. 5 ჩ), ა. მილერი (16 ქ. 9 პ. 4 მ), უ. გრინი (16 ქ. 4 პ), დალემბერი (15 ქ. 5 მ. 3 დ), კორვერი (13 ქ. 4 მ. 4 პ), ჯო სმიტი (13 ქ. 10 მ).

**მაიამი:** უეიდი (28 ქ. 11 მ. 9 პ), ა. უოკერი (19 ქ. 12 მ), ჰასლემი (15 ქ. 10 მ. 2 ჩ), დ. რაიტი (11 ქ. 5 მ. 5 პ).

**ორლანდო-ვაშინგტონი 93:114**

23:21, 22:24, 30:38, 18:31

**ორლანდო:** გ. ჰილი (24 ქ. 5 მ), დ. ჰოვარდი (20 ქ. 13 მ. 3 პ), ნელსონი (15 ქ. 7 პ), დულინგი (11 ქ), თურქოღლუ (11 ქ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (31 ქ. 16 მ. 2 ჩ), არენასი (30 ქ. 7 მ. 6 პ. 2 ჩ), კ. ბატლერი (21 ქ. 7 მ. 5 ჩ. 4 პ).

**ტორონტო-იუტა 94:102**

28:26, 24:31, 19:23, 23:22

**ტორონტო:** ბოში (29 ქ. 11 მ. 2 დ), კალდერონი (16 ქ. 5 პ), ე. პარკერი (14 ქ. 6 მ. 6 პ), ბარნიანი (12 ქ. 5 მ. 1 ჩ. 1 დ).

**იუტა:** ოქური (27 ქ), ბუზერი (23 ქ. 19 მ. 3 პ. 2 ჩ), დერონ უილიამსი (16 ქ. 8 პ), ფიშერი (10 ქ. 4 პ).

**ნ. იორკი-ნ. ჯერსი 100:101**

24:22, 24:32, 18:26, 34:256

**ნიუ იორკი:** კ. რიჩარდსონი (24 ქ. 9 მ. 3 პ), მარბერი (23 ქ. 7 პ), ფრაი (16 ქ. 7 მ), კარი (14 ქ. 11 მ), ჯ. კროუფორდი (10 ქ), ლი (9 ქ. 9 მ).

**ნიუ ჯერსი:** კიდი (23 ქ. 9 პ. 7 მ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (21 ქ. 6 პ. 4 მ), ვ. კარტერი (16 ქ. 7 პ. 6 მ), ე. ჰაუსი (12 ქ), კ. რობინსონი (11 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**ატლანტა-შარლოტი 75:96**

21:21, 20:32, 16:22, 18:21

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (19 ქ. 6 პ. 3 ჩ), ჯოშ სმიტი (14 ქ. 4 მ. 4 დ. 3 ჩ), ჩილდრესი (12 ქ), **ზაზა ფაჩულია (6 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ).**

**შარლოტი:** ოკაფორი (22 ქ. 13 მ. 3 დ), ა. მორისონი (19 ქ. 4 პ), ჯ. უოლასი (18 ქ. 15 მ. 3 ჩ. 3 პ), კეროლი (12 ქ), მაკკინისი (10 ქ. 6 მ).

**ბოსტონი-საკრამენტო 91:96**

22:21, 22:20, 23:21, 24:34

**ბოსტონი:** დელონტე უესტი (25 ქ. 6 პ. 4 მ), ელ ჯეფერსონი (23 ქ. 11 მ), გომესი (17 ქ. 10 მ).

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (27 ქ. 2 ჩ), არტესტი (19 ქ. 11 მ. 2 ჩ), ბ. მილერი (18 ქ. 7 პ. 6 მ), ბიბი (11 ქ. 4 მ. 4 პ).

**მინესოტა-დეტროიტი 98:104 (2 ო)**

21:20, 18:19, 19:14, 21:26, 12:12, 7:13

**მინესოტა:** მ. ბლაუნტი (22 ქ. 15 მ), ფოიე (16 ქ. 5 მ. 4 პ), მ. ჯეიმსი (16 ქ. 4 პ), ჰასელი (16 ქ), გარნეტი (14 ქ. 19 მ. 2 დ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (26 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ. 2 დ), ბილაპსი (25 ქ. 8 პ. 2 ჩ), რ. უოლასი (18 ქ. 9 მ. 3 ჩ), უებერი (16 ქ. 7 მ. 4 პ).

**სან ანტონიო-ნ. ორლეანი 99:86**

26:12, 27:24, 23:23, 23:26

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (23 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), ჯინობილი (19 ქ. 6 პ. 5 მ), ფინლი (14 ქ), დანკანი (12 ქ. 16 მ. 4 დ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (19 ქ. 11 მ. 2 ჩ), ბობი ჯექსონი (14 ქ), დევინ ბრაუნი (12 ქ), მეისონი (11 ქ), პარგო (11 ქ), ჩენდლერი (10 ქ. 11 მ).

**ფინიქსი-პორტლენდი 106:101**

25:28, 30:20, 26:21, 25:32

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 7 მ. 2 ჩ), დიაო (21 ქ. 2 ჩ), ბარბოსა (20 ქ. 4 პ), რ. ბელი (14 ქ), ნეში (13 ქ. 15 პ), ჯეიმს ჯოუნსი (11 ქ), მერიონი (4 ქ. 12 მ. 5 დ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (36 ქ. 15 მ. 2 ჩ), როი (22 ქ. 5 მ. 4 პ), უდოკა (10 ქ), ჯეკი (10 ქ), ლ. ოლდრიჯი (10 ქ. 4 მ).

**სიეტლი-მილუოკი 99:72**

27:13, 24:16, 28:22, 20:21

**სიეტლი:** რ. ალენი (21 ქ. 4 მ. 3 პ), უილკინსი (16 ქ. 4 მ. 3 ჩ), რიდნური (13 ქ. 6 პ), კოლისონი (13 ქ. 16 მ. 2 ჩ. 2 დ), ა. ბრაუნი (10 ქ), უილკოქსი (6 ქ. 11 მ).

**მილუოკი:** პატერსონი (16 ქ. 2 ჩ), ბოგუტი (14 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ).

**დენვერი-კლივლენდი 110:99**

29:22, 35:23, 24:25, 22:29

**დენვერი:** კემბი (26 ქ. 17 მ. 2 დ), აივერსონი (25 ქ. 9 პ), ჯეი. არ. სმიტი (14 ქ), კლეიზა (12 ქ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქ. 10 მ. 10 პ. 2 ჩ), დ. მარშალი (14 ქ. 6 მ), პიუზი (13 ქ. 4 პ), ვარეჟაო (11 ქ. 8 მ. 4 ჩ), ილგაუსკასი (10 ქ. 4 მ).

### 21 იანვარი

**შარლოტი-ატლანტა 104:85**

25:20, 23:23, 27:22, 29:20

**შარლოტი:** კეროლი (22 ქ), ოკაფორი (19 ქ. 7 მ. 4 დ), ა. მორისონი (18 ქ), მაკკინისი (17 ქ. 9 პ. 4 მ), ჯ. უოლასი (12 ქ. 4 პ. 2 ჩ).

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (22 ქ. 5 პ), მერვინ უილიამსი (20 ქ. 5 პ), ჩილდრესი (18 ქ. 5 მ), **ზაზა ფაჩულია (2 ქ. 3 მ. 3 პ).**

**კლიპერსი-მემფისი 112:91**

24:28, 39:12, 26:28, 23:23

**კლიპერსი:** ბრენდი (34 ქ. 5 პ. 4 მ), კასელი (21 ქ. 14 პ), კამანი (12 ქ. 9 მ. 2 დ), მობლი (11 ქ. 3 ჩ), მაგეტი (11 ქ. 9 მ. 2 ჩ).

**მემფისი:** გასოლი (27 ქ. 7 მ. 3 ჩ. 2 დ), გეი (17 ქ. 5 მ. 3 პ), მ. მილერი (13 ქ. 7 პ), ეტკინსი (10 ქ), უორიკი (10 ქ).

**ინდიანა-ნიუ იორკი 106:108**

22:23, 23:29, 32:27, 29:29

**ინდიანა:** ჯ. ონილი (25 ქ. 10 მ. 3 დ), გრეინჯერი (19 ქ), ტინსლი (15 ქ. 7 პ. 5 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ), მერფი (10 ქ. 11 მ).

**ნიუ იორკი:** კარი (26 ქ), მარბერი (22 ქ. 6 პ), ლი (20 ქ. 16 მ. 3 პ), კ. რიჩარდსონი (20 ქ. 13 მ. 3 პ).

**დეტროიტი-საკრამენტო 91:74**

22:12, 26:22, 27:15, 16:25

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (19 ქ. 7 პ), პრინსი (17 ქ. 4 მ. 4 პ), მაკდაიესი (12 ქ. 8 მ), უებერი (11 ქ. 10 მ. 2 ჩ).

**საკრამენტო:** უილიამსონი (17 ქ), არტესტი (14 ქ. 6 მ. 4 პ), ბიბი (11 ქ), ბ. მილერი (4 ქ. 10 მ. 5 პ).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 115:110 (ო)**

39:26, 23:23, 23:35, 17:18, 13:8

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (23 ქ. 11 მ. 7 პ. 2 ჩ), ჯეიმისონი (23 ქ), არენასი (22 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), სტივენსონი (13 ქ. 5 პ), ჰეივუდი (12 ქ. 7 მ. 3 დ), ა. დენიელსი (12 ქ. 5 პ).

**ბოსტონი:** გომესი (31 ქ. 9 მ), ელ ჯეფერსონი (23 ქ. 10 მ. 2 დ), რეი (20 ქ), დელონტე უესტი (13 ქ. 11 პ. 3 ჩ), რონდო (10 ქ. 10 მ. 7 პ).

**ნ. ჯერსი-ორლანდო 101:94**

21:23, 17:25, 31:20, 32:26

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (27 ქ. 5 მ. 5 პ), რ. ჯეფერსონი (17 ქ. 8 პ. 4 მ), ე. ჰაუსი (17 ქ), კიდი (16 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (24 ქ. 8 მ), რედიკი (13 ქ), ნელსონი (11 ქ. 4 პ), დიენერი (11 ქ. 4 პ), აროიო (10 ქ), მილიჩიჩი (8 ქ. 10 მ).

**ნ. ორლეანი-ლეიკერსი 113:103**

25:29, 34:22, 24:31, 30:21

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (26 ქ. 12 მ), რ. ბატლერი (20 ქ. 2 დ), ჩენდლერი (17 ქ. 12 მ. 3 დ), ბობი ჯექსონი (15 ქ. 6 პ. 3 ჩ), პარგო (13 ქ), დევინ ბრაუნი (11 ქ. 5 პ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (23 ქ. 7 პ. 6 მ), მ. ევანსი (23 ქ. 7 მ), ს. პარკერი (13 ქ), ბინუმი (9 ქ. 9 მ).

**ჩიკაგო-იუტა 85:95**

17:22, 21:20, 24:25, 23:28

**ჩიკაგო:** გორდონი (23 ქ. 6 პ. 4 მ), ჰაინრიხი (22 ქ. 5 მ. 4 პ), დენგი (12 ქ. 7 მ. 3 ჩ), ბ. უოლასი (10 ქ. 9 მ. 6 დ. 3 პ. 2 ჩ).

**იუტა:** ოქური (21 ქ. 11 მ), ბუზერი (19 ქ. 14 მ. 4 პ), ფიშერი (14 ქ. 4 პ), დერონ უილიამსი (12 ქ. 7 პ), ჰარპრინგი (11 ქ), კირილენკო (10 ქ. 7 პ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ).

**ჰიუსტონი-დენვერი 113:121 (ო)**

31:25, 27:28, 28:24, 22:31, 5:13

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (24 ქ. 10 პ. 6 მ. 2 დ), ჯუვან ჰოვარდი (21 ქ. 13 მ. 4 პ), ალსტონი (16 ქ. 7 მ. 7 პ), ჰედი (15 ქ), ბეტიე (14 ქ), უელსი (12 ქ. 4 მ), მუტომბო (11 ქ. 13 მ).

**დენვერი:** აივერსონი (36 ქ. 10 პ), ჯეი. არ. სმიტი (24 ქ), ნენე (14 ქ. 5 მ. 2 დ), კემბი (12 ქ. 22 მ. 5 დ), კლეიზა (12 ქ), დიავარა (10 ქ).

**გ. სტეიტი-კლივლენდი 104:106 (ო)**

27:25, 35:19, 23:29, 13:25, 6:8

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (29 ქ. 7 მ. 5 ჩ. 5 პ), მ. ელისი (16 ქ. 8 პ), ელ ჰარინგტონი (14 ქ. 12 მ. 3 პ. 3 ჩ. 3 დ), ბარნსი (12 ქ. 7 მ. 5 პ), იასიკიავიჩუსი (10 ქ. 4 პ), ბიედრინსი (8 ქ. 9 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 7 მ. 5 პ. 4 ჩ), პიუზი (15 ქ), ილგაუსკასი (14 ქ. 11 მ. 3 დ. 2 ჩ), პავლოვიჩი (13 ქ. 6 პ), ვარეჟაო (12 ქ. 12 მ. 2 დ), სნოუ (12 ქ. 11 პ).

# ცხელი ხაზი

## კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-აეკ | 91:60 |
| აეკ-პანელინიოსი | 85:92 |
| პანიონიოსი-მაკედონიკოსი | 89:59 |
| ოლიმპია-მარუსი | 80:74 |
| ეგალეო-პაოკ | 65:71 |
| არისი-პანათინაიკოსი | 60:96 |
| აეპ-აპოლონი | 90:63 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-მენორკა | 72:79 |
| ფუენლაბრადა-ბილბაო | 74:61 |
| ბარსელონა-ესტუდიანტესი | 80:73 |
| ალიკანტე-პამესა | 75:74 |
| ტაუ-გრან კანარია | 102:85 |
| უნიკახა-მალაგა | 89:90 |
| ხუვენტუდი-გრანადა | 78:71 |
| რეალი-კ. სან ფერნანდო | 82:71 |
| ბრუესა-მურსია | 83:64 |

| იტალია | |
|---|---|
| მონტეგრანარო-ბიელა | 77:75 |
| მონტეპასკი-სკაფატი | 78:50 |
| სნაიდერო-კლიმამიო | 103:90 |
| აველინო-რომა | 70:80 |
| ვირტუსი-ტერამო | 87:82 |
| დ'ორლანდო-ვარეზე | 77:75 |
| მილანი-რეჯო ემილია | 73:66 |
| ნაპოლი-კანტუ | 91:83 |
| ლივორნო-ბენეტონი | 69:81 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| შოლე-დიჟონი | 64:53 |
| კლერმონი-პო ორტეზი | 57:67 |
| გრაველინი-რუანი | 83:66 |
| ჰავრი-ბეზანსონი | 107:94 |
| ბურჟი-ტულონი | 73:77 |
| რეიმსი-ორლეანეზი | 69:68 |
| ლე მანი-ვილერბანი | 92:74 |
| სტრასბური-პსქ | 83:63 |

## ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ტრაქტორი-ამური | 2:2 |
| ლადა-მეტალურგი (მ) | 1:1 |
| სევერსტალი-სიბირი | 3:0 |
| ლოკომოტივი-ხიმიკი | 4:2 |
| სკა-ავანგარდი | 2:1 |
| ვიტიაზი-კრილია | 4:1 |
| მედ-ს. იულაევი | 1:4 |
| ნეფტეხიმიკი-ცსკა | 1:3 |
| დინამო-აკ ბარსი | 2:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 2:2, პენ. 2:3 |
| დიუსელდორფი-შტრაუბინგი | 5:1 |
| ინგოლშტადტი-დუისბურგი | 3:1 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 3:3, დ.დ. 3:4 |
| აისბარენი-ფრანკფურტი | 1:3 |
| ისერლონი-კრეფელდი | 0:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ზვოლენი-სლოვანი | 3:1 |
| მიკულაში-მარტინი | 3:2 |
| პოპრადი-ზვოლენი | 3:1 |
| ჟილინა-ნიტრა | 2:4 |
| კოშიცე-სკალიცა | 2:2, პენ. 2:3 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 1:10 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-ტაპარა | 3:2 |
| სეი პა-კერპეტი | 2:4 |
| ლუკო-ესეტი | 4:1 |
| იუვასკიულა-კალპა | 3:4 |
| იოკერიტი-ჰიფკ | 1:4 |
| პელიკანსი-კიეკო | 1:1 |
| კალპა-პპკ | 5:4 |
| კიეკო-ტაპ | 2:2, პენ. 2:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სპარტა-სლავია | 3:3 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 3:3, დ.დ. 4:3 |
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 10:1 |
| პარდუბიცე-ზლინი | 3:6 |
| ტრშინეცი-ვსეტინი | 1:3 |
| კარლოვი ვარი-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| პლზენი-ზნოიმო | 4:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ცუგი-ფრიბურგი | 7:2 |
| ამბრი პიოტა-ტაიგერსი | 5:2 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 7:1 |
| ლუგანო-ბაზელი | 3:2 |
| ბერნი-კლოტენი | 4:2 |
| ციურიხი-დავოსი | 0:0 |
| ბაზელი-ცუგი | 1:8 |
| კლოტენი-სერვეტი | 5:1 |
| ლანგნაუ-ციურიხი | 2:2, პენ. 3:2 |
| რაპერსვილი-ამბრი პიოტა | 4:3 |
| ფრიბურგი-ბერნი | 3:3, დ.დ. 3:4 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მალმიო-მოდო | 3:1 |
| ლინჩოპინგსი-ფრიოლუნდა | 2:7 |
| მორა-ჰვ71 | 1:1 |
| ბრინასი-ფერიესტადი | 1:4 |
| ლულეა-აიკ | 2:3 |
| ტიმრა-იურგორდენი | 5:0 |



საფაროვამ ჩემპიონი შინ გაუშვა

ავსტრალიის ღია პირველობა

# ჩემპიონი და რუსები დაიფრინეს

ავსტრალიის ღია პირველობა ერთი ჩემპიონის ამარა დარჩა - ტურნირს მეოთხე წრეში გამოეთიშა აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი, ფრანგი **ამელი მორესმო,** რომელიც მოულოდნელად, მანამდე ბევრისთვის უცნობ ჩეხ **ლუსი საფაროვასთან** დამარცხდა.

მორესმოს კვალად, ტურნირს მოწინავე ათეულში განთესილი კიდევ ორი ჩოგბურთელი - ორი რუსი, **სვეტლანა კუზნეცოვა** და **ელენა დემენტიევა** გამოეთიშა. უფრო ადრე კი, მესამე წრეში წააგო კიდევ ერთმა რუსმა - **დინარა საფინამ.** მის თანამემამულეებს რომ მელბურნ პარკზე შავი დღე გაუთენდათ, წინსვლას აგრძელებს ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი **მარია შარაპოვა,** ვისაც რეალური შანსი აქვს, დაიბრუნოს მსოფლიოს პირველი ჩოგნის წოდება.

თუმცა, ვინ იცის, მეოთხე წრეში მას ჯერ არ უთამაშია და არაა გამორიცხული, რომ ამ ბარიერზე ისიც დაეცეს. თუ არა, მაშინ ტურნირის შემდეგ ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება, რისთვისაც მხოლოდ მეოთხედფინალში გასვლაც კი ეყოფა.

ერთი ჩემპიონი გამოვარდა, მეორე კი ფინალისკენ გრიალით მიიწევს - შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** კვლავ სამ სეტში მოიგო. ამჯერად მან სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მოუგო და შანსი აქვს, ნახევარფინალში ამერიკელ ეის-მასტერ **ენდი როდიკს** შეხვდეს, რომელმაც ტურნირი ხორვატ **მარიო ანჩიჩს** დაატოვებინა.

"აქამდე ვისაც ვეთამაშე, ყველას სამ სეტში მოვუგე. მთავარი კი ისაა, რომ თანდათან სულ უფრო უკეთ ვთამაშობ და ვიმედოვნებ, რომ თუ ფინალში გავალ, იმ მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნები,"განაცხადა ფედერერმა.

მისგან განსხვავებით, ანჩიჩთან დიდი ჯახი ჰქონდა როდიკს, ვისაც მოსაგებად ხუთი სეტი დასჭირდა. ფედერერისგან განსხვავებით, ამერიკელი თავისი თამაშით უკმაყოფილო დარჩა. ნამატჩევს კი განაცხადა, ბედმა გამილიმა, რომ მომდევნო წრეში გავედიო.

უნდა ითქვას, რომ პირველი ჩოგნის წოდების მოპოვების შანსი რუს **სვეტლანა კუზნეცოვასაც** ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ ის ავსტრალიის ღიას მოიგებდა, შარაპოვა კი მეოთხედფინალში ვერ გავიდოდა. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. სვეტა შინ გაემგზავრა, შარაპოვა კი მეოთხე წრეში კიდევ ერთ რუსს, **ვერა ზვონარევას** დაუპირისპირდება.

რა თქმა უნდა, გუშინ მელბურნ პარკზე ყველაზე დიდი ყურადღება მორესმოს დამმარცხებელმა ლუსი საფაროვამ მიიპყრო, ვისაც ტურნირის დაწყებამდე რეიტინგში 70-ე ადგილი ეკავა და მორესმოსთან შეხვედრაში, პირველად გავიდა **როდ ლეივერის** სახელობის ტრასაზე.

თამაში ისე დაიწყო, როგორც ყველა ელოდა - მორესმო 4:1 დაწინაურდა. სწორედ აქ მოხდა გარდატეხა. მორესმომ მოულოდნელად დაკარგა თამაშის სადავეები და ზედიზედ 7 გეიმი დათმო. ფრანგისგან განსხვავებით, ცაცია საფაროვა თითქმის შეუცდომლად ურტყამდა ბურთს და ქულას ქულაზე აგროვებდა.

მეორე სეტის დასაწყისი პირველის ანალოგიური იყო. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ საფაროვა 4:1 დაწინაურდა. ამის შემდეგ კი პირველი სეტის სცენარი აღარ განმეორებულა. მართალია, ფრანგმა ერთი ბრეიკის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ თამაშის გადარჩენა ველარ შეძლო. მან თავის კარიერაში პირველი სასლემო ტიტული შეცდომების კასკადით დათმო.

*"ეს საოცრებაა, რისი დაჯერებაც ძალიან მიჭირს. როდ ლეივერ არენაზე პირველად ვითამაშე და დებიუტისთანავე ჩემპიონს მოვუგე. არადა, კორტზე გასვლამდე ვფიქრობდი, რომ ამდენი მაყურებლის წინაშე თამაშიც კი ჩემთვის დიდი ამბავი იქნებოდა"*, - განაცხადა სენსაციის ავტორმა.

საფაროვას მსგავსად, მეოფხედფინალისკენ გზა კიდევ ერთმა ჩეხმა - **ნიკოლ ვაიდიშოვამ** გაიკაფა, ვინც ტურნირს დემენტიევა გამოთიშა. სხვათა შორის, მეათე ნომრად განთესილი ვაიდიშოვა, ბადის მეორე ნახევარში განთესივის უმაღლესი ნომრის მატარებელია.

მეოთხედფინალში ითამაშებს ტურნირის ორგზის ჩემპიონი, ამერიკელი **სერენა უილიამსიც,** ვინც აშკარად დაჯაბნა კარგ ფორმაში მყოფი სერბი **ელენა იანკოვიჩი.** ამერიკელი ძველებურად კარგად თამაშობს და ეტყობა, კიდევ ბევრის გამწარება შეუძლია. სერბთან მის მიერ მოპოვებული გამარჯვება უკვე ბევრის მეტყველია - იანკოვიჩმა ეს სეზონი ძალიან კარგად დაიწყო - ჯერ ოკლენდის ტურნირი მოიგო, შემდეგ კი სიდნეიში ფინალს უწია და სერენასთან წაგებამდეც შესანიშნავად თამაშობდა. მაგრამ უილიამსის ზუსტ და მძლავრ დარტყმებს ვერაფერი დაუპირისპირა.

*"ჩემთვის ეს მოგება სენსაციაა. თუმცალა, დამსახურებული. ვატყობ, რომ ძველებურად კარგად ვთამაშობ და თუ ასე გავაგრძელე, ბევრად მეტის მიღწევაც შემიძლია. ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი სარეიტინგო პოზიციის გაუმჯობესება, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც დიდი სლემის კიდევ ერთ ტიტულზე ვიტყვი უარს"*, - განაცხადა სერენამ, ვისაც მეოთხედფინალში კიდევ ერთი რუსის, კუზნეცოვას დამმარცხებელი, ისრაელის **შაჰარ პეერი** დაუპირისპირდება.

ამ ორ ჩოგბურთელს ერთმანეთის წინაალმდეგ აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2005 წელს მაიამის ტურნირზე უთამაშიათ და მაშინ ამერიკელმა სეტის დაუთმობლად მოიგო. თუმცა, ახლა ამბობს, მაშინ ძალიან გამიჭირდა პეერის ძლევაო...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები. III წრე**

**რაფაელ ნადალი (2) - სტანისლას ვავრინკა (31) 6:2, 6:2, 6:2;** ნიკოლაი დავიდენკო (3) - **ფაბრის სანტორო 7:6(1), 6:2, 6:2;** ჯეიმს ბლეიკი (5) - **რობი გინეპრი 7:6(7), 7:5, 6:2;** დავიდ ნალბანდიანი (9) - **სებასტიან გროჟანი (28) 5:7, 4:6, 7:6(4), 6:4, 6:1;** ფერნანდო გონსალესი (10) - **ლეიტონ ჰიუიტი (19) 6:2, 6:2, 5:7, 6:4;** ტომი ჰაასი (12) - **ფლორიან მაიერი 7:6(3), 6:3, 6:3;** ტომაშ ბერდიჩი (13) - **დმიტრი ტურსუნოვი (21) 6:2, 6:1, 6:1;** ენდრიუ მიურეი (15) - **ხუან იგნასიო ჩელა 6:3, 6:2, 6:4**

**IV წრე**

**როჯერ ფედერერი (1) - ნოვაკ ჯოკოვიჩი (14) 6:2, 7:5, 6:3;** ენდი როდიკი (6) - **მარიო ანჩიჩი (9) 6:3, 3:6, 6:0, 5:7, 6:4;** ტომი რობრედო (7) - **რიშარ გასკე (18) 6:4, 6:2, 3:6, 6:4;** მერდი ფიში - **დავიდ ფერერი (16) 6:1, 7:6(4), 2:6, 7:5**

**ქალები. III წრე**

**მარია შარაპოვა (1) - ტატიანა გარბინი 6:3, 6:1;** კიმ კლაისტერსი (4) - **ალონა ბონდარენკო (29) 6:3, 6:3;** მარტინა ჰინგისი (6) - აიკო ნაკამურა 6:2, 6:1; პატი შნიდერი (8) - ალისია **მოლიკი 3:6, 6:2, 6:0;** ნა ლი (19) - **დინარა საფინა (9) 6:2, 6:2;** ანა ჩაკვეტაძე (12) - **ელენა კოსტანიჩი 6:4, 6:4;** ვერა ზვონარევა (22) - **ანა ივანოვიჩი (13) 6:1, 6:2;** დანიელა ჰანტუხოვა (15) - **ეშლი ჰერკლროუდი 6:7(6:8), 7:5, 6:3**

**IV წრე**

**ლუსი საფაროვა - ამელი მორესმო (2) 6:4, 6:3;** შაჰარ პეერი (16) - **სვეტლანა კუზნეცოვა (3) 6:4, 6:2;** ნიკოლ ვაიდიშოვა (10) - **ელენა დემენტიევა (7) 6:3, 6:3;** სერენა უილიამსი - **ელენა იანკოვიჩი (11) 6:3, 6:2**

**სამთო თხილამურები**

მსოფლიოს თასი

# ფრანგებმა ნავსი გატეხეს




დალსენმა კარიერაში მსოფლიო თასის პირველი რბოლა მოიგო

უამინდობის გამო, სამთო მოთხილამურეთა მიმდინარე სეზონში რამდენიმე ეტაპი გაუქმდა, ზოგი კი გადაიდო, ან სხვა ტრასაზე ჩატარდა. გასულ უქმეებზე წვიმდა იტალიის სამთო კურორტ კორტინა დ'ამპეცოშიც, სადაც ძლიერი წვიმის გამო, ქალების სუპერგიგანტის ტრასა მნიშვნელოვნად დამოკლდა.

დამოკლებულ ტრასაზე კი ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ ოლიმპიურ ჩემპიონ (გიგანტურ სლალომში) **ჯულია მანკუზოს,** ვინც ორ ავსტრიელს, **ნიკოლ ჰოსპსა** და **რენატე გიოჩლს** აჯობა. ეს მანკუზოს მიერ ამ ერთ თვეში მოგებული მესამე რბოლაა. არადა, ამ სეზონის დაწყებამდე, მას მსოფლიოს თასის ერთი ეტაპიც კი არ ჰქონდა მოგებული.

"ოლიმპია დელე ტოფანეს" ფერდობზე ფავორიტთაგან პირველი სწორედ მანკუზო გავიდა, ვინც შესანიშნავი დრო აჩვენა და ლიდერობა იგდო ხელთ. შემდეგ ჯერი ჰოსპზე მიდგა, ვისაც საუკეთესო შედეგის ჩვენებამდე ცოტა დააკლდა. შემდეგ კი ტრასაზე გიოჩლი გავიდა, ვისაც კორტინას ტრასებზე ბოლო ხუთი სეზონია, ბადალი არ ჰყავს, ამ სეზონის დასაწყისში კი პირველი ორი სუპერგიგანტიც მოგებული აქვს. მაგრამ მასაც ხელი მოეცარა. ის ჰოსპს 0.01 წამით ჩამორჩა და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა. რბოლა ვერ დაასრულა აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერმა, ავსტრიელმა **მარლის შილდმა,** ვინც ტრასის შუაში მოსახვევს გასცდა და ფინიშსაც ვერ მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ რბოლის ორგანიზატორებმა წვიმისგან დასველებული ტრასა ქიმიკატებით დაამუშავეს, რათა თოვლის საფარი შეენარჩუნებინათ. მანამ კი თითქმის ოთხი საათი დასჭირდათ ლოდინი, სანამ წვიმა გადაიღებდა და რბოლის დაწყება შესაძლებელი გახდებოდა.

გიოჩლს სუპერგიგანტზე ხელი კი მოეცარა, მაგრამ მეორე დღეს, დაშვებაში მაინც ყველას აჯობა. მათ შორის მანკუზოსაც, ვინც ზედიზედ მეოთხე რბოლა დაასრულა მოწინავე სამეულში, რისი წყალობითაც, აბსოლუტურში მყარად უკავია მესამე ადგილი და ჯერაც ინარჩუნებს ბროლის დიდი გლობუსის მოპოვების შანსს.

ამჯერად ამერიკელი მეორე შედეგს დასჯერდა. მან მხოლოდ 0.17 წამი წააგო გამოცდილ ავსტრიელთან, ვისაც კორტინაზე ათი გამარჯვება დაუგროვდა. ამ ათიდან კი 5-5 დაშვებასა და სუპერგიგანტზე მოდის. სხვათა შორის, ერთ ტრასაზე ამდენი რბოლა სხვა არავის მოუგია. გიოჩლთან ყველაზე ახლოს ლეგენდარული შვედი **ინგემარ სტენმარკია,** ვისაც იტალიის მადონა დი კამპილიოში რვა რბოლა აქვს მოგებული.

ვაჟებს კი დაშვების რბოლა ჰქონდათ საფრანგეთის სამთო კურორტ ვალ დ'იზერში, სადაც ადგილობრივი მაყურებლის გასახარად, პირველი ადგილი ფრანგმა **პიერ-ემანუელ დალსენმა** დაიკავა. ბოლო 12-წლიან პერიოდში დალსენი პირველი ფრანგი კაცი მოთხილამურეა, ვინც მსოფლიოს თასის ეტაპის მოგება შეძლო.

აბსოლუტურში კი პირველობა კვლავაც შეინარჩუნა ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა,** ვისაც 725 ქულა აქვს. ქალებში კი პირველობას მარლის შილდი ინარჩუნებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კორტინა დ'ამპეცო (იტალია)
ქალები. სუპერგიგანტი

**1. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:16.25; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:16.58; 3. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:16.59; 4. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 1:16.64; 4. ლინდსიკილდოუ (აშშ) 1:16.64.**

კორტინა დ'ამპეცო (იტალია)
ქალები. დაშვება

**1. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:31.14; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:31.31; 3. მარი მარშან-არვიე (საფრანგეთი) 1:31.74; 4. დანიელა მერიგეტი (იტალია) 1:31.82; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 1:31.84.**

ვალ დ'იზერი (საფრანგეთი)
კაცები. დაშვება

**1. პიერ-ემანუელ დალსენი (საფრანგეთი) 1:56.37; 2. ერიკ გაი (კანადა) 1:56.63; 3. მანუელ ოზყორნ-პარადიზი (კანადა) 1:56.69; 4. იანიკ ბერტრანი (საფრანგეთი) 1:56.74; 5. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:56.77.**

ლელო
სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე
ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი
კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

ეროვნული ბიბლიოთეკა